


178  
1996



ISSN 0868-4537

1-4

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1-2  
1996

IUS  
TBILISI GEORGIA



# სამართალი

სამიჯნური-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1-2  
1996

იანვარი — თებერვალი

ბათუმის 1926 წლიდან

## პრაქტიკა ● მიჯნურება ● კულტივაცია

მთავარი რედაქტორი  
ჭურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიცია კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

ჯამლეთ ბაზილავიძე  
გელა ბერკენიშვილი  
(მთ. რედაქტორის მოადგილე)  
ვლადიმერ ბარათაშვილი  
ოთარ ბაყჩალიძე  
ჯემალ ბახტაძე  
გივი ინჟიერავილი  
შალვა ნათელაშვილი  
ნოდარ ნავიერიძე  
თემდორე ნინიძე  
მისეილ სააკაშვილი  
გიორგი ტყეშელაძე  
იაკობ ფუტარაძე  
მინდია უბრახელიძე  
შალვა ჩიკვაშვილი  
ლადო ჭანტურია  
სერგო ჯორჯანიძე

### მკითხველთა საშუალებოები:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 280046, თბილისი, გრიბოედოვის 19.

ტელ: 99-02-45, 98-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 2 ლარი.



# საკიებელი

<b>პარლამენტარის ტრიბუნა</b>	
ოთარ მელქაძე — სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია: კონცეფტუალური მოსაზრებანი	3
<b>ნარკომანი და სამართალი</b>	
ჭემალ ჭანაშია — ზოგიერთი მოსაზრება ნარკოტიკების ლეგალიზაციის და მათი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ	10
<b>სასამართლო რეფორმა</b>	
ირმა მერებაშვილი — საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო რეფორმის შესახებ	21
<b>კანონის კომენტარი</b>	
აპოლონ ფალიაშვილი — შემთხვევის ადგილის დათვალიერება	24
<b>თეორიის საკითხები</b>	
ელენე გვენცაძე — მიზეზობრიობა კრიმინოლოგიაში	36
<b>უცხოეთის გამოცდილება</b>	
დავით კოლუაშვილი — სახელმწიფოებრიობის ძიებაში სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება	40
<b>პირველი ნაბიჯები მცენიერებაში</b>	
ვკა შენგელია — სააქციო საზოგადოება როგორც იურიდიული პირი და აქციონერთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი	48
ლელა ნადიბაძე — ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა	54
ნინო გვენცაძე — თანამონაწილეობის სახეობად კლასიფიკაციის ისტორიისათვის	61
<b>კოლმეობა</b>	
ავთანდილ კახნიაშვილი — სამართლებრივი პრეზუმფციები და „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ (დავიცვათ ლოგიკური აზროვნების წესი)	68
<b>პრაქტიკა, წინადადება, უანიუზვნობა</b>	
ავთანდილ თევზაძე — ექსპერტიზა და ექსპერტი	74
<b>იუმორისა</b>	
ვახტანგ კაჭახიძე — განქორწინება	79
გასწორება	80

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, გრიგოლშვილის 19  
 ტელ. 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

გადაცა წარმოებას 9.06.05 წ., ხელმოწერილია დახაბეჭდად 20.08.96 წ.;  
 ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.  
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თბახი 6,5. შეკვ. 748. ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,  
 თბილისი, 880096, შერბ კოსტავას 14.



ოთარ მელქაძე

# სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია: კონსუფტუალური მოსაზრებანი

საერთოდ, ნებისმიერი სისტემის კონსუფტუალური მოდელი განსახილველ მექანიზმთან მიახლოებული ანალოგიების გაანალიზების ან საკვლევ პროცესში წარმმართველი სტრუქტურის ინვარიაციული პარამეტრების თეორიული გააზრების გზით ყალიბდება. ვინაიდან ჩვენ მოკლებული ვართ სოციალისტური კონტროლის სისტემის ნანგრევებზე აღმოცენებული საბაზრო ურთიერთობის პირობებთან მისადაგებული, ფუნქციონირების პრაქტიკით გამოცდილი ახალი სისტემის ანალოგიებს, ჩვენი მსჯელობა ზემოაღნიშნული მეორე შესაძლო გზით ვითარდება. თუმც აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის ეს მიმართულებაც სათანადო ლიტერატურის დეფიციტით ხასიათდება, ვინაიდან ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია მხოლოდ სოციალისტური კონტროლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს მიმოიხილავს.


მათი ანალიზი იმის დასტურია, რომ შესრულების კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კონტროლის ორგანოების უფლებამოსილების ზრდისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ადმინისტრაციული ღონისძიებები, მმართველობის საბოლოო შედეგების თვალსაზრისით, სასურველ ეფექტს არ იძლევიან. ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერაც არასაკმარისია პრობლემის სამეცნიერო-თეორიული დამუშავების დონე. კონტროლის სისტემა მმართველობაში მიმდინარე გარდაქმნებთან პირდაპირ კავშირში არ განიხილება და არა თუ ჩამორჩება, ერთგვარად ამუხრუჭებს კიდევ ამ პროცესის ადეკვატურ განვითარებას.

## 1. კონტროლის სტრატეგიული ორიენტაციის უზუსტობა

მმართველობითი პროცესის მრავალფეროვნება და დინამიზმი, მეთოდებისა და მიზნების ცვალებადობა, კონტროლის მობილურობის მოთხოვნას აყალიბებს. მმართველობით პროცესზე ზემოქმედების მაღალი დონის მისაღწევად, ნაკლოვანებებისა და დარღვევების პროფილაქტიკის მიზნით, საჭიროა კონტროლის ისეთი დინამიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შემოწმებისა და შესრულების ორგანიზაციის ერთობლიობას.

კონტროლის სტრატეგიული ორიენტაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მმართველი ორგანოების ქმედების საზღვრებში მიმდინარე პროცესის ობიექტური სურათის მიღების მიზნით სულაც არ არის (ეკონომიკურობის თვალსაზრისითაც) საჭირო ყოვლისმომცველი კონტროლის განხორციელება. საკმარისია მისი ზედამხედველობის ქვეშ მოექცეს ის სტრატეგიული პუნქტები, რომლებშიც სიმპტომატურად აისახება მმართველი საქმიანობის ყველა ასპექტი.

სტრატეგიული კონტროლი — ეს არის პროგნოსტიკური ინფორმაციის საფუძველზე, კონტროლის სისტემის ქმედების საერთო პროგრამის საკონტრო-



ლო პრიორიტეტებისა და რესურსების ორიენტაცია მმართველობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებზე. სტრატეგიული კონტროლი ტოვებს მნიშვნელოვან სივრცეს ტაქტიკური კონტროლისათვის, რომელიც მას ავსებს და იმავდროულად იძლევა საშუალებას ეტაპობრივად შეფასდეს სტრატეგიული კონტროლის სწორი ორიენტაცია და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მისი მასშტაბები და ადრესატები.

ტაქტიკური კონტროლი — ეს არის ოპერატიული ინფორმაციის დაზუსტებული კრიტიკული წერტილების მიმართ სიტუაციური საკონტროლო აქციების მიზანმიმართულება. იგი სტრატეგიული კონტროლის საერთო ამოცანებთან ურთიერთკავშირში უფრო კონკრეტულ და ახლო მიზნებს მოიცავს. თუმცა შემოწმების საზღვრების ერთდაგვარი შეზღუდულობით ხასიათდება, მაინც სავსებით საკმარისია ტერიტორიალურ თუ უწყებრივ ჭრილში განზოგადოებული დასკვნებისა და, რაც მნიშვნელოვანია, სტრატეგიული კონტროლის ფაქტორის ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი პარამეტრების დაკონკრეტების მიზნით.

კონტროლის სისტემის და მისი ელემენტების საქმიანობის ტაქტიკის ორიენტაცია ეფუძნება ოპერატიულ სიტუაციურ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სტრატეგიული კონტროლის წარმმართველისათვისაც, თუ გამოვლენილი ფაქტობრივი მასალა სიმპტომატური ხასიათისაა. ამასთან, თუ ტაქტიკური კონტროლი იძლევა მმართველობითი ქმედების მაკორექტირებელ ინფორმაციას, სტრატეგიული კონტროლი, აგრეთვე, შეიძლება იძლეოდეს ინფორმაციას მმართველობითი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესაფასებლად. კონტროლის სტრატეგიას, მმართველობითი სტრატეგიის ფარგლებში, თავის მანევრირების კორიდორი გააჩნია, რომლის საზღვრებშიც მოქმედებს ტაქტიკური კონტროლიც. მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს კონტროლის ქმედითობას და თანამიმდევრობას, თუ მათი საქმიანობის პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვა ითვალისწინებს აღნიშნულ თავისებურებებს.

ქვესაკონტროლო სიდიდეების რიცხოვნობიდან გამომდინარე, განასხვავებენ ერთჯერად (ერთგანზომილებიან) და მრავალჯერად (მრავალგანზომილებიან) საკონტროლო აქციებს. პირველი დაკავშირებულია ერთ ქვესაკონტროლო ობიექტთან, თუ კონკრეტულ თემასთან, მეორე — ერთდროულად მრავალ ასეთ პარამეტრთან. ასეთი დაყოფა, ერთდაგვარად ამარტივებს კონტროლის სტრატეგიული და ტაქტიკური ორიენტაციის არსის შეცნობის საშუალებას, ვინაიდან, სტრატეგია — ეს სწორედ მრავალგანზომილებიანი საკონტროლო აქციაა, ხოლო ტაქტიკა (როგორც ორიენტაცია და არა ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა) — ეს ერთგანზომილებიანი შემოწმებები ან მათი ჯამია. იგი მოიცავს მცირე პარამეტრის შემოწმებებს — საწარმო, სამსახური, ქვედარგი ან უწყებრივ-თემატური შემოწმება.

სტრატეგიული კონტროლის კონცეფცია, გამომდინარე კონტროლის ეკონომიკურობის პრობლემებიდან, ხაზს უსვამს შერჩევითი კონტროლის უპირატესობას ყოვლისმომცველის მიმართ, თუ იგი ობიექტური და ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფილი, სწორად გამიზნული ტაქტიკური საკონტროლო აქციებით ხორციელდება.

სტრატეგიული კონტროლის კონცეფციის მიზანია კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნის მეცნიერული წანამძღვრების დამუშავება. ამ იდეის მატერიალიზაცია, პირველ რიგში, მოითხოვს კონტროლის ისეთი ძირითადი ბლოკების მოდიფიკაციას, როგორცაა ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგეგმვა და კოორდინაცია.

ორგანიზაციული სტრუქტურა არის საკონტროლო სისტემის „მზიდი კონსტრუქცია“. სტრატეგიული კონტროლის პოზიციიდან, ვინაიდან დღემდე ეს

კონსტრუქცია ძალიან შორსაა სრულყოფილებისაგან, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ოპტიმალური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესი გართულებულია საკონტროლო სისტემის ელემენტებს შორის სტრატეგიული უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების, კომპეტენციური საზღვრების შეუსაბამობისა და გამიჯვნის საქმეში არსებული მოუწესრიგებლობის გამო. და ეს მაშინ, როცა სწორედ ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრავს დანარჩენი ორი ბლოკის შინაარსსა და ტევადობას.

კონტროლის ორგანიზაციის სრულყოფილი სტრატეგიული კომპლექსი, მიზნებისა და მათი პრიორიტეტების გარდა, უნდა ითვალისწინებდეს პროგნოზების პრიორიტეტებს. ამასთან, სწორედ დაგეგმვა ხდება ის წამყვანი ბლოკი, რომელიც გარკვეულად სრულყოფს ორგანიზაციულ სტრუქტურას, ვინაიდან ხელს უწყობს სისტემის ელემენტების კოორდინირებას, მათი რესურსული შესაძლებლობების ასპექტის გათვალისწინებით.

დაგეგმვა ითვალისწინებს საბოლოო და შუალედური მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, რომელთა გადაწყვეტა ითხოვს შესაბამისი ხერხებისა და საშუალებების შერჩევას. გადასაწყვეტ ამოცანათა ხასიათიდან და მიმართულებიდან გამომდინარე განსხვავებენ პერსპექტიულ ანუ სტრატეგიულ და მიმდინარე ანუ ტაქტიკურ დაგეგმვას.

საკონტროლო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის მოუწესრიგებლობის ვითარებაში, როცა მკვეთრად არ არის გამოიწვეული ცალკეული მისი ელემენტების კომპეტენცია, კონტროლის ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვის ბლოკს, რომელიც ახდენს რა სტრატეგიული კონტროლის კონცეფციის იდეის რეალიზაციას, კოორდინაციის გზით აკავშირებს საკონტროლო სისტემის ცალკეულ ელემენტებს და ერთდაგვარად ავსებს ამ სტრუქტურულ ხარვეზებს.

კონტროლის კოორდინაციის საერთო სტრატეგიის ფორმირება — ეს კოორდინაციის სუბიექტის ფუნქციაა — იქნება იგი ზემდგომი ორგანო უწყებრივი კოორდინაციის პირობებში, თუ სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი საკონტროლო ფუნქციის მატარებელი მმართველობის ორგანო — ტერიტორიული კოორდინაციის პირობებში.

თანამედროვე პირობებში, როცა მკვეთრად იზრდება გადამუშავებული ინფორმაციის მოცულობები, აუცილებელია კონტროლის ისეთი ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საკონტროლო ორგანოების სპეციალისტებს ღრმად ჩასწვდნენ საკონტროლო სიტუაციებს, რათა წინასწარ განსაზღვრონ მომავალი შედეგები, მათი არასასურველი ნაწილის თავიდან აცილების მიზნით.

კონტროლის ტექნოლოგია — ეს კონტროლის მექანიზმის ელემენტების ისეთი ერთობლიობაა, როცა მისი მეთოდები და პროცედურები თანმიმდევრული ურთიერთობით უზრუნველყოფენ კონტროლის სუბიექტს იმ მონაცემების შერჩევით, რომლებიც აუცილებელია მართვის მიზნებიდან გადაცდომათა გამოსავლინებლად და მათზე ზემოქმედების ღონისძიებათა განსაზღვრისათვის.

გათვალისწინებით იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული სახელმწიფო კონტროლის კონცეფტუალური საფუძვლები, არასრულყოფილია მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, გასააზრებელია კონტროლის ტექნოლოგიის და სახელმწიფო კონტროლის კოორდინაციის სამართლებრივი რეგულირების ბაზა, სუსტია საკონტროლო საქმიანობის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის დონე, იმედოდ ისღა გვრჩება, რომ საკონტროლო ორგანოების გეგმების ორგანიზაციული ღონისძიებები ერთგვარად ცდილობენ ამ ხარვეზის შევსებას, მაგრამ რამდენად ღირებულია ამ სერიოზულა საქმის თვითინიციატივის დონე-

ზე მიტოვება, ამაზე თავად საკონტროლო საქმიანობის დაბალი შედეგიანობა მეტყველებს.

## 2. კონტროლის ინტერესთა წრე – კარსკეპტიული თვალთახედვით

საკონტროლო რესურსების რაციონალური ამოქმედების მიზნით, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია კონტროლის ეკონომიკურობის მოთხოვნის რეალიზაცია, უწინარესად, აუცილებელია დადგინდეს ის კრიტიკული წერტილები, რომლებშიც ნიშნდობლივად აისახება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები. ასეთი სპექტრის შემკრები პრიზმის როლი განეკუთვნება არა მხოლოდ ქვესაკონტროლო ობიექტებიდან წამოსულ ინფორმაციას, არამედ თავად საკონტროლო ორგანოების საქმიანობის ამსახველ ანალიტიკურ მასალას. კონტროლის ასეთ ორგანიზაციას ხელს უწყობს ინფორმაციის საერთო და ოპერატიული ნაკადების შეპირისპირება, რომელთა გადაკვეთა ქვემდგომი საკონტროლო ორგანოს საქმიანობის შეფასების თვალთახედვით სტრატეგიული საკონტროლო პუნქტის მნიშვნელობას იძენს შემდგომისათვის, ვინაიდან მათში აისახება არა მხოლოდ ის სიმპტომატური ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ მმართველობით საქმიანობას ან პოტენციურად აერთიანებენ მოსალოდნელ გადაცდომებს, არამედ თავად კონტროლის შესაბამისი ორგანოს უმოქმედობასა თუ შემრიგებლურ დამოკიდებულებას წარმოაჩენენ.

ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ კონტროლი არის სასურველი (დაგეგმილი) და ფაქტობრივი შედეგების შედარების პროცედურა, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში კონტროლი გადაცდომათა ფიქსაციის როლში გამოდის და უგულვებელყოფილია მისი პროფილაქტიკური ფუნქცია; და მეორე, საერთოდ შეზღუდულად წარმოდგინდება კონტროლის შედეგიანობა, ვინაიდან, მაშინ, როცა არასასურველი შედეგი ცნობილი ხდება, დამატებითი დანახარჯების გარეშე წარმოუდგენელია იგი სასურველად აქციო, თუ ეს მაინც შესაძლებელია.

მთავარი მაინც ის არის, რომ კონტროლს ექვემდებარება არა მხოლოდ შედეგები, არამედ მმართველობის მთელი პროცესი და საშუალებები. კონტროლის დაბალი შედეგიანობის ერთი უმთავრესი მიზეზიც იმის შედეგია, რომ პრაქტიკა ადასტურებს — კონტროლის ორგანოების ყურადღების მიხედვით პირველ ადგილზეა შედეგების კონტროლი, მეორე ადგილზე — კონტროლირებადი ობიექტების საქმიანობის კანონშესაბამისობის კონტროლი, მესამეზე — მატერიალური სახსრების გამოყენების კონტროლი და მეოთხეზე — შესრულების პირობების კონტროლი<sup>1</sup>.

თავად საკონტროლო ორგანოების ინტერესთა ასეთი დაჯგუფება, სრულიად არ ნიშნავს მიღწეული შედეგებისათვის კონტროლის „მზრუნველ“ დამოკიდებულებას. ელემენტარულად წარმოუდგენელია მიღწეული შედეგების ეფექტიანობაზე მსჯელობა, თუ იგი სრულად არ მოიცავს მის ისეთ მახასიათებლებს, როგორც საქმიანობის კანონშესაბამისობის და მატერიალური სახსრების გამოყენების კონტროლია და რამდენადაც საკონტროლო ორგანოებს ყველაზე ნაკლებად შესრულების პირობების კონტროლი აინტერესებთ, ძნელია ამ შემთხვევაში უდავოდ ირწმუნო მიღწეული შედეგების შეფასების ობიექტურობა.

1. Кочерин Е. А., Контроль в процессе управления предприятием, М., «Знание», стр. 18.

კონტროლის ორგანოების საქმიანობისადმი ხშირი პრეტენზიები სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ისინი მეტად არიან გატაცებული მიღწეული შედეგების კონტროლით. ამ დროს მხოლოდ გამოვლენილი დარღვევების ფაქტ-საცია ზღვება, რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, მიღებული ზომების საჯარო-ობის პირობებში მხოლოდ შემდგომი ანალოგების პროფილაქტიკის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს. საკონტროლო საქმიანობაში ასეთი ყურადღებით აქცენ-ტირებულ მიმართულებას სხვა ნაკლოვანებებიც გააჩნია: 1. საკონტროლო ორ-განოების საქმიანობის შეფასების სტატისტიკური მეთოდი, სისტემის ელემენ-ტების არათანაბარი დატვირთვის პირობებშიც, ცენტრალური ორგანოების წვრილი ობიექტების შემოწმებაზე ხარჯავს; 2. მიღწეული შედეგების შემოწმება მეტწილად საბოლოო შედეგებს მოიცავს და ნაკლებად ეხება საშუალო შედე-გებს. მიზეზი ის არის, რომ საკონტროლო ორგანოები ნაკლებად ფლობენ ქვესა-კონტროლო ობიექტებიდან ინფორმაციას ქმედებათა კანონშესაბამისობისა და სახსრების მიზნობრივი ხარჯვის სისწორეზე, რომელიც ბუმერანგივით უბ-რუნდება მთავარს — საბოლოო შედეგს. მიგვაჩნია, რომ საბოლოო შედეგების გაკონტროლებამდე უნდა გააქტიურდეს ქვესაკონტროლო ობიექტების საქმიანობის კანონშესაბამისობის და მატერიალური სახსრების გამოყენების მიზნობ-რიობის შემოწმება, რომელთაც საერთო პრობლემატიკის მიმართ კრიტიკული საკონტროლო წერტილების მნიშვნელობა ენიჭებათ.

## 8. კონტროლის სისტემურობის კირითადი ასპექტების შესახებ

იურიდიულ მეცნიერებაში „სტრუქტურისა“ და „კომპეტენციის“ ურთიერ-თკაპშირისა და ურთიერთგაელენის საკითხის გააზრებას იმ დონისათვის ვერაც არ მიუღწევია, რომ სახელმწიფო კონტროლის სისტემის შიგნით უზრუნველ-ყოფდეს მის ელემენტებს შორის შრომის განაწილებისა და კოოპერირების ელე-მენტარულ მოწესრიგებას. ჩვენი აზრით, ამთავითვე ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო კონტროლის სისტემურობის განმსაზღვრელ ძი-რითად ასპექტებს.

**პირველი** — ეს არის სტრუქტურული ასპექტი, რომელიც სისტემის კონს-ტრუქციის გამარტივების შესაძლებლობების შესწავლას გულისხმობს მის „მო-ნათესავე“ ელემენტებს შორის აქტიური და მდგრადი კავშირების განმტკიცების გზით;

**მეორე** — კომპეტენციონალური ასპექტია, რომელიც სისტემის ელემენტე-ბის უფლებამოსილებათა შესწავლასა და საერთო ინტერესების მიხედვით მათ დაჯგუფებას გულისხმობს;

**მესამე** — საინფორმაციო ასპექტია, რომელიც სისტემის ელემენტებს შო-რის და მთლიანად სისტემის მიმართ საინფორმაციო-ფუნქციონალური დამოკი-დეულების გამოკვლევას და შესაბამისი სქემის დადგენას ითვალისწინებს;

**მეოთხე** — ტექნოლოგიური ასპექტია, რომელიც სამივე ასპექტის კვლე-ვის მასალებზე დაყრდნობით სისტემის სუბიექტსა და ობიექტებს შორის კო-ორდინირებული ურთიერთობის სამართლებრივი ბაზის წინადადებების დამუშა-ვებას გულისხმობს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი აქვს ზოგიერთი აღნიშნული საკით-ხის არასისტემატიზირებული გადაწყვეტის ცდას. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია მ. მარკოვის მიერ ბულგარეთში მიმდინარე მეცნიერული კვლევის ანალიზი,



რომელიც კონტროლის ტექნოლოგიის პრობლემის პრიზმის მეშვეობით წარმოჩინდება<sup>2</sup>.

ს. სემიონოვის მიერ კონტროლის ტექნოლოგია განიხილება როგორც ოთხი ფაზისაგან შემდგარი თანმიმდევრულ მოქმედებათა რივი: 1. ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიღება; 2. მასთან შესაბამისობისა და გადახრების დადგენა; 3. გადახრების გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შეფასება; 4. დარღვევათა კონსტატაცია და მათი გამოსწორების მიზნით დასკვნების ფორმულირება.

ს. სემიონოვისეული „ტექნოლოგია“ უგულებელყოფს კონტროლის პროფილაქტიკურ დანიშნულებას. მისი აზრით, კონტროლში მთავარია ნორმატიული მითითებებისა და მათ შესრულებას შორის თანაფარდობის დადგენა.

ჩვენი აზრით, უფრო სრულ ტექნოლოგიურ სქემას იძლევა პ. განჩევი, რომლისთვისაც კონტროლის ტექნოლოგია უფრო მრავალოპერაციანი პროცესია და მეთვალყურეობის ელემენტებსაც აერთიანებს შესრულების ორგანიზაციასთან აქტიურ ურთიერთობაში. პ. განჩევის „ტექნოლოგია“ მოქმედებათა შემდეგ რიგს აერთიანებს: 1. კონტროლირებადი ობიექტის მეთვალყურეობა; 2. მისი გამოკვლევა ფუნქციონირებისა და განვითარების მთელი პროცესის მანძილზე — განსაზღვრული პროგრამის მიღებამდე, მის შესასრულებლად და მისი განხორციელების შემდგომ გაწეულ საქმიანობაზე; 3. პროგრამით გამიზნული შედეგების შედარება მიღებულთან; 4. შედეგების (მდგომარეობის) ანალიზი; 5. მიზნის განხორციელების ხელშემწყობ ან ხელშემშლელ ფაქტორებზე მონაცემების განზოგადება; 6. კონტროლირებადი ობიექტის მდგომარეობის შეფასებასა და დასკვნებში მიზნის რეალიზაციის დონის დაფიქსირება; 7. პროგრამიდან გადახრათა აღკვეთის ღონისძიებების შემუშავება; 8. გადაცდომა-დარღვევებზე შესაბამისი საჩქავეების გამოყენება.


კონტროლის ტექნოლოგიის ფაზების მოცემული რივი არ ნიშნავს ოპერაციათა მკაცრ თანმიმდევრობას, ვინაიდან მასში აღნუსხული მეთვალყურეობისა და ანალიზის ეტაპები ცალკეულ ფაზებს შორის ურთიერთობას გულისხმობს.

ორივე შემოთავაზებული „ტექნოლოგია“ — ეს კონტროლის სუბიექტების მიერ განსახორციელებელ ქმედებათა ციკლია ერთი ქვესაკონტროლო ობიექტის მიმართ და არაფერს ამბობს თავად სუბიექტის საკონტროლო საქმიანობაზე ობიექტების სიმრავლის პირობებში, რომელნიც სხვა სუბიექტების ინტერესთა წრეშიც შეიძლება იყვნენ მოქცეული. ის ფაქტი, რომ საკონტროლო საქმიანობა ციკლური ბუნებისაა, ეს კონტროლის სუბიექტის მხოლოდ ცალკეულ ობიექტებთან ურთიერთობას როდი გულისხმობს. იგი საკონტროლო სივრცესაც მოიცავს და ქვესაკონტროლო თემატიურ ვარიაციებსაც, თუ კონტროლის სუბიექტი მკაცრად განსაზღვრულ ერთპროფილიან ორგანოს არ წარმოადგენს.

ამდენად, რთული და სრული ამოცანის მიმართ, შემოთავაზებული კონტროლის ტექნოლოგიები მეტნაკლებად უზრუნველყოფს ერთი სუბიექტის მიერ ოპერაციის გამართულობას. მაგრამ სახელმწიფო კონტროლის სისტემურობის ტექნოლოგიზაცია არა მხოლოდ ერთი სუბიექტის მიერ ასეთი ოპერაციების მიზანგამართულობას, არამედ სუბიექტთა ჯგუფის შეთანხმებულობას უნდა გულისხმობდეს სისტემატიზირებული წესითა და რიგით.

როგორც ი. ტიხომიროვი აღნიშნავს, არის წესები, რომლებიც საკონტროლო პროცესის პროგრესულ ტენდენციებს ასახავენ და ეს არის საკონტროლო

2. М. Марков, Технология и эффективность социального управления. Пер. с болгарского, М., «Прогресс», 1982, с. 113—115.



ფუნქციის განხორციელების უწყვეტი ხასიათის სისტემურობა.<sup>3</sup> ამის გარეშე არა-  
 თუ ჩვენს მიერ სტრატეგიული კონტროლის კონცეფციასთან დაკავშირებით შე-  
 მოთავაზებული სტრატეგიული ქვესაკონტროლო პუნქტების იდეა, არამედ „გა-  
 დახრებისადმი“ კონტროლის მექანიზმიც ვერ უზრუნველყოფს მმართველობის  
 მაქსიმალურ სარგებლიანობას. ამასთან. „უწყვეტი ხასიათის სისტემატურობა“  
 შევსებული უნდა იყოს ცალკეული საკონტროლო ბლოკ-სისტემების საერთო  
 მიზნების სიბრტყეში სისტემატიზირებული ურთიერთშეთანხმებული თანამშ-  
 რომლობით. ამიტომ, სახელმწიფო კონტროლის ორგანოების კოორდინაციას  
 ეკისრება ეს „შემავსებელი“ ფუნქცია და იგი, უწინარესად, სწორედ კონტრო-  
 ლის უწყვეტი ხასიათის სისტემატურობაზე და ელემენტების ურთიერთშეთანხ-  
 მებულ თანამშრომლობაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

კონცეფტუალური მოდელი — ეს ბაზისური მოდელია, უწინარესად, საინ-  
 ფორმაციო მოდელისათვის, რომელთან ერთად განაპირობებს სტრუქტურული  
 მოდელის სრულყოფას, ხელს უწყობს კონცეფტუალური მოდელის რეალიზა-  
 ციის საკონტროლო სისტემის ერთიან კონსტრუქციულ მოდელში. უკანასკნელი  
 კი განსაზღვრავს კონტროლის სისტემის ორგანიზებულობის დონეს, საერთო  
 მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასთან კავშირში ელემენტების ადგილის  
 განსაზღვრისა და მათი ურთიერთქმედების საზღვრების დაზუსტება-დაკონკრე-  
 ტების პირობებში.

ახლა საჭიროა ისეთი მოდელის კონსტრუირება, ქვესისტემებს შორის და  
 მათ შიგნით პარალელური და თანმიმდევრული კავშირების ისეთი სქემის სა-  
 ხით, რომელიც მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლებისა და  
 კავშირების რაციონალიზაციის გზით მაქსიმალურად ამეტყველებს კონცეფტუა-  
 ლური მოდელის მოთხოვნებს, ჩამოაყალიბებს სახელმწიფო კონტროლის ერთიან  
 სისტემას.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობის პრაქტიკა ადასტუ-  
 რებს, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა ასეთ ურთიერთქმედებას ზოგადი სამართ-  
 ლებრივი გარანტიები გააჩნიათ, მათი საქმიანობა ასინქრონულია და ურთიერ-  
 თობაც ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ამიტომ ქვესისტემებსა და მათ ელემენ-  
 ტებს შორის საკონტროლო საქმიანობის კოორდინირების ერთი უმთავრესი  
 ფაქტორი კოორდინაციის სუბიექტთან მდგრადი კავშირების დამყარებაა.

3. Тихомиров Ю. А., Механизм управления в развитом социалистическом  
 обществе, М., «Наука», 1978, стр. 320.

# ზოგიერთი მოსაზრება ნარკოტიკების ლეგალიზაციის და მათი არასამედიცინო დანიშნულებით მოსაზრებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ

ნარკომანიის პრობლემა საქართველოში უაღრესად გამწვავებულია და ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით. თუ გადავხედავთ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ უკანასკნელ 5 წელიწადში საქართველოში აღძრულია 8000-მდე სისხლის სამართლის საქმე, ხოლო პასუხისმგებაში მიცემულ პირთა რაოდენობამ 9000 გადააჭარბა. ამავე პერიოდში დამნაშავეთაგან ამოღებულია 3,5 ტონამდე სხვადასხვა სახის ნარკოტიკები.

განსაკუთრებული საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა უკანასკნელ წლებში, ხოლო მიმდინარე წელს არსებულმა მდგომარეობამ ყოველგვარ კრიტიკულ საზღვარს გადააჭარბა, რაზეც სტატისტიკური მონაცემებით მიუთითებს. 1996 წლის პირველ ორ თვეში დამნაშავეთაგან ამოღებულია 15 კგ-მდე ოპიუმი, იმდენივე, რამდენიც მთელი 1995 წლის განმავლობაში.


უაღრესად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სახეზეა ნარკოტიკების მომხმარებელთა გააჩაღვაზრდავების მყარი ტენდენცია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ნარკომანიით უაღრესად მძიმედ დაზარალებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია.

გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების და სამედიცინო სამსახურების მუშაკთა აზრით, რასაც თეორეტიკოსებიც იზიარებენ, ქვეყანაში ნარკომანიის ხაზით მოსალოდნელია სიტუაციის კიდევ უფრო გართულება, თავისი სხვა ახალი გამოვლინებებით, რასაც მოჰყვება ნარკომანთა რიგების ახალი ნაკადით შევსება. ამას ხელს უწყობს საქართველოს ნარკობიზნესისათვის უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც, მისი გამჭოლი საზღვრები, მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და რაც ყველაზე საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები სამართალდამცავი ორგანოების კონტროლის გარეშეა.

ჩვენ გავგაჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ნარკობიზნესმენები სულ უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, რათა აქ, ჩვენთან შესაბამისი კანონების არ არსებობის გამო, გააქვთილშობილონ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული დიდი მოგებები, რაც საერთო ჯამში ჩვენთვის პოლიტიკურადაც წამგებიანი იქნება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის და სხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ჩვენ არასწორად მიგვაჩნია საზოგადო-



ების გარკვეული ფენის, ასევე ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება ნარკოტიკების წინააღმდეგობრივი ან მთლიანი ლეგალიზაციის და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ.

სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არსებული ნორმები, ძირითადად მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, რასაც უკანასკნელ რამდენიმე წლის განმავლობაში პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნები.


ჩვენი აზრით, კანონსაწინააღმდეგო ქმედება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან: პირველი, ნარკოტიკი ეს ალკოჰოლი და თამბაქო არ არის და მათი ბრუნვა შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარება; მეორე, ნარკოტიკის მიღება უადრესად დამლუპველია ადამიანის ორგანიზმისათვის, რაც ნებისმიერი საზოგადოებისათვის უადრესად საშიშია. გარდა ამისა, ნარკოტიკების მოხმარება თითქმის ყოველთვის ჯგუფურ ხასიათს ატარებს, რაც განსაზღვრავს ნარკომანიაში მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების ჩართვას, მათ შორის, ძირითადად, ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნების. ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება განაპირობებს არა მარტო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას, არამედ ნარკოტიკული თრობის ქვეშ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ზრდასაც. ცნობისათვის, დანაშაულის საერთო სტრუქტურაში ქონებრივი დანაშაულის 41,2 პროცენტი ჩადენილია ნარკოტიკებთან უკანონო შეხებაში მყოფი პირების მიერ, ხოლო მძიმე სახის დანაშაულის 16,8 პროცენტი ჩადენილია ნარკოტიკული თრობის ქვეშ<sup>1</sup>.

სწორედ ამის გამო, არსებული სამართლებრივი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, წარმოადგენს მოსახლეობის ნარკოტიზაციისაგან შემაკავებელ ფაქტორს და რაც მთავარია, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ასევე მთლიანად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სამართალდამცავი ორგანოები თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მთავარ მიზნად არ ისახავენ ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის რაც შეიძლება მეტი პიროვნების პასუხისმგებებაში მიცემას. მაგალითად: 1994 წელს პასუხისმგებებაში მიცემულია 5 ასეთი პიროვნება, ხოლო 1996 წელს 23 პიროვნება. ადმინისტრაციულად ნარკოტიკების პირველადი მოხმარებისათვის შესაბამისად დასჯილია 177 და 144 პიროვნება. როგორც წესი, ეს ის კატეგორიაა, რომელიც არ დაადგა გამოსწორების გზას, ხასიათდებიან უარყოფითად და ეწევიან სხვადასხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პარაზიტულ ცხოვრებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციას ნიშნავს, რაც გამოიწვევს მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებს, როგორც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ისე სამართალდამოყენებით პრაქტიკაში.

ავიღოთ რამდენიმე ასეთი მაგალითი: მოქმედი კანონმდებლობით ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე დაყოლიება მეტად მკაცრად ისჯება (მაქსიმალ-



ური სასჯელი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ასევე მკაცრად ისჯება ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ბუნავის მოწყობა ან შენახვა (მაქსიმალური სასჯელი 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით). არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის ახსნა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებათ კანონის ამ ნორმებს ნარკომანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, პირველ რიგში, მისი პრევენტიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. გამოდის იურიდიული ნონსენსი — ნარკოტიკების ხმარებაზე არ ისჯება ადამიანი, ხოლო მისი მოხმარებაზე დაყოლიება ან ამ მიზნით ბუნავის მოწყობა და შენახვა წარმოადგენს დანაშაულს.

აქ არ შემიძლია არ მოვიყვანო რუსეთის მაგალითი, სადაც 1991 წლის 5 დეკემბერს გააუქმეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის<sup>2</sup>, რამაც მათ ქვეყანაში უმძიმესი ნეგატიური შედეგები გამოიწვია. იქ ბევრი იურისტი, მათ შორს ადვოკატები, სვამენ საკითხს ასე, თუ ნარკოტიკების მიღება დაშვებულია, მაშინ არც უნდა იყოს პასუხისმგებლობა პირადი მოხმარებისათვის მისი დამზადების და შენახვისათვის, რაც ლოგიკურია.

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს რუსეთი ევროპაში ნარკომანიით ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ დაზარალებული ქვეყანაა, ხოლო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებით მან ამ ხაზით ტრადიციულად დაზარალებულ მრავალ ქვეყანას გაუსწრო.

ჩვენი აზრით, ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნებით მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება ფაქტობრივად გზას უხსნის ნებისმიერ პიროვნებას მისი მოხმარებისაკენ და არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი გამოიწვევს ნარკოტიკებზე მოთხოვნის გაზრდას და საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით მცენარეული სახის ნარკოტიკების შიდა წარმოების ბაზრის განვითარებას.

საქართველო ალბათ ამ სფეროში ვერ წავა საერთაშორისო თანამეგობრობის და მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს მიერ აღებული კურსის საწინააღმდეგოდ. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, გარდა რუსეთისა, არც ერთ ქვეყანას არ შეუსუსტებია კანონი ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის და არ წასულა დეკრიმინალიზაციის გზით, პირიქით, შეიძლება ჩამოვთვალოთ მთელი რიგი ქვეყნები, სადაც ასეთი კანონები მოქმედებს. იაპონიაში ეგრეთწოდებულ რბილი ნარკოტიკების მიღება (მარიხუანა) ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ძლიერი ნარკოტიკების მიღება (ჰეროინი, კოკაინი) ისჯება 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ტაილანდში შესაბამისად 1 და 10 წლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური დაცვის ინსტიტუტის მონაცემებით<sup>3</sup> ანალოგიური კანონის ნორმები მოქმედებს ისეთ ქვეყნებშიც, როგორცაა:

- საფრანგეთი: თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ან ჯარიმა 50-დან 5000 ფრანკამდე;
- საბერძნეთი: თავისუფლების აღკვეთა 2-დან 5 წლამდე, თუ ის პიროვნება არ არის ნარკომანი. თუ ნარკომანია, იგი ექვემდებარება იძულებით მკურნალობას;

<sup>2</sup> Постановление Верховного Совета РФ 5 декабря 1991 г.

<sup>3</sup> United Nations International Drug Control Programme. Model Law. November, 1993.

– ახალი სამხრეთ უელსი (ავსტრალია): თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე, ან ჯარიმა 2000 ავსტრალიური დოლარი;

– შვეიცარია: თავისუფლების აღკვეთა 3 თვემდე ან ჯარიმა. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებულ იქნას პირობითი სასჯელიც ან საქმის განხილვის გადავადება;

– თურქეთი: თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5 წლამდე;

– ეგვიპტე: თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე;

– აშშ-ში ნარკოტიკების მიღებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული მთელ რიგ შტატებში;

– დიდ ბრიტანეთში ისჯება ოპიუმის მიღება.

შვეიცარიაში 1991 წელს შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის, რაც საერთაშორისო სპეციალისტების მიერ შეფასებულია, როგორც პროგრესული ნაბიჯი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ცალკე საკითხია, ე. წ. „ჰოლანდიური სამოთხე“<sup>4</sup>, სადაც ნარკოტიკების კერძოდ, „მარიხუანას“ მოხმარებაზე, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოქმედებდა კლიბერალური კანონები.

სპეციალურ ადგილებში დაშვებული იყო განსაზღვრული რაოდენობის ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა. ამჟამად გასაყიდი „პორციები“ მინიმუმამდე შეამცირეს, ხოლო რაც შეეხება მძიმე ნარკოტიკებს, იგი აკრძალულ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნება. აკრძალა ოპიუმის და მარიხუანას კულტივირებაც.

ყოველივე ეს მოხდა მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების დიდი ზეწოლით, რადგან ჰოლანდიის ამ სარიცხო ექსპერიმენტმა დიდი საშიშროება შეუქმნა ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებს.

ჩვენი აზრით, აუცილებელია საქართველოში არსებული გამოკვლევების, მსოფლიო პრაქტიკის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალების საფუძველზე გავერკვეთ, თუ რა შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზაციამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აკრძალვამ.

## ადამიანის უფლებათა დეკლარაცია

მუხლი 4. – „თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ვაკეთოთ ყველაფერი ის, რაც არ ვნებს გარშემო მყოფთ“.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის და არასამედიცინო დანიშნულებით მისი მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების მომხრენი გვამღევენ „გარანტიას“, რომ იგი არ მიაყენებს ვნებას საზოგადოებას.

ჩვენ ვიცით დღეს როგორი ნარკოტიკული მდგომარეობაა და ვიცით, რა რაოდენ უარყოფითად მოქმედებს იგი ჩვენს ახალგაზრდობაზე. ჩვენ არ ვიცით რა იქნება ლეგალიზაციის ან ზემოთ აღნიშნული კანონის გაუქმების შემთხვევაში. ამიტომ ღირს კი წავიდეთ რისკზე?

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების ავტორები ჩვენს ახალგაზრდობას უბიძგებენ ისეთი აზარტული თამაშებისაკენ, რომლის მოგება ნულის ტოლფასია<sup>5</sup>.

<sup>4</sup> Report of the International Narcotics Control Board for 1993. Vienna, page 47.

<sup>5</sup> ნარკომანია, პირისახით და პროფილში, გვ. 120. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თუ გადავავლებთ თვალს ისტორიას, გავიხსენებთ, რომ ნარკომანიის ვაერცელებას ნახტომისებური ფორმა ახასიათებს. ბოლო ბიძგი 60-იან წლებში იყო დაფიქსირებული. 70-იან წლებს ახასიათებდა ლსდ-ს გამოჩენა და გავრცელება. 80-იან წლებს სხვადასხვა სახის გამხსნელები და სტიმულატორები ხოლო 90-იან წლებში გავრცელება პოვა ახალი სახის ანაბოლიტიკება.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა, ჯერჯერობით ბრძოლა ნარკომადიის სასარგებლოდ მიმდინარეობს, თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესების კონტურები მაინც ისახება.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნარკოტიკებზე ფასები დაიწვეს შავი ბაზრი გაუქმებით — ეს უტოპიაა. ის შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ერთდროულად დაიკავენ ამ პოზიციას მთელ მსოფლიოში.

ასევე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ რომ ნარკოტიკების მომხმარებლები გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ჩვენთვის არის ცნობილი, ხოლო აკრძალვის გაუქმება ახალ იმპულსს მისცემს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას. ლედერმანის კანონი, რომელიც ეხება ალკოჰოლს — რაც უფრო მეტია მომხმარებელი, მით უფრო მეტია მისი ბოროტად გამოყენებელი და საბოლოოდ მით უფრო მეტი იქნება ავადმყოფები, — მთელი სიმწვავეთ ვრცელდება ნარკომანიაზეც. ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, „პირობითად კანონდამჯერნი“, დაიწყებს მათ მიღებას, ეს კი გამოიწვევს მის მომხმარებელთა სერიოზულ ზრდას, რაც მეტად ნეგატიურად იმოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: საზოგადოებრივი წესრიგი, სატრანსპორტო მოძრაობა, კრიმინოგენური სიტუაცია და სხვა.

როდესაც ნარკოტიკები ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის, მოიმატებს ძალადობა, დაინგრევა მრავალი ოჯახი, სერიოზული საფრთხე დაემუქრება მოსახლეობის ჯანმრთელობას, მოსალოდნელია ფსიქიურ დაავადებათა აფეთქება, სერიოზული საფრთხე დაემუქრება კულტურას და სხვა მრავალი.

მოკლედ, მოსახლეობის ერთი ჯანსაღი ნაწილი მიემსახურება მეორე ავადმყოფ ნაწილს, რომელთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზრდება.

დავუშვათ, მოხდა ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია. მაშინ, მიუხედავად ლეგალიზაციისა, მაინც მოგვიწევს გარკვეული შეზღუდვების დაწესება, რადგან მთლიანი ლეგალიზაციის განხორციელება შეუძლებელია.

- ავტომანქანის ტარება ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არ შეიძლება;
- წარმოებაში მექანიზმებთან მუშაობა არ შეიძლება;
- სამართალდამცავ და სახელმწიფო სტრუქტურებში ასეთი პირების მუშაობა დაუშვებელია;
- არასრულწლოვანი მოქალაქეების მიერ მისი მოხმარება არ შეიძლება და სხვა აკრძალვები;
- ასევე აუცილებელია აკრძალვები — კანონის ჩარევა ფსიქიურად დაავადებულ ნარკომან პირების მიმართ.

პრობლემას ვერც ნარკოტიკების ნაწილობრივი, რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) ლეგალიზაცია მოხსნის, რადგან პრობლემა არა იმდენად ნარკოტიკულ საშუალებაშია, რამდენადაც მისი მოხმარების გამომწვევ მიზეზებსა და მასშტაბებში მდგომარეობს.

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ გავაუქმებთ პასუხისმგებლობას მარიხუანას მოხმარებისათვის, ჰეროინის, ოპიუმის მოხმარებლები მაინც ვააგრძელებენ თავის საქმიანობას, ასე, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა მაინც ვაგრძელებდა.

ღიას, ნარკომანია ძვირაც უჯდება საზოგადოებას, ეკონომიკური ინვესტიციები, სამედიცინო და სოციალურ სფეროში გაწეული საქმიანობა და ა. შ. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ შემცირდება მისი ლეგალიზაციის შემდეგ?

არგუმენტი, რომლის მიხედვით კანონს არ შეუძლია აკრძალოს ის, რაც უშუალოდ არ ავნებს გარშემო მყოფთ — ყოველი ადამიანი თავის სხეულს ექცევა ისე, როგორც ეს მას სურს, წარსული დროა, ყველა ქვეყნის კანონმდებლები უკვე კარგა ხანია ითვალისწინებენ (ბრალდების განსაზღვრისას) არა მარტო პირდაპირი მატერიალური აქტის იმ წუთიერ ეფექტს, არამედ იმ საშიშროებასაც, რომელსაც ეს ფაქტი შეიცავს, ითვალისწინებენ მისგან მოსალოდნელ პოტენციურ რისკს და ახდენენ მისი შემდგომი შედეგების სოციალურ შეფასებას<sup>6</sup>.

ავიღოთ, მაგალითად, უსაფრთხოების ღვედების ხმარება. მისი შეუსრულებლობისათვის დგება პასუხისმგებლობა, თუმცა გარშემო მყოფთ უშუალოდ ზიანს არ აყენებს, როგორც მინდა ისე ვმზავრობ — ჩემი სიცოცხლე მე მეკუთვნის.

კანონი ისეთი უნდა იყოს, რომ არ მისცეს უპირატესობა იმ უარყოფითს, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად იმოქმედებს. უნდა ვიმოქმედოთ, ისე, რომ ნარკომანების მოქმედება ჩააყენოთ მუდმივი რისკის ქვეშ.

ჰოლანდიის მაგალითმა დაარწმუნა ევროპა, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციას კარგი არაფერი მოაქვს.

სახელმწიფო ვერ გაექცევა თავის ვალდებულებებს მისი მოქალაქეების წინაშე. თუ მისთვის ძნელია ყველა საშუალებით აღკვეთოს ნარკოტიკების მოხმარება მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ეს არ ნიშნავს, რომ საკითხის გასამართლებლად მან უნდა დაუშვას მისი მოხმარება, პირიქით, იგი უნდა წავიდეს იმავე ძნელი გზით და სრულყო თავისი საქმიანობა. შეიძლება სახელმწიფომ, რომელსაც ევალება დაცვა თავისი ერი, მისი ახალგაზრდა თაობა, დაუშვას ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ოლიმპიური სიმშვიდით უყუროს თუ როგორ იწამლება და იშლება საზოგადოება? — არა!

რას გვეუბნება ისტორია? იყო დრო, როდესაც აკრძალული არ იყო ნარკოტიკების მოხმარება. მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნეში არ არსებობდა ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვის პრობლემა. სწორედ „ოპიუმის“ ვაჭრობის განვითარებისათვის განაზოცრციელა ინგლისმა ზედიზედ ორი ომი, 1858 და 1889 წლებში, ჩინეთთან, რომელიც „ოპიუმის“ ომებით არის ცნობილი, რათა აეზღუდა ეს ქვეყანა ეყიდა „ოპიუმი“ ბრიტანეთის კოლონიებში (ინდოეთი და ბენგალი) სწორედ ამ პერიოდში იზრდება ევროპაში ნარკოტიკების, „ოპიუმის“, შემდგომ კი მორფინის მოხმარების მასშტაბები, და არა მარტო თერაპევტული მიზნებით, არამედ არასამედიცინო მიზნითაც.

არის ისტორიული მონაცემები იმისა, რომ ბრიტანული ბიძგის შემდგომ აზიაში ნარკოტიკების მოხმარებამ უდიდესი მასშტაბები მიიღო. თუ 1850 წელს ნარკომანთა რიცხვი ორი მილიონი იყო, 1880 წელს მან 120 მილიონს გადააჭარბა. სწორედ ეს სიტუაცია დაედო საფუძვლად მთელ რიგ ქვეყნებში ოპიუმის მოხმარების და თავისუფლად მოყვანის აკრძალვის დეკრეტების მიღებას, ამ აკრძალვამა ღონისძიებებმა დადებითი როლი შეასრულეს საუკუნის ოციან

<sup>6</sup> International Narcotic Control. Strategy report. — april, 1993. 15



წლებში ნარკობიზნესის შემდგომი ვაერცელების თავიდან აცილების საქმეში. სწორედ ამაში ითამაშა დადებითი როლი შანხაის 1909 წლის და ჰააგის 1922 წლის კონვენციებმა.

სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნულმა მოვლენამ მიმდინარე საუკუნის პირველ და შემდგომ, მეორე ნახევარში საშიში მასშტაბები მიიღო, საერთაშორისო საზოგადოებამ ყველა ქვეყანას დაავალა ამ ხაზით მკაცრი რეპრესიული მეთოდების გატარება.

უმეტესმა ქვეყნებმა აღიარა ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვის პრინციპი და განსაზღვრა მისი დარღვევისათვის მთელი რივი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სახის, სანქციები:

- ნარკოტიკების მოხმარების პირდაპირი აკრძალვა;
- ირიბი აკრძალვა (პასუხისმგებლობის შემოღება ნარკოტიკების მოხმარებისათვის და შექმნისათვის, თუნდაც პირადი მოხმარების მიზნით);
- ნარკოტიკების გარკვეული სახეობების მოხმარების აკრძალვა;
- ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივ ადგილებში;
- ირიბი აკრძალვა (პასუხისმგებლობა გარკვეული რაოდენობის ნარკოტიკების შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით)<sup>7</sup>.

### კონვენციების ვალდებულება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის ნარკოტიკულ საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის მე-3 სტატია ამბობს, რომ ამ კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყანა ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება 1961 და 1971 წლების კონვენციებში მოცემული ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვას, შექმნას და კულტივირებას (მოყვანას).

იგივე სტატია კონვენციის წევრ ქვეყნებს უკრძალავს ნარკოტიკების შენახვას სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე.

მე-14 სტატია კი ავალდებულებს ამ ქვეყნებს გაატარონ ყველა შესაძლებელი ღონისძიებები ნარკოტიკების მიწოდების (მოთხოვნის) თავიდან ასაცილებლად, ასევე ნარკომანების გამოსავლენად, მათი შემდგომი სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

1988 წლის კონვენციის მოთხოვნები ავალდებულებს სახელმწიფოებს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას დაუპირისპიროს რეპრესიული მეთოდები, ასევე სამედიცინო ან პროფილაქტიკური ღონისძიებები, ან ყველა ერთად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის მე-3 სტატია ყველა სახელმწიფოებს ავალდებულებს ბრალად სცნოს ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესყიდვა, შენახვა და კულტივირება (მოყვანა) პირადი გამოყენების მიზნით<sup>8</sup>.

7 Типовой Закон о борьбе с незаконным производством и оборотом веществ, находящихся под контролем, и мерах по борьбе со злоупотреблением наркотическими средствами и психотронными веществами. стр. 22-29.

8 Конференция Организации Объединенных Наций для принятия Конвенции о борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотронных веществ. Официальные отчеты. Том I. Вена, 25 ноября — 20 декабря 1988 г.

თუმცა საქართველო ნარკოტიკულ საშუალებებთან და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან დაკავშირებული არცერთი კონვენციის წევრი არ არის, მაგრამ, ზვენი აზრით, ანგარიში უნდა გაუწიროს მათ მოთხოვნებს. (ჰოლანდიამ სწორედ 1989 წლის კონვენციის მოთხოვნების თანახმად გაამკაცრა თავისი პოზიციები).

## სოციალური მოსაზრება

აუცილებელია ნარკოტიკების მოხმარებაზე აკრძალვის შენარჩუნება თუნდაც იგი ვერ შევასრულოთ და მას გააჩნდეს გარკვეული უარყოფითი მომენტებიც. დაე იყოს კანონის მკვიდრი „ნორმა“, რადგან საზოგადოება უნდა დავიცვათ ამ საშიში სენისაგან. კანონის ეს ნორმა „დამოკლეს მახვილივით“ უნდა იყოს აღმართული იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, მორალურ სისხეტაკეს, ადამიანურ ღირსებას.

## მოსაზრება ალფრედორობითი თვალსაზრისით

ახალგაზრდობას გარკვეულად სჭირდება მისი მოსაზრებების, მსოფლმხედველობის სწორი დრინტირება, რომელიც გარკვეულ პრინციპებზე უნდა იყოს აგებული. მისი დიდი, კანონდამჯერი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვნებიც თავს იკავებენ ნარკოტიკებისაგან. ნარკოტიკების ლეგალიზაცია ბევრ ახალგაზრდას უბიძგებს ნარკოტიკების მოხმარებისაკენ, რასაც ისინი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდნენ. ლეგალიზაციის შემთხვევაში არ იქნება არავითარი ბარიერი, რის გამოც ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების — არასრულწლოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება.


ამიტომ, გარდა სხვა შემაკავებელი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა აღრეული წლებიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. საწინააღმდეგო შემთხვევაში ქვეყანაში ნარკომანიის მასშტაბების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს. (ამას თვალნათლივ მოწმობს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი).

არის მოსაზრებები, რომ ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზაცია, ან კიდევ რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს ნარკომანიების გამოვლენას და მათ „მოვლას“, მაგრამ ამას აუცილებლად მოჰყვება ათასობით ახალგაზრდის — არასრულწლოვანების ჩართვა ნარკომანიაში.

— არ შეიძლება ჰაშიშის მოხმარებაზე ნების დართვა, თუ არ დაერთო ნება სხვა სახის ნარკოტიკების მოხმარებაზეც;

— არ შეიძლება ნარკოტიკების მოხმარებაზე ნების დართვა სხვადასხვა აკრძალვების გარეშე (არასრულწლოვნები, მშობიარე ქალები, სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკები და სხვა);

— ვერაზინ ვერ განსაზღვრავს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მასშტაბებს მისი ლეგალიზაციის შემთხვევაში.



— მოახდინონ პრობლემის დარეგულირება ლეგალიზაციის საშუალებით ან შეარბილონ ამ პრობლემის შემდგომი მოვლენები.

ლეგალიზაციის საშუალებით პრობლემის დარეგულირება — ეს თავის მოტყუება და გულუბრყვილობაა — თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ადამიანები თავს დაანებებენ ნარკოტიკების მიღებას. ეს არ მოგვცემს პრობლემის შემსუბუქების და მდგომარეობის გარკვეულად გაუმჯობესების საშუალებას.

ნარკოტიკების და მისი მოხმარების ლეგალიზაცია ნარკომანებისათვის არაფერს ახალს არ წარმოადგენს, რადგან მიუხედავად კანონის ამკრძალავი ზომებისა, ისინი მაინც ღებულობენ ნარკოტიკებს. ასე რომ, ლეგალიზაცია შეეხება მხოლოდ იმათ, ვინც ადრე არ ღებულობდა ნარკოტიკებს.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ის ხელს შეუწყობს თავისუფლად მკურნალობის საშუალებას და ნარკომანები დიდი ენთუზიაზმით დაიწყებენ მკურნალობის კურსის გავლას, გულუბრყვილობაა, რადგან საკუთარი სურვილით (ნებაყოფლობით,) ნარკომანები იშვიათად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს და მათი იქ წარდგენა თითქმის ყველა შემთხვევაში შინაგანი ორგანოების თანამშრომელთა დახმარებით ხდება.


### ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისი

ლეგალიზაცია ნარკობიზნესს მისცემს ახალ ბიძგს მისი მასშტაბების გაძლიერებისაკენ, დაიწყება კონსურენცია შიდა ბაზარზე. საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების „იმპორტი“ ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით დაიწყება მცენარეული სახის ნარკოტიკული ნივთიერებების დათესვა და მოყვანა, ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი. იგი ასევე სტიმული იქნება, რათა საქართველო გახდეს ნარკოტიკების გადაზიდვის ცენტრი კავკასიაში, როგორც ევროპაში კოლანდიაა.

ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოში ნარკომანთა რიცხვის საგრძნობ გაზრდას, ნარკობიზნესის განვითარებას, საქართველოს ნარკოტიკების სატრანსპორტო ქვეყნად გადაქცევას, ამას კი მოჰყვება უცხოელი ნარკობიზნესმენების მიერ საქართველოს ეკონომიკაში თავიანთი დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ფულის გაკეთილშობილების მზარდი მასშტაბები, რაც საქართველოსათვის პოლიტიკურად უადრესად წამგებიანი იქნება და საბოლოოდ ლათინური ამერიკის და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ბედი გვაწვევა.

### სამედიცინო თვალსაზრისი

ილუზიაა იმის თქმა, რომ ჩვენ ნარკომანს დავეხმარებით, თუ მას თავისუფლად შეეძლება ნარკოტიკების შოვნა და მიღება. ეს იმას ჰგავს, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებულს მივცეთ დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელი და ვუყუროთ, თუ როგორ დაიღუპება ესა თუ ის ადამიანი.



ნებისმიერი სახის ნარკოტიკი მავნეა ადამიანისათვის. მათ შორის მარტოველი ხუანაც და სხვა რბილი ნარკოტიკები.

კიდევ ერთი საკითხი — როგორ მოხდება ნარკომანების აღრიცხვაზე აყვანა, მათი სოციალური კონტროლი და საერთოდ როგორი იქნება ლეგალიზაციის შემთხვევაში სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ურთიერთკავშირი?

ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება, როგორც აღვნიშნეთ, ნარკომანთა რიგების მკვეთრ გაზრდას გამოიწვევს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეს-დღეობით, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ერთი ნარკომანის მკურნალობა რამდენიმე ასეული დოლარი ჯდება, სავესებით ვასაგები მიზეზების გამო, ამას ჩვენს ქვეყანაში ვერ განვახორციელებთ, რადგან ამჟამად სახელმწიფოს ერთი ნარკომანის მკურნალობისათვის რამდენიმე დოლარის გამოყოფის საშუალებაც კი არა აქვს. გამომდინარე აქედან, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის გარეშე დარჩენილ ნარკომანთა რიცხვი სულ უფრო და უფრო გაიზრდება.

კიდევ ერთი საკითხი — საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს ნარკომანთა იძულებითი მკურნალობის ინსტიტუტი და აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის პირებისათვის იძულებითი ტიპის სამკურნალო დაწესებულებებიც.

### კრიმინალური მოსაზრება

პრაქტიკა, არსებული ინფორმაციები, სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა მიგვანიშნებს, რომ ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პირები მჭიდრო კავშირში არიან დამნაშავეობასთან, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება<sup>9</sup>:

- ნარკოტიკების მოხმარება — 41,7%;
- მკვლელობა — 3,4%;
- გაუპატიურება — 4,7%;
- ხულიგნობა — 12,8%;
- ქონებრივი დანაშაული — 22,6%;
- სხვა დანაშაულებები — 7,8%;

დღეის მონაცემებით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, რადგან ქვეყანაში გამოიკვეთა ნარკომანიის, იარაღის უკანონო ტარების და მძიმე დანაშაულის მჭიდრო ურთიერთკავშირი. სწორედ ამიტომ ნარკოტიკების მთელი ან ნაწილობრივი ლეგალიზაცია, ასევე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება დამნაშავეობის ზრდის მძლავრი იმპულსი იქნება.

პირიქით, აკრძალვა, რეპრესიული ღონისძიებები ამცირებს ნარკომანების რიცხვს, უბედური შემთხვევების (მოწამვლა უხარისხო ნარკოტიკებით, დიდი დოზის მიღება ძირითადად ახალდამწყებ ნარკომანებში და სხვა) რაოდენობას და იძლევა ამ პროცესების კონტროლის საშუალებას.

მოკლედ, ნარკომანიის პრობლემის გადაჭრა ლეგალიზაციის გზით ეს იგივეა, რომ ჩავაქროთ ხანძარი მასზე ბენზინის ჭავლის მიმართებით<sup>10</sup>.

<sup>9</sup> Информационный бюллетень МВД Грузинской ССР № 2. 1988 г.

<sup>10</sup> ნარკომანია პირისახით და პროფილში.

**ლეგალიზაცია** — ეს არის პოლიტიკოსების და ინტელექტუალების გარკვეული ნაწილის ცდა სოციალური, სამედიცინო, კრიმინოგენური და სხვა პრობლემების გადაწყვეტისა გრძელვადიანი, შრომატევადი ღონისძიებების გვერდის ავლით, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის, კერძოდ მისი ახალგაზრდობისათვის უაღრესად საზიფათოა.


ლეგალიზაციის მომხრეები, რომელთაც „აფიქრებთ“ იმ ახალგაზრდა ნარკომანების ბედი, რომელნიც მის უხარისხო სახეობებს ანტისანიტარიის პირობებში დებულობენ, ამბობენ: გავაუქმით პასუხისმგებლობა ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიღებისათვის, მოვახდინოთ მისი ლეგალიზაცია და აღარ იქნება პრობლემა ასეთი საგანგაშო და ჩვენი აზროვნებაც და ფსიქიკაც დაისვენებს.

ასეთი ადამიანები არ უფიქრდებიან, თუ როგორი შეიძლება იყოს ამკრძალავი ღონისძიებების გაუქმების შემდგომი მოვლენები საზოგადოებისათვის, როდესაც ნარკოტიკი ცხოვრების შემადგენელი ერთ-ერთი წესი გახდება.

ნუთუ არაფერს გვასწავლის ჩინეთის მაგალითი, როდესაც საუკუნის დასაწყისში ნარკოტიკებმა უაღრესად დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, კულტურაზე და სხვა. ნუთუ საქართველომ არასოდეს არაფერი არ უნდა ისწავლოს სხვის შეცდომებზე?!

### ჯეგალ ჯანაშია,

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



ირმა მერაბაშვილი

## საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო რეფორმის შესახებ

სამართლებრივი სახელმწიფოს რეალურად აშენება და ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამყარება ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე აყენებს სასამართლო რეფორმის გატარების აუცილებლობას, საქართველოში სასურველია, გამოვიყენოთ საზღვარგარეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება, თუმცა, მხოლოდ ამ ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და აუცილებელია, რომ სასამართლო რეფორმის გატარებას საფუძვლად დაედოს ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები, ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ცხოვრების კულტურა და ზნისათი.

საქართველოში, ისევე, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაშია მიღებული, მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო უნდა ახორციელებდეს. სასამართლო სისტემა კი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი იყოს ყოველგვარ დარღვევაზე დროული და ზუსტი რეაგირება.

ვიდრე დაიხვეწება და რეალურად განხორციელდება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ახალი იდეა, ვფიქრობთ, სასამართლო სისტემის ქვედა რგოლად უნდა დარჩეს რაიონის, ქალაქის სასამართლო, შემდეგ კი იგი შეიცვლება ქვედა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. რაიონის, ქალაქის სასამართლო, აგრეთვე სამხედრო სასამართლოები, რომლებიც სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილების მიხედვით იქმნება და მოქმედებს, უნდა ასრულებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციებს.

მეორე ინსტანციის სასამართლოები უნდა იყოს სამხარეო (რეგიონალური) სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო. სახელმწიფოს უზენაესი სასამართლო ინსტანცია კი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს უნდა დაეკისროს ყველა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების, განჩინებისა და გადაწყვეტილებების საკასაციო წესით განხილვა, რისთვისაც უზენაეს სასამართლოში უნდა მოქმედებდეს სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა, ეკონომიკურ საქმეთა და სამხედრო საქმეთა სასამართლო პალატები. სასამართლო პალატები საქმეს განიხილავენ სულ ცოტა, სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით. მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და აღარ ექვემდებარებოდეს არც გასაჩივრებას და არც გაპროტესტებას. ამით სასამართლომ თავიდან უნდა მოიცილოს, ჩემი აზრით, ისეთი ზედმეტი დატვირთვა და ფუნქცია, როგორცაა ახლა მოქმედი საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვა. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შესაბამის პალატებს უნდა მიეცეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დატვირთვა იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს, ელჩებს, კონსულებს, მოსამართლეებს; აგრეთვე, პირველი ინსტანციით განიხილოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანაშაულები.

მეორე ინსტანციის სასამართლოები, ვფიქრობ, უნდა აღიჭურვოს საქმეთა სააპელაციო განხილვის ფუნქციით. საქმეთა სააპელაციო განხილვა დღეს არსებული სასამართლო ორგანოთათვის უცხო, მაგრამ უთუოდ აუცილებელია, საქმეთა სწორად გადაწყვეტის მიზნით. სამხარეო (რეგიონალური) და თბილისის საქალაქო სასამართლომ მათდამი დაქვემდებარებული პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებზე, განჩინებებსა და გადაწყვეტილებებზე შეტანილი სააპელაციო საჩივრებისა და პროტესტების განხილვა უნდა განხორციელონ სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამხედრო საქმეთა კოლეგიების მიერ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არავითარი აუცილებლობით არაა გამოწვეული საარბიტრაჟო სასამართლოს, როგორც სპეციალური სასამართლოს ცალკე ფუნქციონირება, სასურველია, საარბიტრაჟო სასამართლოს ფუნქციები გადაეცეს მეორე ინსტანციის სასამართლოების ეკონომიკური დავების განმხილველ კოლეგიას, რომელიც ამ საქმეებს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებით. მეორე ინსტანციის სასამართლოს შესაბამისმა კოლეგიებმა, შესაძლებელია, პირველი ინსტანციით განიხილონ, აგრეთვე რთული კატეგორიის სისხლისა და სამოქალაქო საქმეები.


მეორე ინსტანციის სასამართლო კოლეგიები საქმეებს განიხილავენ სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით. კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დაქვემდებარება გასაჩივრებასა და გაპროტესტებას საკასაციო წესით.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი, ჩემი აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მოწყობასა და საქმიანობაში. ალბათ დროა, უარი ვთქვათ ისეთ უსარგებლო და არაფრისმოძგემ ინსტიტუტზე, როგორცაა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მსაჯული სასამართლოს შემადგენლობაში მხოლოდ ბუტაფორიული დანამატია. იგი არაპროფესიონალიზმის გამო ვერ იყენებს და ვერც გამოიყენებს არსებული კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ამასთან, სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობა ხელს უშლის სასამართლოს საქმიანობაში კოლეგიალობის პრინციპის განხორციელებას, რადგან მოსამართლეს ფაქტობრივად ერთპიროვნულად გამოაქვს გადაწყვეტილება, განაჩენი თუ განჩინება და მსაჯულები მხოლოდ მის ნებას ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით.

აუცილებელია, სასამართლო რეფორმის განხორციელებისას ყურადღება მიექცეს ამ საკითხს. მსაჯულთა ინსტიტუტის მხოლოდ იმ მოტივით არსებობა, რომ იგი სასამართლოში საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას უზრუნველყოფს, ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. ვფიქრობ, საზოგადოება უფრო კმაყოფილი დარჩება, თუ სასამართლოში განსახილველად შეტანილ ყველა საქმეზე გამოტანილი იქნება დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება, განაჩენი თუ განჩინება, რაც უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოში მხოლოდ პროფესიონალი კადრების საქმიანობით. ვფიქრობთ, სასამართლოში საქმეთა სწორად განხილვას ვერც საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება უზრუნველყოფს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უარსაყოფად შეგვიძლია იგივე, არაპროფესიონალიზმი მოვიშველიოთ; მით უმეტეს, რომ ნაფიც მსაჯულებს მინიჭებული აქვთ საქმის არსებითად გადაწყვეტის უფლებამოსილება.

მიმაჩნია, რომ რაიონისა და ქალაქის სასამართლოში საქმის განხილვა უნდა წარმოებდეს სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ, რომლებიც დასპეცი-



ალიზირებულნი იქნებიან კონკრეტულად სისხლის ან სამოქალაქო საქმეების განხილვაზე. სამხედრო სასამართლოებში ასევე სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ უნდა იქნას განხილული სამხედრო პირების სამართალდარღვევები. თუმცა, რაიონისა და ქალაქის მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, რათა ერთპიროვნულად განიხილონ და გადაწყვიტონ სამოქალაქო სამართლის გარკვეული კატეგორიის საქმეები, სისხლის სამართალდარღვევათაგან შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების დანაშაულები, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.

რაიონის, ქალაქის, სამხედრო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, განაჩენები და განჩინებები უნდა დაექვემდებაროს გასაჩივრებასა და გაპროტესტებას როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით. ვფიქრობ, სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვა რეალურად შეუწყობს ხელს კანონიერების განმტკიცებასა და მის ცხოვრებაში გატარებას.

მართლმსაჯულების მაღალ დონეზე განხორციელებას უთუოდ ესაჭიროება მაღალკვალიფიციური პროფესიონალები. მოსამართლის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატების შერჩევა მეტად პასუხსააგები საქმეა და ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ ეს მისია დაეკისრება არა ერთ პირს, არამედ კოლეგიალურ ორგანოს, ვთქვათ, პირობითად, მართლმსაჯულების საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ გამოჩენილი პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტები. მართლმსაჯულების საბჭომ კონკურსის საფუძველზე უნდა შეარჩიოს მოსამართლეობის კანდიდატები, უზრუნველყოს მათი პროფესიონალიზმის კიდევ უფრო ამაღლება და შემდგომ გააკეთოს დასკვნა ამა თუ ამ კანდიდატის მიერ მოსამართლის თანამდებობის დაკავების მიზანშეწონილობის თაობაზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას არ არის აუცილებელი, რათა ბარიერად გამოვიყენოთ ასაკობრივი ცენზი თუ პროფილით მუშაობის სტაჟი, თუკი საქმე ეხება ჭეშმარიტად ღირსეულ კანდიდატურებს. ამით ხელს შევუწყობთ ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრებით როგორც პირველი, ასევე ზედა ინსტანციებში სასამართლოების შევსებას.

ვფიქრობთ, არც თუ უკანასკნელი მნიშვნელობა აქვს შრომის ანაზღაურების საკითხს. ალბათ, სადარ არაფერია იმაში, რომ სასამართლო ორგანოების დაფინანსება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. სახელმწიფო ვალდებულია მართლმსაჯულების მუშაკები უზრუნველყოს ისეთი შრომის ანაზღაურებით, რათა გამოირიცხოს სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე ყოველგვარი ზეგავლენის მოხდენის საშიშროება. არადა, რაოდენ კვალიფიციური და პატიოსანი კადრებითაც არ უნდა იყოს დაკომპლექტებული სასამართლო, მათი შესაფერისი შრომის ანაზღაურების გარეშე, არასოდეს არ იქნება გარანტია, რომ ესა თუ ის კონკრეტული საქმე ტენდენციურად არ გადაწყდება და მოსამართლე მატერიალური ანაზღაურების სხვა საშუალებებს არ მოძებნის. ვფიქრობთ, თუ ეს პრობლემა არ გადაწყდა, მართლმსაჯულების რეალურ და სწორად განხორციელებას ვერც სასამართლო ორგანოების ახალი რგოლების შექმნა და ვერც რეფორმის გამტარებელი კომისიის საქმიანობა ვერ უშველის.

ყურადღებას ითხოვს, აგრეთვე, მოსამართლეთა დანიშვნის ვადის შესახებ საკითხი. სასურველია, სასამართლოს როგორც ქვედა, ასევე ზედა ინსტანციებში მოსამართლეები დაინიშნონ ხანგრძლივი ვადით ანდა სულაც მუდმივად, საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა იცნობს როგორც პირველ, ისე მეორე ვარიანტსაც. ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხის გადაწყვეტისას უთუოდ გასათვალისწინებელი იქნება ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მოსაზრებები.





აკოლონ ვალიაშვილი

## შემთხვევის ადგილის დათვალიერება


1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ცნება და არსი. შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება. იგი ტარდება უმრავლეს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს, როდესაც შემთხვევის ადგილზე შესაძლო იყო დარჩენილიყო დანაშაულის რაიმე კვალი ან საჭიროა შემთხვევის ვითარების გარკვევა და აღდგენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოძიებელი პირადად და უშუალოდ აღიქვამს, აფიქსირებს და იკვლევს იქ არსებულ დანაშაულის კვალს, ნივთიერ მტკიცებულებებს, შემთხვევის ვითარებასა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს იმ მიზნით, რომ დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ნიშნები, მისი ჩამდენი პირი, დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, ააგოს სწორი ვერსიები და დაადგინოს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები. ყოველივე ეს ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ გახსნას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ზოგადი ცნება. იგი მოიცავს არა მარტო შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, არამედ ადგილმდებარეობის, შენობის, საგნების, დოკუმენტების, ცოცხალ პირთა და გვამის დათვალიერებას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ამოცანად ისახავს იმას, რომ: აღმოჩენილი და ფიქსირებული იყოს დანაშაულის ჩადენის ყველა სახის კვალი და ნივთიერი მტკიცებულებანი, აღდგეს დანაშაულის ჩადენის ვითარება და მექანიზმი; დადგინდეს დანაშაულის ჩამდენი პირი და მისი ნიშან-თვისებები; „ცხელი კვალის“ მიხედვით განზოგადდეს დანაშაულის ჩამდენი პირის მოძებნა და დაკავება; გატარდეს ეფექტიანი ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი დანაშაულის სწრაფი გახსნის მიზნით; მოხდეს შემთხვევის ადგილის; იქ არსებულ კვალთა და გარემოებათა ფიქსაცია და პროცესუალური დამაგრება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, შეძლებისდაგვარად უნდა დადგინდეს: ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის ჩადენას, თუ ჰქონდა, რა სახის კონკრეტული დანაშაული იყო ჩადენილი; დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, დრო და ადგილი; რა სახის კვალი და ნივთიერი მტკიცებულება იყო აღმოჩენილი და დადგენილი; რა ვითარებაში იყო ჩადენილი დანაშაული და შემთხვევის ადგილის გარემოება; ვინ ჩაიდინა დანაშაული, რამდენი პირი იყო შემთხვევის ადგილზე, მათი ფიზიკური მონაცემები, ასაკი, სიმაღლე, ხელობა, გარეგნული ნიშნები; საიდან მოვიდნენ შემთხვევის ადგილზე და საით წავიდნენ დანაშაულის ჩამდენი პირები; ხომ არ გამოიყენეს ტექნიკური საშუალებანი და კერძოდ რა; ხომ არ იყო მიღებული ზომები დანაშაულის ჩადენის კვალის განადგურების ან მათი სახეცვლილებისათვის; არის, თუ არა შემთხვევის ადგილზე ნეგატიური ან დანაშაულის ჩადენის ფალსიფიკაციის ნიშნები; რაში



გამოიხატება დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი; რა სახის ზიანი დადგა დანაშაულის ჩადენის შედეგად; რა სახის კვალი შეიძლება დარჩენილიყო ჩამდენი პირის ტანსაცმელზე ან მის სხეულზე; რა გარემოებამ შეუწყო ხელი ან გააადვილა დანაშაულის ჩადენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეიძლება ამოიწუროს პირველადი დათვალიერებით, მაგრამ შეიძლება მოხდეს აგრეთვე შემთხვევის ადგილის დამატებითი ან განმეორებითი დათვალიერება. შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერება არის უფრო ეფექტიანი საგამომიებო მოქმედება, რადგან იგი ტარდება მაქსიმალურად სწრაფად და ოპერატიულად. ასეთ შემთხვევაში შემთხვევის ადგილის ვითარება, იქ არსებული კვალი და ნივთიერი მტკიცებულება, როგორც წესი, არის უცვლელი, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად ავსახოთ ყოველივე და მივიღოთ უტყუარი ინფორმაცია.

შემთხვევის ადგილის დამატებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო შემთხვევის ადგილზე ცალკეული კვალი თუ ნივთიერი მტკიცებულება ან საერთოდ არ იყო, ანდა უხარისხოდ იყო დათვალიერებული. დამატებითი დათვალიერების დროს ხდება არა შემთხვევის ადგილის მთლიანი დათვალიერება, არამედ ცალკეულ კვალთა, საგანთა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება.

შემთხვევის ადგილის განმეორებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი დათვალიერება, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჩატარებული იყო უხარისხოდ. განმეორებითი დათვალიერება უფრო ეფექტიანი იქნება მაშინ, თუ მცირე დრო გავიდა პირველი დათვალიერების დღიდან. განმეორებითი დათვალიერების დროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხდება მთლიანად და განმეორებით.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს შემთხვევის ადგილის დამატებით და განმეორებით დათვალიერებას. ამ შემთხვევებში დაცული უნდა იყოს ის პროცესუალური რეჟიმი, რაც დადგენილია პირველი დათვალიერებისათვის.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებას აწარმოებს და წარმართავს გამომძიებელი (მომკვლევე პირი), რომელსაც დაევალა ამ საგამომიებო მოქმედების ჩატარება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ყველა მონაწილე პირი ექვემდებარება გამომძიებელს და ასრულებს მის ქოთხოვნას. შემთხვევის ადგილის დათვალიერებას შეიძლება დაესწროს პროკურორი (პოლიციის ორგანოს უფროსი), მაგრამ ისინიც ემორჩილებიან გამომძიებელს. თუ პროკურორი მივაღსკვნამდე, რომ გამომძიებელი უხარისხოდ და არაობიექტურად ატარებს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, მას უფლება აქვს ჩამოაცილოს გამომძიებელი და თავის თავზე აიღოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ასეთ შემთხვევაში პროკურორს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა შემთხვევის ადგილის ხარისხიანი და ობიექტური დათვალიერებისათვის (სსს კოდექსის 211-ე მუხლი).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების სავალდებულო მონაწილეები არიან დამსწრეები. ისინი მოიწვევიან იმ მიზნით, რომ დაესწრონ დათვალიერებას და დაადასტურონ დათვალიერების პროცესის მსვლელობა და ობიექტურობა შემთხვევის ადგილის ოქმზე ხელის მოწერით. დამსწრეს სახით მოწვეულ უნდა იყოს ობიექტური პირი, რომელიც პირადად არ არის საქმის შედეგებით დაინტერესებული. ამ პრინციპიდან გამომდინარე დამსწრედ არ უნდა იყოს მოწვეული პოლიციის, პროკურატურის ან სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, ასევე დამსწრედ არ მოიწვევიან ისეთი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირები, რომელთაც არ შეუძლიათ სწორად აღიქვან მოვლენები

და ფაქტები (ბრმა, ყრუ, მუნჯი, მცირეწლოვანი, ღრმად მოხუცებული ფსიქიკურად დაავადებული პირი და ა. შ.).

შემთხვევის ადგილის დაცვის მიზნით და სხვა სახის დახმარების გაწევისათვის დათვალაიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევიან პოლიციის თანამშრომლები, ხოლო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების მიზნით — სამძებროსა და სხვა სამსახურის თანამშრომლები. ეს პირები გამოძიებლის დავალების შესაბამისად აწარმოებენ მნახველთა გამოკითხვას, დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენასა და დაძებნას „ცხელ“ კვალთა მიხედვით ამ მიზნით მოიწვევა აგრეთვე პოლიციის თანამშრომელი სამსახურებრივი ძალების გამოყენებისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემთხვევის ადგილის დათვალაიერება წარმოებს ხანელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ან კოოპერატიულ ორგანიზაციებში და მათ ქვემდებარეობაში მყოფ ტერიტორიაზე, მოწვეულ უნდა იქნან ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც საჭირო და დადებითი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ გამოძიებლისათვის.


შემთხვევის ადგილის დათვალაიერების მონაწილე შეიძლება იყოს სპეციალისტი, რომელიც ტექნიკური ხასიათის დახმარებას უწევს გამოძიებელს ან აძლევს მას საჭირო კონსულტაციას სპეციალური საკითხების გარკვევა-დადგენაში. ზოგ შემთხვევაში სპეციალისტი არის შემთხვევის ადგილის აუცილებელი მონაწილე, კერძოდ: გვამის დათვალაიერებისა და დამარხული გვამის საფლავიდან ამოღების შემთხვევაში (გვამის ეგზეგუმაცია).

შემთხვევის ადგილის დათვალაიერების დროს შეიძლება მოწვეულ იყოს ექვმიტანილი ან ბრალდებული, რომლებიც აჩვენებენ დანაშაულის ჩადენის კვალს, დანაშაულის ჩადენის ადგილს, დანაშაულის ჩადენის ხერხსა და ა. შ. შემთხვევის ადგილის დათვალაიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იყოს დაზარალებული და მოწმეები (მნახველები). ამ პირებს გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლიათ დანაშაულის ჩადენის ვითარების გარკვევის, მის ჩამდენ პირთა აღწერილობისა და ნიშანთვისებათა დადგენაში.

შემთხვევის ადგილის დათვალაიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიონ დამცველი. ეს ხდება გამოძიებლის ინიციატივით, დამცველის ან ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე. თუ შემთხვევის ადგილის დათვალაიერებაში მონაწილეობას იღებს ექვმიტანილი ან ბრალდებული, ამ პირების თხოვნითაც შეიძლება დამცველის მოწვევა.

შემთხვევის ადგილის დათვალაიერების დროს დაცული უნდა იყოს ის პროცესუალური წესი, რომელსაც ადგენს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178-ე — 182-ე მუხლები, კერძოდ: დათვალაიერება შეიძლება მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე; დათვალაიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული დამსწრეები არ უნდა იყოს ორზე ნაკლები; დათვალაიერების დროს ხდება კვალთა ფიქსაცია, გაზომვა, ტვიფრისა და ანაბეჭდის დამზადება, გეგმებისა და სქემების შედგენა, ფოტოგრაფირება, კინო და ვიდეოგადაღება; გვამის დათვალაიერებისა და დამარხული გვამის საფლავიდან ამოღებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ექიმი-სპეციალისტი; შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალი, საგანი, ნივთმტკიცება, დოკუმენტი უნდა დათვალაიერდეს შემთხვევის ადგილზე. თუ მათ დათვალაიერებას ხანგრძლივი დრო სჭირდება ან სხვა მიზეზით არ შეიძლება მათი შემთხვევის ადგილზე დათვალაიერება, ისინი უნდა დაილუქოს და მათი დათვალაიერება მოხდეს გამოძიების ადგილზე; გამოძიებელმა უნდა შეადგინოს შემთხვევის ადგილის დათვალაიერების ოქმი.

შემთხვევის ადგილის დათვალაიერებას საფუძვლად უდევს მთელი რიგი პრინციპული ხასიათის მოთხოვნები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება სა-



ვალდებულია ყველა შემთხვევაში. ამ პრინციპებს განეკუთვნება: კანონიერება, დოვალიერების პირველადწყვებითი და გადაუდებელი ხასიათი, მისი ჩატარების გეგმიურობა, გამომძიებლის აქტიურობა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ობიექტურობა, ყოველმხრივობა და სისრულე.

**2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადება.** შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის რთული და გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედება, ამიტომ მისი ხარისხიანი ჩატარება ბევრადაა დამოკიდებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადებაზე.

ამ საგამომძიებო მოქმედების ჩატარების მომზადება გულისხმობს ორ ძირითად საფეხურს: გამომძიებლის მომზადება შემთხვევის ადგილზე გასვლამდე და მის მიერ მოსამზადებელი საკითხების გადაწყვეტას შემთხვევის ადგილზე მისვლისას, მანამ იგი უშუალოდ შეუდგება დათვალიერებას.

გამომძიებლის მომზადება შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გულისხმობს ისეთი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას, რომელსაც ადგილი აქვს შიკვევის ადგილზე გასვლამდე. მათ მიეკუთვნება შემდეგი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა: ვინ აცნობა (გამომძიებელს, პოლიციას) შემთხვევის ადგილის შესახებ; სად არის შემთხვევის ადგილი; როდის მოხდა შემთხვევა; რა დანაშაულის ჩადენასთან გვაქვს საქმე; ვინ ნახა პირველად ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი; ხომ არ არის შემთხვევის ადგილზე დასაზიარებული ან დაჭრილი პიროვნება, რა დახმარება აღმოუჩინეს მას, ვინ აღმოუჩინა დახმარება, რომელ საავადმყოფოში ან ვის ბინაში წაიყვანეს იგი; თუ შემთხვევის ადგილზე იყო გვაში, უნდა დადგინდეს ადგილზეა იგი თუ წაიღეს საავადმყოფოში; არიან თუ არა შემთხვევის ადგილზე პოლიციის თანამშრომლები და ღებულობენ თუ არა ისინი ღონისძიებებს შემთხვევის ადგილის დაცვისათვის. შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს პროკურორს და შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს. გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვინც მასთან ერთად უნდა გავიდეს შემთხვევის ადგილზე (პოლიციის მუშაკები, სამძებრო სამსახურის თანამშრომლები, სპეციალისტები, დამსწრეები). უნდა განისაზღვროს აგრეთვე ის ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენება სავალდებულო იქნება დათვალიერების პროცესში და გადაწყდეს საკითხი სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

გამომძიებლის შემთხვევის ადგილზე მისვლის დროს მოსამზადებელი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა დათვალიერების დაწყებამდე გულისხმობს ისეთი საკითხების გარკვევას, რაც უზრუნველყოფს ამ საგამომძიებო მოქმედების ეფექტიანად და მიზანსწრაფულად ჩატარებას. მათ მიეკუთვნება შემდეგი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა: რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე; აღმოუჩინეს თუ არა შემთხვევის ადგილზე მყოფ დაზარალებულს დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამომძიებელი თვითონ იღებს ამ მხრივ სასწრაფო ზომებს; განთავისუფლებულია თუ არა შემთხვევის ადგილი გარეშე პირებისაგან; რა ზომები მიიღეს პოლიციის მუშაკებმა გამომძიებლის მოსვლამდე შემთხვევის ადგილის დაცვისათვის, დაადგინეს თუ არა მათ მნახველები, მოწმეები, დაზარალებულები და მონაცემები დანაშაულის ჩადენის პირის შესახებ; მოახდინეს თუ არა მათ შემთხვევის ადგილზე დარჩენილ კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა დაცვა. ხომ არ იყო განადგურებული, დაზიანებული ან წაღებული კვალი, დანაშაულის იარაღი ან ნივთები. ამ საკითხების გარკვევის შემდეგ უნდა მოხდეს მიღებული ინფორმაციის ანალიზი, მოიწვიონ დამსწრეები და საბოლოოდ დაზუსტდეს იმ პირთა წრე, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებს უნდა განემართოს უფლება-მოვალეობანი, ფუნქციები და ჩაუტარდეთ

შესაბამისი ინსტრუქტაჟი. ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები, მიეცეს შესაბამისი მითითებები პოლიციის მუშაკებს, სამძებრო სამსახურის თანამშრომლებს დანაშაულის ჩამდენი პირის, მოწმეთა და დაზარალებულთა დადგენის მიზნით და ექვმიტანილის დასაკავებლად.

აღნიშნული მრსამზადებელი ხასიათის საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა ხელს უწყობს შემთხვევის ადგილის სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ დათვალიერებას

**3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხები.** შემთხვევის ადგილის დათვალიერების სამი სტადია არსებობს. პირველს მიეკუთვნება დასათვალიერებელი ადგილის ზოგადი მიმოხილვა ანუ საორიენტაციო სტადია, მეორე — დეტალური დათვალიერება, მესამე — დათვალიერების დასკვნითი სტადია.

ა) დათვალიერების საორიენტაციო სტადია არის შემთხვევის ადგილის ზოგადი მიმოხილვა, რომლის ამოცანაა საბოლოოდ განისაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები, გადაწყდეს საკითხი, თუ საიდან და რა თანმიმდევრობით ჩატარდეს დათვალიერება, დაზუსტდეს დათვალიერების ჩატარების გეგმა, დაზუსტდეს და აიგოს ახალი შესაძლო ვერსიები, გადაწყდეს საკითხი დათვალიერების მონაწილე პირთა გაფართოვების შესახებ (საზოგადოებრიობის მოწვევა, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის თანამშრომელთა და პოლიციის მუშაკთა დამატებით გამოძახება).

შემთხვევის ადგილის საზღვრების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ დასათვალიერებელმა ადგილმა მთლიანად მოიცვას ყველა იქ არსებული კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის. გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ისეთ კვალთა არსებობაც, რომელიც მიუთითებს შემთხვევის ადგილზე პიროვნების მისვლას და იქიდან წასვლას. საზღვრის განსაზღვრის დროს ყოველთვის ჯობია მისი გაფართოვება, ვიდრე შევიწროვება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება დათვალიერების გარეშე დარჩეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, საგანი და ნივთიერი მტკიცებულება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება არ უნდა გადაიზარდოს ჩხრეკაში. თუ ასეთი საჭიროება წამოიჭრება, გამომძიებელმა უნდა გამოიტანოს დადგენილება ჩხრეკის წარმოების შესახებ და დაიცვას საპროცესო კანონის ის ნორმები, რომლებიც არეგლამენტირებენ ამ საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას.

სანამ გამომძიებელი შეუდგება შემთხვევის ადგილის უშუალო დათვალიერებას, უნდა მოხდეს ამ ადგილის ფოტოგრაფირება (კინო და ვიდეო-გადაღება) ამ მიზნით, რომ ყველაფერი დაფიქსირდეს ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დათვალიერების დაწყებამდე. ამ მიზნით გამოიყენება საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტოგადაღება.

გამომძიებელი წყვეტს საკითხს თუ საიდან, რა თანმიმდევრობით და რა ტაქტიკური ხერხების გამოყენებით დაიწყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ დათვალიერება შეიძლება იყოს მთლიანი და შერჩევითი. მთლიანი დათვალიერება გულისხმობს ადგილმდებარეობის (შენობის) მთლიან და ყველა დეტალის დათვალიერებას. შერჩევითი დათვალიერების დროს ყურადღება არის გამახვილებული ცალკეულ კვალთა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებაზე, რომელთაც გამომძიებლის აზრით აქვთ საქმისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. შერჩევითი დათვალიერების ნაკლი ის არის, რომ შესაძლოა გამომძიებელს გამორჩეს ისეთ კვალთა და საგანთა დათვალიერება, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. დათვალიერების შერჩევითი ხერხი იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოიყენება ფრონტალური ანუ ხაზობრივი დათვალიერების ტაქტიკური ხერხი. ამ შემთხვევაში დათვალიერება ხდება შემთხვევის ადგილის ერთი საზღვრიდან მეორე საზღვრამდე. როდესაც დასათვალიერებელი ადგილი დიდი მოცულობისაა, იგი შეიძლება დაიყოს ცალკეულ უბნებად (კვადრატებად) და დათვალიერება მოხდეს მათ შესაბამისად.

დათვალიერების ტაქტიკურ ხერხებს მიეკუთვნება შემთხვევის ადგილის დათვალიერება ცენტრიდან პერიფერიისაკენ (ექსცენტრული ხერხი) და პერიფერიიდან ცენტრისაკენ (კონცენტრული ხერხი).

პრაქტიკაში, როგორც წესი, დათვალიერება წარმოებს ცენტრიდან პერიფერიისაკენ, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ადვილი გასარკვევია შემთხვევის ადგილის ცენტრი იქ არსებულ კვალთა, საგანთა, გვამის, ნივთიერ მტკიცებულებათა მიხედვით. ამ სახის დათვალიერების დროს გამოიყენება სპირალური მეთოდი, ე. ი. დათვალიერება იწყება ცენტრიდან და გრძელდება სპირალისებური გადაადგილებით. დათვალიერება ხდება პერიფერიიდან ცენტრისაკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია შემთხვევის ადგილის ცენტრი, როდესაც შემთხვევის ადგილის პერიფერიაზე არსებული კვალი შეიძლება განდგურდეს ან დაზიანდეს გარეშე პირების მიერ და იმ შემთხვევაში, როდესაც პერიფერიიდან ცენტრისაკენ არის პიროვნებას მოძრაობის კვალი.

განასხვავებენ შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკურ და დინამიკურ ხერხებს. სტატიკური დათვალიერების დროს შემთხვევის ადგილზე არსებული საგნებისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება ხდება უძრავ მდგომარეობაში, მათი ყოველგვარი გადაადგილებისა და ხელში აღების გარეშე. სწორედ ამ დროს წარმოებს შემთხვევის ადგილის ფიქსაცია საორიენტაციო და მიმოხილვითი ფოტო, კინო, და ვიდეოგადაღებით. სტატიკური დათვალიერების დროს ფიქსირდება აგრეთვე შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილმდებარეობა, მათი ურთიერთგანლაგება და პარამეტრები შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, ცალკე ჩანაწერების სახით ან სქემაზე (გეგმაზე) გამოსახულებით.

დათვალიერების დინამიკური ხერხი გულისხმობს შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალთა, საგანთა, ნივთიერ მტკიცებულებათა ხელში აღებას, დეტალურ დათვალიერებას, მათი ზოგადი და კერძო ნიშანთვისებათა დადგენას. დინამიკურ დათვალიერებას ყოველთვის წინ უსწრებს სტატიკური დათვალიერება.

**ბ) დათვალიერების დეტალური სტადია** ამოცანად ისახავს დათვალიერების შედეგად აღმოვაჩინოთ და დავამაგროთ სხვადასხვა სახის კვალი, ავხსნათ კვალთა წარმოშობის მექანიზმი, დანაშაულის ჩადენის ხერხი, დანაშაულის ჩადენის ვითარება და გარემოება, დავადგინოთ დანაშაულის ჩამდენი პირის მონაცემები, ავხსნათ ნეგატიური მოვლენები და დანაშაულის ჩადენის ინსცენირების ფაქტი.

შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერების დროს გამოიყენება ყველა ტექნიკური საშუალება, რომელიც საჭიროა კვალთა აღმოჩენისათვის, დამაგრებისა და ამოღებისათვის (მოსამებნი ტექნიკური საშუალებები, სხვადასხვა სახის ფხვნილები კვალთა გამომჟღავნებისა და ფიქსირებისათვის, ჩვეულებრივი ნათურა და უხილავი სხივები (ულტრაიისფერი და ინფრაწითელი).

დეტალური დათვალიერების დროს ხდება საკვანძო და დეტალური ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება. ამ დროს მზადდება შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ კვალთა ტვიფარები, ხდება თითის კვალთა გადატანა დაქტილოფირზე, სხვადასხვა სახის ნიმუშების აღება შემთხვევის ადგილიდან (ნიადაგი, საღებავი, ბალახი), სითხეების (წყალი, სისხლი, ზეთი) ამოღება და დაკონსერვება. საჭი-

როების შემთხვევაში ხდება ჰაერის ამოტუშება და დაკონსერვება. დეტალური დათვალიერების დროს ყოველი აღმოჩენილი კვალი (მიკროკვალი და მიკროსტრუქტურა), საგანი, ნივთიერი მტკიცებულება უნდა იყოს გულდასმით დათვალიერებული და აღწერილი: მათი დასახელება, ნიშან-თვისებები (ზომა, წონა, ფერი, სისტემა, საფაბრიკო ნიშნები, ინდივიდუალური ნიშნები).

შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერების დროს უნდა იყოს დადგენილი და ახსნილი ნეგატიური გარემოება და დანაშაულის ჩადენის ინსცენირების ნიშნები.

ნეგატიური გარემოება არის ისეთი ფაქტებისა და გარემოების არსებობა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევის ადგილზე, რადგან ეწინააღმდეგება დანაშაულის ჩადენის ვითარების ლოგიკას და მოცემულ კრიმინალისტიკურ სიტუაციას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე უნდა ყოფილიყო გატეხის (შემტვრევის) კვალი, მაგრამ იგი არ არის. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საცავი გაღებულ იყო მორგებული გასადებით: შემთხვევის ადგილზე არის დასახიჩრებული გვამი და ამიტომ უნდა ყოფილიყო სისხლის ლაქები, მაგრამ ისინი არ არის. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მკვლელობას ადგილი ჰქონდა სხვა ადგილზე და სხვა დროს და არა იქ, სადაც გვამი იყო აღმოჩენილი.

ინსცენირება არის შემთხვევის ადგილზე გარემოების ხელოვნურად შექმნა, დანაშაულის დემონსტრაციული ხასიათი, სხვა დანაშაულის კვალის ნიშნების არსებობა. ყოველივე ეს კეთდება დანაშაულის დაფარვისა და სხვა დანაშაულის ინსცენირებისათვის, ერთი სახის დანაშაულის შეცვლის მიზნით მეორე უფრო მცირემნიშვნელოვანი დანაშაულით, დანაშაულის ჩადენის ფაქტის შეცვლის მიზნით უბედური შემთხვევის ან სტიქიური უბედურების ინსცენირებისათვის.

მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დემონსტრაციულ და გაზვიადებულ ხასიათს (ნივთების, საცვლების, ტანსაცმლის უსისტემოდ მიმოყრა) ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ქურდობას სჩადის ოჯახის წევრი, ნათესავი ან ახლობელი, რომელმაც კარგად იცის, თუ სად ინახება ფასეულობა, ნივთები, ფული, საწყობში, მაღაზიაში, დაწესებულებაში. ხანძრის ინსცენირებას ადგილი აქვს სახელმწიფო და პირადი ქონების გატაცების და მითვისების დაფარვის მიზნით. ამავე ქონების მითვისების დაფარვის მიზნით გამოიყენება ხოლმე სტიქიური უბედურების ფაქტი. მკვლელობის დაფარვის მიზნით ხდება თვითმკვლელობის ან უბედური შემთხვევის ინსცენირება. მაგალითად, მკვლელობის შემდეგ გვამის თოკზე ჩამოკიდვა, მკვლელობის შემდეგ გვამის დადება ღიანდაგზე, სავალ გზაზე და ა. შ.

დათვალიერების დეტალური სტადიის დროს როგორც ნეგატიური გარემოება, ისე ინსცენირების ფაქტი დაწვრილებით უნდა იყოს ფიქსირებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში.

**კ) დათვალიერების დასკვნითი სტადია** ამოცანად ისახავს შეჯამდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგები, რათა გამოძიებელი დარწმუნდეს, რომ მან ჩაატარა დათვალიერება სრულყოფილად, ყოველმხრივად და ობიექტურად, ამოიღო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, საგანი, ნივთმტკიცება.

დათვალიერების ამ სტადიაზე გამოძიებელი მოუსმენს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე ყველა პირს მათგან სრული ინფორმაციის მიღების მიზნით, აფასებს ამ ინფორმაციებს და აკეთებს დასკვნას შემთხვევის ადგილის დათვალიერების სისრულის, ყოველმხრივობისა და ობიექტურობის შესახებ. თუ ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, გამოძიებელი დამატებით ან განმეორებით დათვალიერებს შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალს, საგნებს, ნივთიერ მტკიცებულებებს და აანალიზებს დათვალიერების შედეგებს.

ამ სტადიაზე გამოძიებული წყვეტს თუ რა უნდა იყოს ამოღებული შემთხვევის ადგილზე დათვალიერების შედეგად (კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, საგანი, კვალი ანაბეჭდები, ტვიფარი, ნიადაგის ნიმუში და ა. შ.). გამოძიებული უნდა გამოძინარეობდეს იმ პრინციპული ხასიათის მოთხოვნიდან, რომ თუ პრაქტიკულად შეიძლება უშუალოდ კვალის ან იმ საგნის ამოღება, რომელზედაც კვალია დარჩენილი, უნდა იყოს ამოღებული უშუალოდ საგანი და კვალი. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ მაშინ უნდა იყოს ამოღებული ანაბეჭდი, ტვიფარი, ნიმუში.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული საგანი, კვალი, ნივთიერი მტკიცებულება უნდა შეიფუთოს ცალ-ცალკე ისე, რომ იგი არ დაზიანდეს ტრანსპორტირების დროს, არ განადგურდეს და წაიშალოს კვალი. ყოველ ამოღებულ საგანს, ნიმუშს უნდა გაუკეთდეს წარწერა, თუ რა სახის კვალია ამოღებული, როდის, სად და რომელ საქმეზეა ამოღებული, რაც დასტურდება გამოძიებლის ხელისმოწერით. როგორც წესი, ასეთი ხასიათის წარწერა კეთდება მუყაოს ან მკვრივ ქაღალდზე, რომელიც მიემარება ამოღებულ საგანს. თუ ამოღებული საგნის კვალის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე შეუძლებელია, ისინი უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და მათი დათვალიერება მოხდეს გამოძიების წარმოების ადგილზე.

თუ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირებმა (დამსწრეებმა, სპეციალისტმა, ოპერატიულმა მუშაკმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა, პოწმემ, დაზარალებულმა, ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა) გააკეთეს განცხადება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან ოქმის შედგენის სისწორისა და სისრულის შესახებ გამოძიებული ვალდებულია განცხადების შინაარსი ასახოს ოქმში.

**4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფიქსაცია.** შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია აუცილებელია განასხვავებენ ფიქსაციის ორ სახეს — ძირითადს და დამატებითს. ძირითადს მიეკუთვნება შემთხვევის ადგილის დათვალიერების წერილობითი ოქმი. დამატებითს კი — ყოველივე ის, რაც დაფიქსირებულ იყო ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგად და ერთვის ოქმს დანართის სახით (ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების ფირები და ფოტოსურათები, შემთხვევის ადგილზე დამზადებული გეგმები და სქემები, კვალის ანაბეჭდი და ტვიფარი).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს ოფიციალური მონაცემები, დათვალიერების პროცესი, ტექნიკური საშუალებების გამოყენების ფაქტი და მიღებული შედეგები, დათვალიერების მონაწილთა განცხადება ოქმის შედგენის სისწორის შესახებ და ამ მხრივ გამოძიებლის მიერ მიღებული ზომები, ოქმის გაცნობის ფაქტი შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილეებისათვის. ოქმის შედგენის დროს დაცული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 178-ე — 182-ე მუხლები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შესავალ ნაწილში აღინიშნება ოფიციალური მონაცემები: ვინ აწარმოებს დათვალიერებას, როდის და სად ტარდება იგი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ვინ მონაწილეობს ამ საგანში მთავარი მოქმედების ჩატარებაში, იმის შესახებ, რომ დამსწრეებს და სპეციალისტებს განემარტათ უფლება-მოვალეობანი და საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლითაც ხელმძღვანელობდა გამოძიებული დათვალიერების დროს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების აღწერილობით ნაწილში აღინიშნება შემთხვევის ადგილის ზოგადი დახასიათება და მისი საზღვრები, დათვალიერების პირობები, რა ტექნიკური საშუალებები იყო გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული, სად და რა სახის კვალი, საგანი, ნივთმტკიცება იქნა აღმოჩე-



ნილი (მათი დაწვრილებითი აღწერა), დათვალიერების რა ტაქტიკური ხერხები იყო გამოყენებული, რა სახის ნეგატიური გარემოება ან დანაშაულის ინსცენირების ფაქტი იქნა დადგენილი. აღწერილობითი ნაწილის შედგენის დროს გამოიყენება ის ჩანაწერები, რომელსაც გამოძიებელი აწარმოებდა უშუალოდ დათვალიერების დროს. ამავე ნაწილში აღინიშნება ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების შესახებ (აპარატურის ტექნიკური მონაცემები, გადაღების ადგილი, განათების პირობები, გადაღებული ობიექტები).

ბოლოს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის დასკვნით ნაწილში მიეთითება თუ რა სახის გადაღებას ჰქონდა ადგილი და რა შედეგები იყო მიღებული, რა სახის ტვიფარი ან კვალის ანაბეჭდი დამზადდა დათვალიერების დროს, რა სახის ნიშნულები დამზადდა, რა საგნები, კვალი და ნივთიერი მტკიცებულებები იყო ამოღებული, სქემების და გეგმების შედგენის შესახებ. დასკვნით ნაწილში მიეთითება იმის თაობაზე, რომ დათვალიერების მონაწილეები გაეცნონ ოქმის შინაარსს, რომ გაცნობის შედეგად მათ გააკეთონ განცხადება ოქმის შედგენის სისწორის თაობაზე და რა ზომები მიიღო გამოძიებელმა ამ განცხადებათა, განხილვის შედეგად. ოქმს ხელს აწერს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ყველა მონაწილე პირი<sup>1</sup>.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დგება სქემა, გეგმა. სქემა და გეგმა არის შემთხვევის ადგილის გრაფიკული გამოსახულება როგორც მთლიანად, ისე დათვალიერების დროს აღმოჩენილი ცალკეული საგნების, კვალთა და ნივთიერ მტკიცებულებათა. სქემა არის გეგმის მარტივი სახე, რადგან მისი შედგენის დროს არ არის დაცული მასშტაბი. ცალკეული საგნებისა და კვალთა გამოხატულება სქემაზე შეიძლება იყოს მიახლოებითი. საგნების, კვალთა ზომები და მათი პარამეტრები მიეთითება უშუალოდ სქემაზე გამოხატულ საგნებზე. სქემაზე უნდა აღინიშნოს, თუ რომელ მხარეზეა აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი.

სქემისგან განსხვავებით, შემთხვევის ადგილის გეგმა დგება მასშტაბის დაცვით, სადაც აღინიშნება ორიენტაცია მხარეების მიხედვით. აღმოჩენილ კვალთა და საგანთა გამოხატულების დროს უნდა იყოს მოცემული მათი პარამეტრები, როგორც ურთიერთშორის, ისე მყარ და უცვლელ საგნებთან თანაფარდობაში (კედელი, ქუჩა, სახლი, მდინარე). გეგმაზე გამოიხატება საგნები, კვალი და გარემოება მიღებული პირობითი ნიშნების და ტერმინოლოგიის შესაბამისად. გეგმა დგება სიბრტყითი ნიშნის მიხედვით, ე. ი. მასზე გამოიხატება საგნები მათი ზევიდან ცქერის შესაბამისად. თუ კვალი არის კედელზე, ჭერზე, ასეთ შემთხვევაში დგება გაშლილი გეგმა, რომელზედაც ცალ-ცალკეა გამოხატული კედელზე და ჭერზე არსებული კვალი.

სქემა და გეგმა ერთვის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს და ნართის სახით და მასთან ერთად განიხილება როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო.

**5. შემთხვევის ადგილის ცალკეული სახეების დათვალიერების თავისებურება.** შემთხვევის ადგილის ცალკეულ სახეებს მიეკუთვნება გვამის, შენობის, ადგილმდებარეობის, საგნების, დოკუმენტების და ცოცხალ პირთა დათვალიერება. ამ დროს მთლიანი მთცულობით გამოიყენება ის ტაქტიკური ხერხები და ტექნიკური საშუალებები, რასაც ადგილი აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. ამიტომ ყურადღებას ვაგვამახვილებთ მხოლოდ თავისებუ-

<sup>1</sup> შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შესახებ (გვამის დათვალიერება კინოგადაღების გამოყენებით) იხ. ფალიაშვილი ა., ცინცაძე დ., გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტები, თბ., 1988, გვ. 161-165.

რებზე და შემთხვევის ადგილის ცალკეული სახეების მოკლე დახასიათებაზე.

**გვამის დათვალიერება.** გვამის გარეგან დათვალიერებას ახდენს გამოძიებელი ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობით, იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 180-ე მუხლით.

გვამის გარეგანი დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს და აღიწეროს: გვამის დათვალიერების დრო და ადგილი; ჰაერის ტემპერატურა და გვამის პოზა; გვამის ირგვლივ არსებული საგნები და კვალი; გვამის პარამეტრები სხვა საგნებთან ურთიერთობაში; გვამის მდგომარეობა სამყაროს მხარეებთან მიმართებაში; გვამის ჩაცმულობა და გვამზე არსებული კვალი.

გვამის დათვალიერების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვამის ფოტოგრაფირებას, რომელიც ხდება ზემოდან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ორი ან ოთხი მხრიდან. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური ფოტო-გადაღება. დეტალური ფოტო-გადაღების დროს მასშტაბში უნდა გამოისახოს გვამზე არსებული ყველა კვალი, დაზიანება და განსაკუთრებული ნიშნები. გვამის საკვანძო გადაღების შედეგად უნდა დაფიქსირდეს გვამის თავის, ხელების და ფეხების ურთიერთგანლაგება, გვამის პოზა მთლიანად და გვამი ახლომდებარე საგნებთან ერთად.

გვამის დათვალიერების დროს დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი გვამის ჩაცმულობა: ქუდი, პალტო, ქურთუკი, კოსტიუმი, ფეხსაცმელი, წინდები, საცვალი, ხელთათმანი, ჯიბეებში აღმოჩენილი საგნები და ნივთები, ხელჩანთა და მასში არსებული საგნები და ნივთები. ყველა შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული როგორც ზოგადი ნიშნები (ფერი, ზომა, წონა, საფაბრიკო ნიშნები, ფასონი და ა. შ.), ასევე კერძო ნიშნებიც (ვახვევის ადგილი და ზომა, დილების უქონლობა, ფეხსაცმლის გაცვეთის ფორმა და ადგილი, გვამის სხეულზე არსებული ხალი, სვირინგი და ა. შ.). აღმოჩენილ და აღწერილ უნდა იქნას აგრეთვე ბიოლოგიური წარმოშობის ნიშნები (თმა, მისი ფერი, სისხლის ან სხვა ლაქები, მათი განლაგების ადგილი და ფორმა, სპერმა, ნერწყვი და ა. შ.). ყურადღებით უნდა იყოს დათვალიერებული და აღწერილი წინააღმდეგობის გაწევისა და ბრძოლის ნიშნები გვამის ირგვლივ. უნდა დადგინდეს და აღიწეროს აგრეთვე ზეთის ან სხვა სითხეების და მასების არსებობა, როგორც გვამის ირგვლივ, ასევე ხელის ფრჩხილებში და უშუალოდ გვამზე. თუ არსებობს გვამის გადატანის ან გადათრევის ნიშნები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, ყოველივე ეს მოითხოვს დათვალიერებასა და აღწერას. აღმოჩენას და აღწერას ექვემდებარება აგრეთვე გვამური ნიშნები და გვამის ანატომიური მონაცემები (გვამის აგებულება, სიმაღლე, ასაკი, სქესი; განსაკუთრებული ნიშნები და ა. შ.).

იმ შემთხვევაში, როდესაც გვამის ამოცნობა ვერ მოხერხდა, უნდა დამზადდეს გვამის ამოსაცნობი ფოტოსურათები და მოხდეს გვამის დაქტილოსკოპირება (თითების ანაბეჭდების აღება), მისი შემდგომი ამოცნობის ან პიროვნების დადგენის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა დაფიქსირდეს გვამის დაკრძალვის ადგილიდან ამოღების შემთხვევაშიც. ამ დროს დამატებით აღინიშნება გვამის დამარხვის ადგილი (სასაფლაოს დასახელება, სასაფლაოს უბანი, დასაფლავების ადგილი, საფლავის ნომერი და მისი აღწერილობა).

**შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება.** შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერებას ადგილი აქვს როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი მჭიდრო კავშირში არ არიან დანაშაულის ჩადენასთან, მაგრამ იქ შეიძლება აღმოჩნდეს ან დადგინდეს დანაშაულის ჩადენის კვალი და სხვა საგნები, რაც კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან და იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ჩვენების სისწორე.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, რომ დადგინდეს, ხომ არ იმყოფება შენობაში, ტყეში, მინდორში პირი, რომელიც დადგენილ ან დაკავებულ უნდა იქნას. იმ დროს, როდესაც საჭიროა დადგინდეს და ამოღებულ იქნას დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულთან დაკავშირებული კვალი, სხვადასხვა საგნები და ნივთიერი მტკიცებულებანი ან დანაშაულის ჩადენის იარაღი.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება ხდება როდესაც უნდა შემოწმდეს ეჭვიანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის მიერ აღრე მიცემული ჩვენების სისწორე. მაგალითად, თუ ბრალდებული იძლევა ჩვენებას, რომ მან ჩაიდინა ბინის ქურდობა და ამ ჩვენების სისწორეში გამოძიებელს ეჭვი ეპარება, იგი დაწვრილებით დაკითხავს ბრალდებულს ბინაში განლაგებული ავეჯის, საგნების, ნივთების თაობაზე. შემდგომში გამოძიებელი ამ ჩვენების სისწორის შემოწმების მიზნით ათვალიერებს შენობასა და ბინას და რწმუნდება ბრალდებულის ჩვენების სისწორეში ან მის სიცრუეში.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს, საგამოძიებო სიტუაციის შესაბამისად, გამოიყენება ის ტექნიკური საშუალებები და ტაქტიკური ხერხები, რაც დამახასიათებელია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისათვის.

**საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერება.** საგნების დათვალიერება წარმოადგენს დათვალიერების ცალკე, დამოუკიდებელ სახეს. მათი დათვალიერება ხდება უშუალოდ ჩხრეკისა და ამოღების ადგილზე, თუ ამის რეალური საშუალება იქ არსებობს და მას ხანგრძლივი დრო არ სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 179-ე მუხლის საფუძველზე, ეს საგნები უნდა შეიფუთოს და დაილუქოს და მათი დათვალიერება მოხდება გამოძიების წარმოების ადგილზე.


იმ შემთხვევაში, როდესაც საგნებსა და დოკუმენტებს, სსს კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიებელს წარუდგენს პროცესის რომელიმე მონაწილე, მოქალაქე, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კოოპერატიული ორგანიზაციის წარმომადგენელი, მათი დათვალიერება ხდება წარდგენისთანავე, წარდგენის ადგილზე.

დოკუმენტების დათვალიერება ხდება როგორც მათი აღმოჩენის ადგილზე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება), ასევე მათი გამოძიებლისადმი წარდგენის ან გამოძიების წარმოების ადგილზე.

საგნებისა და დოკუმენტების დათვალიერებისას ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს და საგამოძიებო მოქმედების ოქმში დაწვრილებით აღიწეროს მათი ნიშან-თვისებები: ფერი, ზომა, წონა, რაოდენობა, დოკუმენტის შინაარსი, დამზადების ადგილი, საფაბრიკო ნიშნები და ინდივიდუალური ნიშნები, რაც დამახასიათებელია მოცემული საგნისა და დოკუმენტებისათვის. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტექნიკური საშუალებები (გამადიდებელი მინა, მიკროსკოპი, განათება, უხილავი სხივები, ფოტოგრაფირება, საზომი ხელსაწყოები და ა. შ.).

**ცოცხალ პირთა დათვალიერება.** ცოცხალ პირთა დათვალიერება და შემოწმება, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედება (სსს კოდექსის 181-ე მუხლი) უშუალო და მჭიდრო კავშირში არიან. ცოცხალ პირთა დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ტანისამოსზე; ადამიანის სხეულზე შეიძლება აღმოჩნდეს დანაშაულის ჩადენის კვალი, გადამალული საგნები და ფასეულობა და დადგინდეს განსაკუთრებული ნიშნები.

თუ ცოცხალ პირთა დათვალიერება დაკავშირებულია პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპთან, გამოძიებელი ვალდებულია ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით გამოითანოს დასაბუთებული დადგენილება და იგი ჩაატაროს დამსწრეთა მონაწილეობით. დათვალიერება შეიძლება



მოხდეს ეჭვიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის. ცოცხალ პირთა დათვალიერების დაწყებამდე გამოძიებულმა დაახლოებით მაინც უნდა იცოდეს რა მიზნით ატარებს დათვალიერებას და რისი აღმოჩენა სურს მას.

ცოცხალ პირთა დათვალიერების დროს გამოიყენება ტექნიკური საშუალებები (ულტრაიისფერი ნათურა, განათება, ფოტოგრაფირება და ა. შ.). დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი საგნები, ნივთები, ფასეულობა, დანაშაულის ჩადენის იარაღი, კვალი, განსაკუთრებული ნიშნები (ხალი, სვირანგი, დასახიჩრება) დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი, უნდა მიეთითოს: ზომა, ფერი, ადგილი, რაოდენობა, საფაბრიკო ნიშნები, დამზადების ადგილი, ნომერი და სერია, წონა და აგებულება.

ცოცხალ პირთა დათვალიერება, როგორც წესი, წარმოებს შემოწმების დროს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ან ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში.



ალენა გვენცაძე

## მიზეზობრიობა კრიზისოლოგიაში

მიზეზობრიობა ფილოსოფიური კატეგორიაა. იგი საგანთა და მოვლენათა ისეთ თანმიმდევრობას გულისხმობს, როდესაც ერთი მოვლენა წინ უსწრებს მეორე მოვლენას და აუცილებლობით განაპირობებს მის არსებობას. მიზეზობრიობა არის ობიექტური სამყაროს საყოველთაო კავშირმიმართებათა მომენტი, ერთი განსაზღვრული ფორმა; მიზეზად მიიჩნევა მოვლენა ან მოვლენათა ჯგუფი, რომლებიც გარკვეულ პირობებში აუცილებლობით იწვევს სხვა მოვლენას, განაპირობებენ მის არსებობას. შედეგი კი არის მოვლენა, რომელიც შესაბამის პირობებში გარკვეული მიზეზის მიერ წარმოიშობა. მიზეზშედევლობრივი კავშირი არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად და გულისხმობს მოვლენათა ისეთ თანმიმდევრობას, როდესაც ამ მოვლენებს შორის უბრალოდ დროში თანმიმდევრობა კი არ იგულისხმება, არამედ აუცილებელი კავშირი მათ შორის.

იმისათვის, რომ მიზეზ-შედევლობრივი მიმართება განხორციელდეს, ე. ი. ერთმა მოვლენამ აუცილებლად გამოიწვიოს მეორე მოვლენა, გარკვეული პირობებია საჭირო. ასეთი პირობა ორგვარია: ისეთი, რომელიც ხელს უწყობს ამ თუ იმ მოვლენიდან სხვა მოვლენის წარმოშობას და პირიქით, პირობა, რომელიც ხელს უშლის ამგვარი პროცესის დაწყებას. პირობები იმ მხრივადაც არის საყურადღებო, რომ ისინი გარკვეულად შედეგის ხასიათსაც განსაზღვრავენ. ერთი და იმავე მიზეზიდან სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა შედეგი წარმოიშობა.

მიზეზ-შედევლობრივი კავშირები მრავალნაირია. არის შინაგანი და გარეგანი, მთავარი და არამთავარი მიზეზები. ობიექტურად არსებული მიზეზ-შედევლობრივ მიმართებათა სწორი გაგება ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა სწორი შემეცნების, ადამიანისათვის სასურველი მიმართულებით მათი გარდაქმნის აუცილებელი პირობაა.

მიზეზობრიობა ხსნის მოვლენის „მექანიზმს“, ე. ი. მიუთითებს იმაზე თუ ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე რომელი პროცესები წარმოიშობენ მოცემულ მოვლენას, როგორ კონკრეტულ პირობებში შეიძლება იგი წარმოიშვას; მასთან მოქმედი და მის საწინააღმდეგოდ მოქმედი რა ძალები არსებობენ. ეს კი იძლევა არასასურველ სოციალურ მოვლენებთან ბრძოლის ღონისძიებების ორგანიზებული ხისტიემის შემუშავების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნება ჯერ-ჯერობით არ არის ზუსტი და სრულყოფილი. იგი ყოველთვის ვერ ხსნის ჩრულიად და ამომწურავად ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებულ მიზეზობრივ კავშირთა კონკრეტულ თვისებებს, ფორმებს და მრავალსახეობას. არც ისე დიდი ხნის წინათ ფილოსოფიაში მიზეზსა და შედეგს შორის ურთიერთობა აღიწერებოდა, როგორც მატერიის გადატანა ან მოძრაობა პირველიდან მეორისაკენ. ამჟამად ფიზიკის საფუძველზე ეს ცნება

ხასიათდება, როგორც „ერთი საგნიდან მეორეზე ნივთიერებების, ენერჯის ან ინფორმაციის გადაცემა“.

კრიმინოლოგიისათვის ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ცალკეული დანაშაულებრივი ქცევის შეცნობასა და მთლიანად დანაშაულობის შესწავლასაც ჩვენ ვხვდებით უმეტეს წილად არაფიზიკურ, არამედ ინფორმაციულ ზემოქმედებას.

როგორც კრიმინოლოგიის თეორიისათვის, ისე დანაშაულებასთან პრაქტიკული ბრძოლისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ მიზეზობრივი დამოკიდებულება სოციალურ სფეროში არის მრავალმნიშვნელოვანი, მრავალრგოლიანი. ეს იმიტომ, რომ თითოეული მიზეზი წარმოშობს რამდენიმე შედეგს და თითოეული შედეგი არის რეზულტატი რამდენიმე გარემოების მიზეზების და პირობების ჯგუფის მოქმედებისა.

მიზეზობრივი ჯაჭვი, რომელიც ხსნის დანაშაულებრივ ქცევას, არის არა მარტო გრძელი და რთული, არამედ მრავალსახეობრივიც. განვიხილოთ ამ ჯაჭვის სამი ძირითადი რგოლი: პირველი რგოლი მოიცავს იმას, რაც წინ უსწრებს დანაშაულებრივ ქმედებას — დამნაშავეს პიროვნების ფორმირების პერიოდი და მისი ურთიერთმოქმედება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. აქ სჭარბობს სტატისტიკური კანონზომიერებანი. მიზეზობრივი კავშირები უმეტეს წილად ვითარდება სოციალურ მოვლენათა სფეროში; ისინი ატარებენ ინფორმაციულ ხასიათს და შეისწავლებიან სოციალური მეთოდებით. მეორე რგოლი არის შედეგი. ხოლო მესამე რგოლი მოიცავს მიზეზობრივი კავშირის განვითარებას დანაშაულებრივი ქმედობის აქტიდან დანაშაულებრივი რეზულტატის დადგომამდე. ეს რგოლი უმეტესად შეისწავლება ფსიქოლოგების მიერ; სამართალდამრღვევის პიროვნება თავისი შეგნებითა და ნებით — ესაა ცენტრალური რგოლი, რომელიც მიზეზსა და შედეგს აკავშირებს.

კრიმინოლოგიაში მიზეზობრივი კავშირის რთული მექანიზმი იქმნება მიზეზებისა და პირობების, მთავარხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი გარემოებების, კანონზომიერი და შემთხვევითი ვითარების ურთიერთზემოქმედების შედეგად.

ფილოსოფიურ და იურიდიულ ლიტერატურაში არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, რომ მიზეზები და პირობები შეიძლება ერთმანეთს ცვლიდეს სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციაში. ის რაც, ერთ შემთხვევაში იყო მიზეზი, მეორეში გვეკლინება პირობად და პირიქით. ესეც ართულებს იმ „ჯაჭვს“, რომლითაც მიზეზიდან შედეგამდე მივდივართ.

მიზეზობრივი კავშირის შესწავლა კრიმინოლოგიაში არ წარმოადგენს თვითმიზანს. მისი ცოდნა გვეხმარება როგორც ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის, ისე მასობრივი სოციალური მოვლენების მექანიზმის გაგებაში. საბოლოო ჯამში კი დანაშაულობის ირგვლივ ყოველგვარ კვლევას აქვს ერთი მიზანი — დანაშაულობის აღმოფხვრა.

მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირი ეს არის მოვლენებს შორის ისეთი კავშირი, როდესაც ერთი მოვლენა ან მოვლენათა ჯგუფი აუცილებლობით იწვევს მეორეს.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში რიგი ავტორების მიერ დაისვა საკითხი, რომ უფრო ღრმად მიუღწევთ მიზეზობრიობის საკითხს. მიზეზი ეს ერთი ფაქტორი კი არ არის, არამედ ურთიერთმოქმედი ძალა, მხარე, პროცესი.

ეს მოსაზრება უნდა იყოს, რადგან არ არსებობენ იზოლირებული მოვლენები და არც წმინდა, ერთმხრივი კავშირია მათ შორის. მოვლენებიც მრავალმხრივ არიან გადაჯაჭვული ერთმანეთზე. ამიტომ მიზეზობრივი კავშირიც უფრო რთული და მრავალმხრივია.

კრიმინოლოგიის წარმოშობა და განვითარება ემყარება იმის შეგნებას, რომ დანაშაულობა, ისევე როგორც სხვა მოვლენები, იმყოფებიან საყოველთაო კავშირურთიერთობათა დაუსრულებელ ჯაჭვში. სხვადასხვა პირობები და კანონზომიერებანი, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირები განსაზღვრავენ დანაშაულობის არსებობას. ეს აღიარებულია და გაზიარებულია კრიმინოლოგიაში თითქმის ყველა მიმართულების მიერ, თუმცა სხვადასხვა მიმართულებანი დანაშაულობის არსებობას ხსნიან უაღრესად ცალმხრივად — ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური თვალსაზრისით იზღუდებიან მხოლოდ ცალკეულ გარემოებათა როლით ან ხსნიან მექანიკურად — სხვადასხვა ფაქტორთა კანონზომიერ კავშირს.

კანონზომიერება, დეტერმინირება, მიზეზობრიობა, აუცილებლობა, შემთხვევითობა და ა. შ. მიეკუთვნება საერთო, ზოგად ფილოსოფიურ კატეგორიათა რიგს, რომლებიც ემპირიული, კრიმინოლოგიური კვლევის შედეგად იძენენ კონკრეტულ შინაარსს, ხოლო დანაშაულობასთან ურთიერთობაში ესაა ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება.

კრიმინოლოგიის ზოგად ამოცანას წარმოადგენს დანაშაულობის კანონზომიერებათა ახსნა. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს დანაშაულობის ჩარჩოებში განსაზღვრულ ფაქტორთა როგორი ურთიერთკავშირი მეორდება რეგულარულად და რა არსებითი შინაგანი თავისებურებები შეინიშნება აქ მუდმივად, ცხადია, კრიმინოლოგიური კვლევა მიმართულია უპირველეს ყოვლისა, იმ გარდაუვალი ურთიერთკავშირების გახსნისაკენ, რომელიც გამომდინარეობენ დანაშაულობის შინაგანი ბუნებისა და არსისაგან.

დანაშაულობის ანალიზისას საუბარია ადამიანის ქცევებზე, რომელიც ყალიბდება პიროვნული და საზოგადოებრივი ურთიერთშემოქმედების საფუძველზე. ამ ორი ფაქტორის ურთიერთკავშირი წარმოადგენს ზოგად კანონზომიერებას. აქ აუცილებელია აიხსნას ის სპეციფიკური კანონები, რომლებიც ვლინდება ურთიერთდაკავშირებული კონკრეტული პირობების რეგულარული განმეორებისას: საზოგადოებრივი ურთიერთობების (გარეგანი ფაქტორი) და პიროვნების (შინაგანი ფაქტორი).

ურთიერთკავშირების რეგულარული განმეორების საფუძველში დევს განსაზღვრულ პირობათა არსებობა, ე. ი. ისეთი ფაქტორები, რომლებიც კანონზომიერ გადეტერმინირებულ გავლენას ახდენენ დანაშაულობის წარმოშობასა და ფორმირებაზე. ამგვარად, კრიმინოლოგიური კვლევა მიმართულია იმ ფაქტების ახსნისაკენ, რომლებიც განსაზღვრულ როლს ასრულებენ დანაშაულობის წარმოშობა-ფორმირებაში და ამ ფაქტორების კანონზომიერი ურთიერთკავშირების შეცნობისაკენ.

კანონზომიერ კავშირთა და დეტერმინირების კატეგორიათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის კავშირები, რომლებიც შუქს ჰყენს მოვლენის წარმოშობას, ე. ი. იძლევა შესაბამის პასუხს კითხვაზე: რატომ? რა მიზეზით არსებობს ეს მოვლენა? აიხსნება რა მიზეზობრივი კავშირი, შეიძლება განიმარტოს მოვლენის მიზეზი — გადეტერმინირებული ფაქტორი, რაც მიმართულია შედეგის წარმოშობისა და არსებობისაკენ; მიზეზობრივი კავშირის ახსნა საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ბუნების მოვლენაში, რადგან საზოგადოებრივი მოვლენები რთულ ურთიერთდამოკიდებულებაშია, ისინი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე მრავალმხრივ, დანაშაულობაც ამ საერთო ჯაჭვის ნაწილია და ის რომ შეეისწავლეთ, უნდა გამოვყოთ, გავანალიზოთ შესაბამის ჩარჩოებში, რადგან შევიმეცნოთ ცალკეული მოვლენები, ჩვენ უნდა ამოვიღოთ ისინი საყოველთაო კავშირურთიერთობიდან, განვიხილოთ იზოლირე-

ბულად, ამ შემთხვევაში კი ჩვენს წინაშე ისინი გამოდიან მონაცვლებით, ერთი როგორც მიზეზი, ხოლო მეორე — როგორც შედეგი.

მიზეზობრივი კავშირი ესაა კანონზომიერი კავშირების განსაკუთრებული ფორმა, რამდენადაც მასში ვლინდება მოვლენის წარმოშობა, ამ პროცესის ობიექტური ფაქტორებია მიზეზები და პირობები. მიზეზი წარმოშობს, იწვევს ამა თუ იმ მოვლენას, მაშინ, როცა პირობები მხოლოდ შესაძლებელს ხდიან შედეგის დადგომას, თამაშობენ ხელშემწყობ როლს, მაგრამ რამდენადაც ისინი შემოქმედებენ მიზეზზე, ამდენად თვითონ უწყობენ ხელს მის გამოვლინებას.

ნებისმიერი მოვლენის წარმოშობის პროცესში წარმოიშობა მრავალრიცხოვანი პირობები, რომლებიც მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენენ ახალი მოვლენის წარმოშობაზე, ე. ი. ხდებიან მისი მიზეზი. ამავე დროს, ზოგიერთი პირობები, რომლებიც მონაწილეობენ მოვლენის წარმოშობაში, მაგრამ უშუალოდ მიზეზობრიობის პროცესში არ ერთვიან, რჩებიან მხოლოდ პირობებად.


ცხადია, პირობებს გარკვეული მოვლენის წარმოშობაში „გაწეული წვლილის“ მიხედვით ვყოფთ მიზეზებად და პირობებად, თორემ ერთი მოვლენის მიზეზი შეიძლება მეორისათვის პირობა იყოს და პირიქით, მიზეზი და პირობა არ არის იდენტური ცნებები, მაგრამ არც ურთიერთწინააღმდეგობა არსებობს მათ შორის. ცხადია, მიზეზია ის პირობა, რომელსაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვს. როგორც ვიცით, მრავალი მიზეზით შეიძლება ერთი მოვლენა წარმოიშვას და პირიქით, ერთი მიზეზი მრავალ მოვლენას დაედოს სათავედ.

რაც შეეხება დანაშაულობას, აქ ვხვდებით ძირითადად მიზეზთა კომპლექსს. აქ იშვიათია სუფთა, ერთმნიშვნელოვანი მიზეზობრივი კავშირი. ჩვენ უნდა გავცილდეთ სამართლებრივ ფარგლებს, ვიკვლიოთ ეს მოვლენა ყველა სხვა მოვლენათა ჯაჭვში.

დანაშაულის ჩადენისას მნიშვნელოვანია სუბიექტური და ობიექტური პირობები. აქ პირველადი როლი ენიჭება ობიექტურ პირობებს, რამდენადაც ყოველგვარი ადამიანური ქცევა დეტერმინირებულია, უპირველეს ყოვლისა, სოციალური გარემოთი. ოღონდ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტური პირობები ვლინდებიან შინაგანი პირობების მეშვეობით, რომლებიც თავის მხრივ უკუშემოქმედებენ მათზე. გარეგანი მიზეზები მოქმედებაში მოდიან შინაგანი მიზეზების მეშვეობით. ამგვარად, ადამიანი კი არის დამოუკიდებელი ობიექტურ პირობებზე, მაგრამ ის პასიური როდია, ის აქტიური სუბიექტია, რადგანაც შეუძლია ამ პირობების შექმნა და სტიმულირება.

ცნობიერების დახმარებით ადამიანს შეუძლია შექმნას სოციალური პირობები და აქტიურად იმონაწილეოს სუბიექტური პირობების ფორმირებაში, იგი არის თავისი საკუთარი მეს, პიროვნების შემოქმედი. სწორედ ამიტომ იგი პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის.





დავით კოლუაშვილი

# სახელმწიფოებრივ კიბაში სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება

(ავსტრალიის მაგალითზე)

„ჩვენი“ და „უცხო“ სამართლის ტრადიციებისა და თანამედროვეობის პრობლემათა შესწავლას აქტუალური მნიშვნელობა გააჩნია ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი განვითარების ამჟამინდელი ეტაპისათვის, განსაკუთრებით მომავალი სასამართლო რეფორმისათვის.

იმ ქვეყნების სახელმწიფოს და სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების ანალიზი, სადაც მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს დინამიური პროცესები, რომლებიც ძალზე წააგავს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის გადაწყვეტას.

ამ კუთხით ინტერესს იწვევს ავსტრალია — ეკონომიკურად მაღალი განვითარების დონის და სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყანა, იმ კულტურული გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც ვითარდებოდა მისი სამართალი — სახელმწიფო, ამჟამად ჩვენი გამოკვლევის ობიექტია ავსტრალიის სასამართლო სისტემის ფორმირება და ამჟამინდელი მდგომარეობა.

ავსტრალიის სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდა ინგლისური სამართლის ზეგავლენით. ინგლისური კოლონიების გაჩენასთან ერთად ავსტრალიაში დაინერგა ზოგადი სამართალი — ნორმათა სისტემა, — ლონდონში პარლამენტის მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტები. ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ 1928 წლის 26 ივლისისათვის ინგლისში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი და ზოგადი სამართლის ყველა ნორმა ექვემდებარება სავალდებულო გამოყენებას იმ მომენტისათვის არსებული ავსტრალიის კოლონიებისათვის. შემდგომში მათ ფორმალურად მიეცათ თავიანთი სამართლებრივი და სასამართლო სისტემების დამოუკიდებლად შექმნის საშუალება. თუმცადა, ზოგადი სამართლის სფეროშიც და კანონმდებლობის სფეროშიც მომდევნო ასწლეულის განმავლობაში (შედარებით ახლო წარსულამდეც) ავსტრალიაში უმუტესწილად ასლირდებოდა ინგლისის სასამართლოთა გადაწყვეტილებები და ბრიტანეთის პარლამენტის აქტები. ზოგადი სამართალი, კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ერთიანს წარმოადგენს ავსტრალიური კავშირის ყველა ექვსივე შტატისა და ორი ტერიტორიისათვის. ამ თვალსაზრისით ზოგადი სამართლის ავსტრალიური სისტემა არსებითად განსხვავდება ამერიკულისაგან, სადაც ყველა შტატს გააჩნია „თავის“ ზოგადი სამართალი. ავსტრალიის ზოგადი სამართლის ერთიანობის უზრუნველყოფისათვის დიდ როლს თამაშობს ავსტრალიის მაღალი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებანიც (ზოგადი სამართლის საკითხების თაობაზე) აუცილებელია ავსტრალიური კავშირის ყველა სასამართლოსათვის.

სტატუტური სამართალი შეიძლება შეიქმნას ავსტრალიის პარლამენტის, ან შტატის პარლამენტის მიერ. პარლამენტის აქტის წარმოქმნა დამოკიდებულია მინისტრის, კაბინეტის ან თუნდაც პარლამენტის იმ რიგითი წევრის გადაწყვეტილებაზე, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს ახალი აქტის გამოცემას. საჭირო კანონი მზადდება პარლამენტის მრჩევლის მიერ, გადის „წაკითხვას“ პარლამენტის ყოველ პალატაში, ხოლო შემდგომ ებუღება გუბერნატორის მოწონებას (თუ საუბარია ავსტრალიის პარლამენტზე — გენერალ გუბერნატორის), სანამ გახდება კანონი, ავსტრალიის კავშირში და ავსტრალიის ყველა შტატში პარლამენტის მრჩევლის თანამდებობას იკავებენ ადვოკატები, რომელთაც გააჩნიათ სამეფო მრჩევლის წოდება. პარლამენტის მრჩეველი სარგებლობს საკმაოდ დიდი გავლენით სახელმწიფო აპარატში და მისდამი დაქვემდებარებულ საშტატო თანამშრომლებთან ერთად პასუხისმგებელია პარლამენტის ყველა აქტის მომზადებაზე.

დელეგირებული კანონმდებლობა გამოიყენება უფლებამოსილებათა საფუძველზე, წარმოდგენილი პარლამენტის აქტის მიხედვით. თავდაპირველად, სანამ პარლამენტი გამოსცემდა კანონს რომელიმე ცალკეულ საკითხზე, ყველაფერი რეგულირდებოდა თავად სტატუტით, საკანონმდებლო დონეზე გადასაწყვეტ პრობლემათა სირთულემ და სამთავრობო სტრუქტურის განშტოებამ გამოიწვია ის, რომ პარლამენტმა საკანონმდებლო საქმიანობის ნაწილი გადასცა სამთავრობო დეპარტამენტებს და სტატუტურ ორგანოებს. ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტის მიერ მიღებული კანონი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხებიან ძირითად საკითხებს, და გადასცემს სხვა ორგანოებს უფლებამოსილებებს, გამოსცენ დელეგირებული კანონმდებლობა, რომელიც მიმართულია დეტალების დაზუსტებისაკენ. სხვა შემთხვევაში სტატუტები შეიძლება წარმოადგენდნენ მხოლოდ ჩონჩხს, ხოლო საკანონმდებლო საკითხების უდიდესი ნაწილი წყდება დელეგირებული კანონმდებლობით.

ჩვეულებას უკავია უმნიშვნელო ადგილი სამართლის განვითარებაში, მაგრამ იგი განსაზღვრულ როლს თამაშობს ზოგიერთი ძირეული პრინციპის დადგენისას.

ავსტრალიის კანონმდებლობა შეიცავს კანონებს, რომლებიც გამოიყენიან კავშირისა და ცალკეული შტატების პარლამენტთა მიერ. მათთან ერთიანდებიან აღმასრულებელ ხელისუფლებათა მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტები. კავშირისა და შტატების კომპეტენცია განაწილებულია კონსტიტუციის მიერ იმგვარად, რომ სამართლის ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგულირდება შტატების კანონმდებლობით. მათი გარკვეული რაოდენობა მოქცეულია კავშირისა და შტატების თანხვედრი კომპეტენციის სფეროში. მათ შორის არსებული წინააღმდეგობის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება კავშირის კანონმდებლობას. ეს პირველ რიგში ეხება ქვეყნის თავდაცვის, საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, მოქალაქეობის და ფინანსთა საკითხებს, კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოთა იურისდიქციას და არეგულირებს მართლმსაჯულების ზოგიერთ სხვა საკითხს, კანონმდებლობას დაქირავებისა და დათხოვის, საპენსიო უზრუნველყოფის, ქორწინებისა და განქორწინების (ზოგიერთ კერძო საკითხთა გარდა); აგრეთვე საბანკო და საავტორო უფლების საკითხების შესახებ. შტატების კანონმდებლობით რეგულირდება: მიწის საკუთრების და რიგი სხვა სახის საკუთრების უფლება, სახელმწიკრულებო სამართალი, პასუხისმგებლობა ზარალის მიყენებისათვის, შრომის პირობები და სხვა. უმეტეს შტატებში პერიოდულად გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის ნახევრადოფიციალური კრებული.

ავსტრალიის სამართლის დარგთა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რეგულირდებიან თუ არა ისინი კავშირის ან ცალკეულ შტატთა კანონით, არსებითად

არ განსხვავდებიან ინგლისის სამართლისაგან. გამონაკლისია მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც განეკუთვნებიან მიწის სამართალს და ნაწილობრივ შრომით ურთიერთობებს. ავსტრალიის სპეციფიური პირობების გამო ინგლისისაგან განსხვავებით, მიიღეს მიწის ნაკვეთების მფლობელთა უფლებების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ კანონები.

თავისებურებებით გამოირჩევა ავსტრალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სისხლის სამართლის წყაროს წარმოადგენს კავშირისა და ცალკეული შტატის კანონმდებლობა, აგრეთვე ზოგადი სამართლის ნორმები, კავშირის ფარგლებში არსებითად მოქმედებს მხოლოდ კანონი სახელმწიფო დანაშაულებათა შესახებ. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ავსტრალიის კავშირის სახელმწიფო უშიშროების ხელყოფისათვის.

შტატების დონეზე სისხლის სამართლის კანონმდებლობა კოდიფიცირებულია მხოლოდ შტატ კვინსლენდში, დასავლეთ ავსტრალიასა და ტასმანიაში. სხვა შტატებსა და ტერიტორიებში, ინგლისური ნიმუშის მიხედვით, გამოცემულ იქნა არა სისხლის სამართლის კოდექსები, არამედ კონსოლიდირებული აქტები, რომლებიც ადგენდნენ პასუხისმგებლობას დანაშაულთა გარკვეული ჯგუფებისათვის. ავსტრალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში წამყვანი ადგილი უჭირავს შტატ კვინსლენდის 1899 წლის სისხლის სამართლის კოდექსს. იგი ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის საფუძველზე შემუშავებულია ცნობილი ინგლისელი იურისტის სტიფენის მიერ 1879 წელს, რომელიც ვერ იქცა კანონად.

კვინსლენდის შტატის სსკ 1913 წელს გამოიცა ახალი რედაქციით დასავლეთ ავსტრალიის შტატისათვის, ხოლო 1924 წელს — კიდევ — ერთი რედაქციით ტასმანიის შტატისათვის. შტატ კვინსლენდის სსკ, ინდოეთის სსკ ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც ნიმუშმა, აფრიკასა და დედამიწის სხვა რაიონებში ინგლისის კოლონიების სისხლის სამართლის კოდექსების შემუშავებისათვის.

სისხლის სამართლის მიმე დანაშაულობებზე ბრალდების განხორციელება წარმოებს მეფის სახელით, გენერალური ატორნეის უწყების მიერ (ამგვარი დამოუკიდებელი უწყებები არსებობს ყველა შტატსა და ტერიტორიაზე, აგრეთვე მათგან დამოუკიდებლად, ფედერალურ სამთავრობო ორგანოთა სისტემაში).

სასამართლოებში გენერალური ატორნეის — პროკურორის წარმომადგენლები იწოდებიან სამეფო ბრალმძებლებად. მათ გააჩნიათ დიდი უფლებამოსილებანი, მათ შორის კონკრეტულ საქმეზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას.

ავსტრალიაში ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულობაზე სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს პოლიცია, რომელიც (ავსტრალიის ფედერალური პოლიციის გამოკლებით, შექმნილი მხოლოდ 1974 წელს) შტატებისა და ტერიტორიების ხელისუფლების კონტროლქვეშ არის.

**სასამართლო სისტემა.** ავსტრალიაში, ინგლისის მსგავსად, ოდითგანვე ადგილი ჰქონდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა მკაცრ დაყოფას ორ რგოლად — სოლისიტორებად და ბარისიტორებად, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, მოსამართლეებს. ამჟამად მოხდა ყველა სახის ადვოკატთა, რომლებიც ეწევიან იურიდიულ პრაქტიკას, თითქმის მთლიანი შერწყმა ერთ კატეგორიად. სოლისიტორები ახორციელებენ დავალებათა ფართო წრის სამართლებრივ ასპექტებს — ბინის (სახლის) ყიდვიდან დაწყებული, სააქციონერო კომპანიების რთული გარიგებებით დამთავრებული. სოლისიტორი შეიძლება შევადაროთ ფართო პროფილის მქონე ექიმთან, თუმცადა ძრავალი სოლისიტორი სპეციალიზირდება განსაზღვრულ დარგში.

**ბარისიტორები** სრულყოფენ თავიანთ ცოდნას სამართლის რომელიმე სპეციალურ დარგსა და სასამართლო საქმეთა წარმოების განსაკუთრებულ ხელშეწყობაში. იურისტი, რომელიც ახორციელებს საბარისიტორო საქმიანობას, შეხვდება თავის კლიენტს, სანამ ეს უკანასკნელი არ გამოცხადდება თავდაპირველად სოლისიტორთან, რომელიც შემდგომში წარუდგენს ბარისიტორს ეგრეთწოდებულ „ბრიფს“: ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს სასოლისიტორო კანტორას, ყოველგვარი გამოძახების ვარეშე, საჭიროებისამებრ. ბარისიტორის კაბინეტში იგი შევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სოლისიტორი დაუნიშნავს ამ შეხვედრას. როგორც წესი სოლისიტორი განკარგავს იმ თანხას, რომელიც კლიენტმა მიანდო მას. ბარისიტორს არასდროს არა აქვს შეხება კლიენტის თანხასთან და ამიტომაც, ბუნებრივია, არ გააჩნია მასთან არანაირი მინდობილობითი ანგარიშსწორება. სოლისიტორს ანაზღაურებას უზღის კლიენტი, ხოლო ბარისიტორს — სოლისიტორი, რომელიც პასუხისმგებელია კლიენტისაგან ჰონორარის მიღებაზე.

სოლისიტორთა კანტორის ყოველდღიურ, მათ შორის ორგანიზაციული სამუშაოსაგან თავისუფალ ბარისიტორს მეტი დრო რჩება თავისი ერუდიციის გასაღრმავებლად. თუკი თუნდაც ძალზე გამოცდილმა სოლისიტორმა გადაწყვიტა გაერთიანდეს ბარისიტორთა კორპორაციაში, მან უნდა გაიაროს სასამართლოში საქმეთა წარმოების ხელოვნების სპეციალური კურსი.

სამეფომრჩეველი — ესაა ბარისიტორი, რომელმაც მიადწია მაღალ პროფესიონალურ დონეს და აღიარებას. ავსტრალიის ყველა შტატში სამეფო მრჩეველი ინიშნება გუბერნატორის მიერ შტატის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის რეკომენდაციით. სამეფო მრჩეველის სტატუსის მისაღებად, ბარისიტორი უნდა ფლობდეს სასამართლოში მონაწილეობის დიდ გამოცდილებას და თავისი კორპორაციის წევრთა აღიარებას. ლიდერთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად, როგორც წესი, სამეფო მრჩეველი გამოდის სასამართლოზე უმცროსი ბარისიტორის თანხლებით, რომელმაც მიიღო დავალება მასთან ერთად სასამართლოში საქმის წარმოებაზე. პრაქტიკაში სოლისიტორს შეუძლია მიმართოს ბარისიტორს პირდაპირი დავალებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მეტად სერიოზული და რთულია.

სამეფო მრჩეველს უპირატესობა გააჩნია ბარისიტორთა კორპორაციის რიგითი წევრების წინაშე, მათგან, როგორც წესი, ზდება მოსამართლეებად არჩევა, თუმცადა უკანასკნელ წლებში რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც სპეციალური სასამართლოების მოსამართლეები სოლისიტორთა რიგებიდანაც კი აირჩიეს.

ავსტრალიის სასამართლო სისტემა შედგება ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს ფედერალური სასამართლოების, ცალკეულ შტატებისა და ტერიტორიების უმაღლესი სასამართლოების, რაიონული სასამართლოების, საგრაფოთა სასამართლოების, მაგისტრალური სასამართლოების, სპეციალიზირებული სასამართლოებისა და ტრიბუნალებისაგან.

ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო ორგანოა ავსტრალიის უზენაესი სასამართლო, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და ექვსი წევრისაგან. იგი განიხილავს საკითხებს, დაკავშირებულს კონსტიტუციის განმარტებასთან, საქმეებს, რომელშიც ავსტრალიის კავშირი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, შტატებს შორის წარმოქმნილ დავებს, ზოგიერთ ფედერალურ თანამდებობის პირთა მიმართ საჩივრებს, აგრეთვე ავსტრალიის კავშირის კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საქმეებს (იგი შეიძლება განხილულ იქნას სასამართლოს ერთი წევრის მიერაც). გარდა ამისა ავსტრალიის უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივრებს ფედერალური იურისდიქციის განმხორციე-

ლებელ სასამართლოების გადაწყვეტილებების, განაჩენების და ბრძანებების მიმართ, აგრეთვე შტატების უმაღლესი და სხვა სასამართლოების შესაბამის დადგენილებებზე, თუკი ავსტრალიის კავშირის შექმნის მომენტისათვის (1900) ისინი ექვემდებარებოდნენ გასაჩივრებას. ავსტრალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ზოგადი სამართლის საკითხების გარშემო, რომელიც მიღებულია ნებისმიერი შტატის სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების მიმართ, სავალდებულოა ავსტრალიის კავშირის ყველა სასამართლოსათვის.

უზენაესი სასამართლო ერთადერთი სასამართლოა, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ძირითადი საკითხები ავსტრალიის კავშირის კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შესახებ. კანონმდებლობის კონსტიტუციურობის თაობაზე დავები შეიძლება წარმოიქმნას ავსტრალიის კავშირსა და შტატებს შორის ნავთობზე უფლების შესახებ, ან კერძო პირსა ან კომპანიას და ავსტრალიის კავშირს შორის. საყურადღებოა, რომ ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება შედგება სახელმწიფოს ცალკეულ ქმედებათა არაქმედუნარიანად მიჩნევაში.

უზენაესმა სასამართლომ არ უნდა მიუთითოს თუ რა უნდა გააკეთოს პარლამენტმა ან მის მიერ დელეგირებული კანონმდებლობის გამოშვებაზე უფლებამოსილმა ორგანომ — უზენაესი სასამართლოს როლი შემოიფარგლება ავსტრალიის კავშირის მოქმედებათა კანონიერების ან უკანონობის კონსტატაციით ავსტრალიაში უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს გადაწყვეტილებათა ერთგვაროვნებაზე, თუმცა აქაც გვხვდება გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსხვავდებიან ინგლისისა და ახალი ზელანდიის შესაბამისი სასამართლოების გადაწყვეტილებებისაგან.

**ფედერალური სასამართლოები** შექმნილია როგორც უმაღლესი სასამართლო და აგრეთვე ჩრდილოეთ და ეროვნული დედაქალაქის ტერიტორიების სასამართლო ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოები. საჭიროების შემთხვევაში ფედერალური სასამართლო სხდომას აწარმოებს ნებისმიერ შტატსა და ტერიტორიაზე. მის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე და 26 წევრი. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო ისე განიხილავენ (როგორც წესი, ერთპიროვნულად) საქმეებს ზოგიერთ შრომითი კონფლიქტების, ბანდიტობის შესახებ, აგრეთვე საჩივრებზე ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედებაზე, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლო განხილვას, და ზოგიერთ დავებს, წარმოქმნილს სავაჭრო პრაქტიკიდან. ფედერალური სასამართლოს ძირითადი ფუნქცია კი საჩივართა განხილვაა (სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ) იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც მისმა მოსამართლეებმა ერთპიროვნულად გამოიტანეს.

ავსტრალიის ფედერალური სასამართლო განიხილავს აპელაციებს ერთ-ერთი მისი მოსამართლის ან ავსტრალიის რომელიმე ტერიტორიის სასამართლოს (მაგალითად, დედაქალაქის ტერიტორიის უმაღლესი სასამართლოს) გადაწყვეტილებებზე. მასთან აგრეთვე შედის აპელაციები შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე (ერთპიროვნულ მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე), თუკი ავსტრალიის პარლამენტი თავის კანონით ანიჭებს მას ამგვარ იურისდიქციას კონკრეტული კლასის საქმეთა მიმართ.

ავსტრალიის ფედერალური სასამართლოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქცია ხორციელდება ფედერალური სასამართლოს მიერ ორ განყოფილებაში — მრეწველობაში წარმოქმნილ დავათა განყოფილებაში, რაშიც იგულისხმება შრომითი კონფლიქტები და საერთო განყოფილებაში. მას არ გააჩნია საერთო იურისდიქცია. პირველი ინსტანციით სასამართლოს საქმეთა განხილვისას შემოიფარგლებიან იმ საკითხებით, რომლებიც გადაეცემათ პარლა-

მენტის ცალკეული აქტებით, განკუთვნილი სამართალურიერობათა სპეციფი-  
ური ასპექტების რეგულირებისათვის.

1970 წლის დამლევისათვის სასამართლოთა ფედერალურმა სისტემამ  
განიცადა არსებითი სახეცვლილება — შეიქმნა ავსტრალიის საოჯახო სასამარ-  
თლო (1975 წლის საოჯახო სასამართლოს შესახებ კანონი). ავსტრალიის საო-  
ჯახო სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და 43 წევრისაგან, რომლებიც  
ერთბიროვნულად ან მცირე კოლეგიების სახით განიხილავენ საქმეებს. 1975  
წლის საოჯახო სასამართლოს შესახებ კანონის შესაბამისად მხოლოდ ავსტ-  
რალიის საოჯახო სასამართლოს შეუძლია მისცეს უფლება განქორწინებაზე  
ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გარდა დასავლეთ ავსტრალიის შტატისა და ჩრდი-  
ლოეთ ტერიტორიისა, სადაც ამ ფუნქციას ასრულებენ შესაბამისი უმაღლესი  
სასამართლოები. განქორწინებასთან ერთად საოჯახო სასამართლო განიხილავს  
ნებისმიერ სხვა სახის დავას მეუღლეებს ან ყოფილ მეუღლეებს შორის, ჩო-  
გორც ქონებრივ, ისე არაქონებრივი ხასიათისას. სასამართლოს სხდომა მიმდი-  
ნარეობს დახურულ კარს მიღმა.

ყველა შტატის და ტერიტორიის სასამართლო სისტემები ორგანიზებული  
არიან და მოქმედებენ დამოუკიდებლად; ხოლო მათი სტრუქტურა და ცალკეული  
სასამართლო ინსტანციის ფუნქციები გამოირჩევიან არსებითი სხვადასხვაობით.  
შესაბამისი შტატის და ტერიტორიის უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარ-  
მოადგენს უმაღლესი სასამართლო. ამ სასამართლოთა უფლებამოსილება არ შე-  
მოიფარგლება სარჩელის მოცულობით სამოქალაქო საქმეებისას და დანაშაულ-  
თა ტიპებით — სისხლის სამართლის საქმეებისას. თუმცადა მათ არ შეუძლიათ  
მოისმინონ საქმეები, რომლებიც შეეხებიან შტატებისა და ავსტრალიის კავში-  
რის უფლებამოსილებათა შესახებ დავებს.

უმაღლესი სასამართლოები განიხილავენ ყველა საქმეებს, გარდა იმისა,  
რომელიც სპეციალური კანონით შეიძლება ამოღებულ იქნას მათი იურისდიქცი-  
იდან. პირველი ინსტანციით ისინი განიხილავენ საქმეებს განსაკუთრებით მძიმე  
სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ (მოსამართლე 12 ნაფიც მსაჯულ-  
თან ერთად), რომელთაც მოეთხოვებათ ერთხმად ვერდიქტის გამოტანა; აგრეთვე  
მნიშვნელოვან სასარჩელო ღირებულების სამოქალაქო საქმეებს (ერთბიროვნუ-  
ლი მოსამართლე, ან ერთ-ერთი მოდავე მხარის მოთხოვნით 4 ან 6 მსაჯულის  
მონაწილეობით). უმაღლესი სასამართლოები განიხილავენ საჩივრებს როგორც  
წესი, 3 მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიით, ქვემდგომი სასამართლოების  
და ზოგიერთი სპეციალური სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

ზოგიერთ შტატში გარდამავალი ინსტანციის სახით არსებობს აგრეთვე  
საგრაფო ან რაიონული სასამართლოები. რაიონული სასამართლოები ან ცალკე-  
ულ შტატებში იურისდიქციით მასთან გათანაბრებული სხვა დასახელების სა-  
სამართლოები — (საგრაფო ან საოლქო) უფლებამოსილია განიხილონ როგორც  
სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეები, მხოლოდ, ორივე შემთხვე-  
ვაში, გააჩნიათ შეზღუდული იურისდიქცია. ეს სასამართლოები როგორც უმაღ-  
ლესი სასამართლოები იმავე წესით განიხილავენ საქმეებს მძიმე სისხლის სა-  
მართლის დანაშაულთა შესახებ, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისა  
და სამოქალაქო საქმეებს სასამართლო ღირებულებით, რომელიც აღემატება  
უმაღლეს სასამართლოთა კომპეტენციას.

საგრაფოების ყველა სასამართლოთა მოსამართლეები და უფრო მაღალი  
სტატუსის მქონე მოსამართლეები ინიშნებიან ბარისიტორთა (როგორც წესი  
სამეფო მრჩეველთა) შემადგენლობიდან, თუმცადა ადგილი აქვს დანიშნებს სო-  
ლისიტორთაგან, რომლებიც სპეციალიზირდებიან განსაზღვრულ საკითხებში.

ზოგიერთ შტატსა და ტერიტორიაზე უმდაბლესი სასამართლოები იწოდებო-  
ბიან როგორც ადგილობრივ სასამართლოებად, ისე მაგისტრატებად ან მკარავ-  
სხდომათა სასამართლოებად. ისინი განიხილავენ ნაკლებდმნიშვნელოვან სისხ-  
ლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებს ცალკეულ შტატში ჰნ  
ტერიტორიაზე დადგენილ სასარჩელო ღირებულების ფარგლებში, აგრეთვე და-  
ვეებს მესაკუთრეებსა და არენდატორებს შორის და სხვ. თუმცადა არ არსე-  
ბობს განსაზღვრული კრიტერიუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს კანონმდებ-  
ლობა, მიეკუთვნება თუ არა კონკრეტული დანაშაულის განხილვის საკითხი მა-  
გისტრალური სასამართლოს იურისდიქციას. მაგისტრალური სასამართლოები  
შედგებიან მაგისტრატებისაგან, ან მაგისტრატისა და რამდენიმე მშვიდობიანი  
მოსამართლისაგან ან მშვიდობიანი მოსამართლეებისაგან მაგისტრატების გარე-  
შე. აქ საქმეები განიხილება ან ფასიანი მაგისტრატის მიერ ერთპიროვნულად,  
ან ორ-სამ მშვიდობიან მოსამართლესთან ერთად, ან მხოლოდ ორ ან მეტ მშვი-  
დობიან მოსამართლეთა მიერ. ეს სასამართლოები ხშირად ახორციელებენ აგ-  
რეთვე ბრალდების წინასწარ მოსმენას სეროიზულ სისხლის სამართლის დანა-  
შაულთა გამო, რომლებიც შემდგომში ექვემდებარებიან ნაფიც მსაჯულთა სა-  
სამართლოში გადაცემას.

ავსტრალიაში შედარებით დიდია სპეციალიზირებული სასამართლოების და  
ტრიბუნალების რაოდენობა, რომელთა სიაც მუდმივად ფართოვდება პარლამენ-  
ტის მიერ და რომლებიც არ შედიან საერთო სასამართლოთა სისტემაში. ამიტო-  
მაც პრაქტიკულად შეუძლებელია მათი იურისდიქციის ჩამოთვლა. თუმცადა  
ზოგიერთი მაგალითის მიხედვით შეიძლება ვთქვათ თუ რა სახის უფლებამო-  
სილების დაკისრებას ირჩევს პარლამენტი ტრიბუნალებზე და სპეციალურ სა-  
სამართლოებზე, საერთო სისტემაში შემავალი სასამართლოებისაგან განსხვავე-  
ბით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ტრიბუნალი“ ავსტრალიაში, ინგლი-  
სსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში აღნიშნავს, უმეტესწილად, ადმინისტრაციულ  
დაწესებულებას კვაზისამართლოებრივი ფუნქციებით. მაგალითად, 1975 წელს ავ-  
სტრალიის პარლამენტმა დააწესა სააპელაციო ადმინისტრაციული ტრიბუნალი —  
დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო, რომელიც განიხილავს საჩივრებს ავსტ-  
რალიის კავშირის მინისტრების და მთავრობის ზოგიერთ სხვა მოხელეთა მიერ მი-  
ღებულ გადაწყვეტილებებზე, ამ ორგანოს უფლებამოსილება შეზღუდულია მხო-  
ლოდ სპეციალური საკითხების იმ ვიწრო წრით, რომელთა განხილვაც მინდობილი  
აქვს პარლამენტის მიერ. მაგალითად, ერთ-ერთი ადმინისტრაციული ტრიბუნალი,  
რომელიც შექმნილა ვიქტორიის შტატის პარლამენტის მიერ, ცნობილია, რო-  
გორც მშენებლობის საქმეების სამედიატორო სასამართლო. ეს ორგანო ახორ-  
ციელებს ვიქტორიაში მოქმედი სამშენებლო ზედამხედველობის შესახებ ინს-  
ტრუქციის ზოგიერთი დებულების გარშემო აპელაციებს, მოითხოვს ამ ინსტ-  
რუქციების შესრულებას და განიხილავს მშენებლებს, არქიტექტორებს ან მი-  
წათმფლობელებს შორის წარმოქმნილ დავათა გარშემო აპელაციებს. მას აქვს  
აგრეთვე უფლება გადაწყვიტოს ამგვარი დავები და შეცვალოს ინსტრუქციის  
შინაარსი კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში.

ვიქტორიის შტატში არსებობს ალკოჰოლურ სასმელთა დამზადებაზე კონ-  
ტროლის კომისია, რომელიც ასრულებს სპეციალური სასამართლოს როლს და  
დაკავებულია კონტროლის პრობლემებით ალკოჰოლური სასმელების მრეწველო-  
ბაში. ამ ორგანოს შემადგენლობაში შედის საგრაფოს მოსამართლე და კომისი-  
ის ორი წევრი. კომისიის ფუნქცია მდგომარეობს სასმელების გაყიდვაზე ლი-  
ცენზიის გაცემასა ან მასზე უარის თქმაში, აგრეთვე კონტროლი სასტუმრო-  
ებსა და სხვა ადგილებზე, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ლიცენზიები.

ყველა შტატში ფუნქციონირებს აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ მოზარდთა მიერ ჩადენილ ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეებს. ამასთან, ვალდებულნი არიან ყურადღება მიექციონ ობლებს, უპატრონოებს და ა. შ. ყველა შტატში, დასავლეთ ავსტრალიის გარდა, საოჯახო საქმეებზე იურისდიქცია ეკისრებათ ფედერალურ მოსამართლეებს, რომლებიც წარმოადგენენ ავსტრალიის საოჯახო სასამართლოს. ეს სპეციალური სასამართლო განიხილავს აგრეთვე ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებულ დავებს და ქონებრივ დავებს, რომლებიც წარმოიქმნება განქორწინების შედეგად, დასავლეთ ავსტრალიაში მოქმედებს ანალოგიური იურიდიულიქციის მქონე შტატის სასამართლო.

სპეციალიზირებულთა რიცხვს მიეკუთვნებიან აგრეთვე სასამართლოები, რომლებსაც ევალებათ ზღვაზე მომხდარ შემთხვევათა გამოძიება—ხომალდის ჩაძირვა, ადამიანთა სიკვდილის და დაკარგვის შემთხვევები, რომლებიც ბორტს მიღმა აღმოჩნდნენ. სპეციალურ ტრიბუნალთა წარმომადგენლები უნდა იყვნენ კვალიფიციური იურისტები. ზოგჯერ მათ მოეთხოვებათ მუშაობის ისეთივე გამოცდილება, როგორც საგრაფო სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს (რიგ შტატებში მათ ეკვივალენტურ რაიონულ მოსამართლეებს). როგორც წესი ტრიბუნალთა თავმჯდომარეებს არ ეძლევათ გარანტია თანამდებობაზე ყოფნის ვადის გამო. პრაქტიკაში ის ვადა იზღუდება მთავრობის მიერ, რაც რისკის ქვეშ აყენებს ტრიბუნალთა თავმჯდომარეებს, რომ მოექცნენ იმ ორგანოს გაუღენის ქვეშ, რომელიც ხელმეორედ იძლევა მათ დანიშვნაზე რეკომენდაციას.

ავსტრალიის ყველა სასამართლოში თავმჯდომარეები თავიანთ თანამდებობაზე არ აირჩევიან, არამედ ინიშნებიან (სამუდამოდ ან გარკვეული ასაკის მიღწევამდე) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს მიერ. კერძოდ, ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები ინიშნებიან გენერალ-გუბერნატორის მიერ მთავრობასთან შეთანხმებით. მოსამართლეთა თანამდებობებზე დასანიშნებს წაყენებათ ძალზე დიდი მოთხოვნები (განათლება, იურიდიულ-პრაქტიკული საქმიანობის სტაჟი და ა. შ.). მშვიდობიანი მოსამართლეები ინიშნებიან პირთაგან, რომელთაც არა აქვთ იურიდიული განათლება, თუმცაღა ზოგიერთ შტატში მათ მოეთხოვებათ დანიშვნის შემდეგ სწავლების სპეციალური კურსის გავლა. მოსამართლეები შეიძლება გადაყენებულ იქნან თანამდებობიდან, როგორც წესი, მხოლოდ კავშირის ან შტატის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ.

ავსტრალიის საკანონმდებლო პროცესმა ეფექტიანობის მაღალ დონეს მიაღწია. საკანონმდებლო პროცესის ეფექტიანობაზე მიუთითებს ის, რომ საზოგადოებაში იზრდება ინდივიდუალის შესაძლებლობა. ავსტრალიის საზოგადოება, ძირითადად, პატივისცემით და ნდობით არის განწყობილი საკანონმდებლო პროცესისადმი.





ეკა შენგელია


## საქსიო საზოგადოება როგორც იურიდიული პირი და აქსიონერთა ქირითადი უფლება-მოვალეობანი

იურიდიული პირების კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმად ჩაითვლება მათი საქმიანობის ხასიათი, რომლის მიხედვითაც ისინი შეიძლება დაიყონ კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებად. პირველები ძირითადად სამეწარმეო საქმიანობით შემოიფარგლებიან და საკუთარი სახსრებით არსებობენ. მეორეთა საწესდებო მიზანი არ არის მოგების მიღება და ძირითადად ორგანიზაციულ-მმართველობითი, სოციალურ-კულტურული და სხვა არამატერიალურ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ფუნქციის შესრულებას ემსახურებიან, ამიტომ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვადასხვა ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობათა ხარჯზე ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ იკიდებს ფეხს საბიუჯეტო დაწესებულებათა „კომერცივიზაციის“ პროცესი. ეს უპირველეს ყოვლისა, ეხება კულტურულ-სანახაობათა ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობაში შემოსავლების მიღება დროის მოთხოვნითაა განპირობებული. მათი საქმიანობის ხასიათის ანალიზი დღის წესრიგში აყენებს იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის დაზუსტების აუცილებლობის საკითხს.

რაც შეეხება კომერციულ იურიდიულ პირებს, მათი როგორც საბაზრო მეურნეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაწილეების სამართლებრივი მდგომარეობის საერთო საფუძვლების დახასიათება შესაძლებელია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან. ამ კანონის მიხედვით სამეწარმეო ანუ კომერციული საქმიანობის მონაწილეები უნდა არსებობდნენ განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. მეორე მუხლის საფუძველზე ასეთ ფორმებად მიჩნეულია: 1. ინდივიდუალური საწარმო; 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს. პ. ს.) 3. კომანდიტური საზოგადოება (კ. ს.) 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ. პ. ს.), 5. სააქციო საზოგადოება (ს. ს.) და 6. კოოპერატივი.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან არსებითად განსხვავდება სააქციო საზოგადოება.

სააქციო საზოგადოება არის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი გაერთიანება, რომლის წევრებს აქვთ აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. მისი ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი საშუალებებით.



სააქციო საზოგადოების მონაწილენი ანუ აქციონერები პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებებზე მხოლოდ საკუთარი შენატანების ან მათი კუთვნილი აქციების პაკეტის ფარგლებში, ე. ი. ისინი მხოლოდ გარკვეულ რისკს ეწევიან საკუთარი შენატანების ან აქციების ყიდვასთან დაკავშირებული სახსრების შესაძლებელი დაკარგვის გამო. თავისი იურიდიული ბუნებით იგი ყველაზე ახლოს დგას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან. ორივე შემთხვევაში საზოგადოების მონაწილეებს მასში შეაქვთ სახსრების განსაზღვრული ნაწილი, მაგრამ სხვაობა მათში ისაა, რომ თითოეული აქციის წილი აუცილებლად ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, ე. ი. აქციების ღირებულება თანაბრად უნდა იყოს განსაზღვრული. ეს სრულებითაც არ ნიშნავს თითოეული მონაწილის წილის თანაბრობას. ამასთან, აქციების წილი შეიძლება თავისუფლად იქნეს გასხვისებული აქციონერთა მიერ, მაგრამ არ შეიძლება ამოღებულ იქნეს საზოგადოების საწესდებო ქონებიდან. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კი მისგან გამოსული მონაწილე უფლებამოსილია საზოგადოებისაგან მიიღოს მისი წილი, მაგრამ მისი გასხვისება შეუძლია სხვა მონაწილეთა თანხმობით, რადგან ამ უკანასკნელთ აქვთ ამ წილის უპირატესი შეძენის უფლება. კანონის 51-ე მუხლის მიხედვით სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ღირებულება შეესაბამება 15000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ეროვნული ვალუტით, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის -1 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტა.

აქცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განკარგულებას. იგი არის სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, რომელიც ასაბუთებს გარკვეული ფულადი თანხის შეტანას ამ საზოგადოების კაპიტალში და მის მფლობელს აძლევს უფლებას სააქციო საზოგადოების საერთო მოგებიდან მიიღოს გარკვეული შემოსავალი ანუ დივიდენდი.

აქციების გამოშვება შედის მხოლოდ სააქციო საზოგადოების კომპეტენციაში. არც ერთ სხვა სამეურნეო საზოგადოებას ან კომერციულ სტრუქტურას უფლება არა აქვს გამოუშვას აქციები, თუმცა პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ აქციების შინაარსი ზოგჯერ ობლიგაციების შინაარსშია არეული. ობლიგაცია ფასიანი ქაღალდია, რომლის საფუძველზეც მის მფლობელს უფლება აქვს ობლიგაციის გამომშვებს მოსთხოვოს მისი ნომინალური ღირებულება და მასზე დარიცხული პროცენტი. ობლიგაციის გამომშვების უფლება აქვთ როგორც სახელმწიფო ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ ორგანოებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს, ასეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც შეცდომით აქციებს უწოდებენ, სინამდვილეში ობლიგაციებია.

აქციები ობლიგაციებისაგან თუნდაც იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელნი არ აძლევენ მის მფლობელებს ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის უფლებას. აქციის მფლობელს კი ასეთი უფლება გააჩნია.

აქციები შეიძლება იყოს რამდენიმე სახის. მათ შორის უფრო გავრცელებულია: საწარმდგენლო, რომელთა გასხვისება თავისუფლად შეიძლება საფონდო ბირჟებზე და სახელობითი, რომელშიც მისი მფლობელია მითითებული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ასეთი აქციის სხვა პირისათვის გადაცემა. გადასაცემი წარწერის ანუ ინდოსამენტის გამოყენების გზით. ორივე სახის აქციები ითვლება ჩვეულებრივ აქციებად. სააქციო საზოგადოებას შეუძლია გამოუშვას აგრეთვე პრივილეგირებული ანუ შეღავათიანი აქციებიც. ასეთი აქციების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მის მფლობელს გარანტირებული აქვს შედარებით მაღალი დივიდენდის მიღება, აქციის ნომინალური ღირებუ-

ლების ფიქსირებული პროცენტის სახით. მასვე შეიძლება ჰქონდეს სალიკვიდაციო ქვოტის უპირატესი მიღების უფლებაც. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული უპირატესობები პრივილეგიერებული აქციის მფლობელმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ პირობით თუ იგი უარს იტყვის საზოგადოების საქმეთა მართვაში მონაწილეობის მიღებაზე. ასეთი გავებით პრივილეგიერებული აქცია თავისი შიხარისით უახლოვდება ობლიგაციას. ახალი კანონის 52-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული სააქციო საზოგადოების მიერ სასესხო ობლიგაციების გამოშვების შესაძლებლობაზე.

აქციები სააქციო საზოგადოების მრავალრიცხოვან წევრებს შორის ნაწილდება არაერთდროულად. ამის გამო მათ შორის არავითარ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა არ წარმოიშობა. ამიტომაცაა, რომ მათ საზოგადოების საქმეებში პირადი მონაწილეობა არ მოეთხოვებათ და აქციების გასხვისების უფლებაც გააჩნიათ.

ასეთი გარემოება, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს საზოგადოების მართვის ცენტრალიზაციას და მის საქმეთა საჯაროდ წარმოების აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება საწესდებო ფონდის ოდენობის გამოცხადებას, ყოველწლიური მოგებისა და წაგების შესახებ ანგარიშების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რაც შეიძლება საზოგადოების გადახდისუნარიანობის გარანტიად და აქციონერთა რიცხვის გაზრდის საბაზიც გახდეს.


აქციები შეიძლება იყოს საწარმდგენლო და სახელობითი. პირველი სახის აქციები თავისუფლად მიმოქცევადია. ძირითადად მათი ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟებზე ხდება. რაც შეეხება მეორე სახის აქციებს, მათი ბრუნვაში გაშვება შედარებით შეზღუდულია, რადგან აქციებში მითითებულია მისი მფლობელი.

ჩვენთან, სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, ფიზიკურ პირებს შორის მეტი გავრცელება მიიღო სახელობითმა აქციებმა.

სახელობითი აქციების გადაცემა სხვა პირებზე შესაძლებელია სააქციო ბარათზე ინდოსამენტის (სათანადო წარწერის) გაკეთების მეშვეობით. შესაძლებელია აგრეთვე სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების გამოყენებაც ასეთი ხელშეკრულება რეგისტრირებულ უნდა იყოს სააქციო საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოების შექმნის დროს მისი აქციები შეიძლება გავრცელდეს მათზე ღია ხელმოწერით, რომლის დროსაც ნებისმიერ პირს აქვს უფლება შეიძინოს აქცია. ამ დროს საზეზე იქნება ღია სააქციო საზოგადოება. შესაძლებელია აგრეთვე აქციების გავრცელება არა ნებისმიერ მსურველთა შორის, არამედ მხოლოდ დამფუძნებელთა შორის, ე. ი. აქციონერთა წრე შეზღუდულია. ასეთი საზოგადოება დახურული სააქციო საზოგადოებაა. პირველ შემთხვევაში დამფუძნებლებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ აქციათა რაღაც ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი არ იქნება აქციონერთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება, მაგალითად, რომ არ მოხდეს საზოგადოების შექმნა მარტო ხელმომწერ აქციონერთა ხარჯზე და ა. შ.

სააქციო საზოგადოება იქმნება წესდების საფუძველზე, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების მონაწილენი — პარტნიორები. ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. საზოგადოების დამფუძნებლები, ჩვეულებრივ, ერთმანეთში დებენ ხელშეკრულებას საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საქმიანობის თაობაზე. ეს საქმიანობა კი სავალდებულო რეგისტრაციასთან ერთად, მოიცავს აქციონერთა ნებასურვილის გამოხატვას საზოგადოების შექმნის შესახებ, აქციებზე ხელმოწერის



კანონორციელებას და დამფუძნებელი კრების ჩატარებას წესდების მისაღებად დასაშვანობა

ნებისმიერი და მათ შორის სააქციო საზოგადოების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, რასაც პერიოდულად აქვეყნებს პრესაში. სამართლის სუბიექტად საზოგადოება მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ ხდება.

სააქციო საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. იგი მოიწვევა, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ, თუ საჭირო არ გახდა რიგგარეშე კრების მოწვევა. კრება უფლებამოსილია განიხილოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები. კრების მუშაობაში ხმის უფლებით მონაწილეობენ აქციების მფლობელი პარტნიორები. სააქციო საზოგადოების საერთო კრება წარმომადგენლობითი ორგანოა და მისი ყველა გადაწყვეტილება უნდა შეასრულოს საზოგადოების აღმასრულებელმა ორგანომ. ასეთი კოლეგიალური ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს არანაკლებ სამისა და არა უმეტეს ოცდაათი წევრისა. საბჭოს წევრები ირჩევიან საერთო კრებაზე ოთხი წლის ვადით. საბჭო ირჩევს თემჯდომარესა და მოადგილეს. მისი ფუნქცია, 55-ე მუხლის მიხედვით, მრავალგვარია. კერძოდ, მას შეუძლია საფინანსო და მატერიალური ფასეულობების განკარგვა, ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა, სესხებისა და კრედიტების აღება, საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და სხვა.

სააქციო საზოგადოების უშუალო ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს. დირექტორები ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მტკიცდება საერთო კრებაზე. დირექტორად არ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნა. მათი უფლებამოსილება განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. თუ საზოგადოებას რამდენიმე დირექტორი ჰყავს, ისინი ერთობლივად დებულობენ მონაწილეობას სამოქალაქო გარიგებებში. ზოგჯერ ამა თუ იმ დირექტორს შეიძლება მიენიჭოს ზოგიერთ გარიგებაში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება, ანდა საქმიანობის რომელიმე სფეროს ხელმძღვანელობა დაეკისროს.

სააქციო საზოგადოების სარევიზიო საქმიანობისათვის ყოველწლიურად საერთო კრებაზე ხდება იმ აუდიტორი ორგანიზაციის განსაზღვრა, რომელმაც უნდა განახორციელოს რევიზია, საფინანსო და მატერიალური სახსრების ხარჯვის სისწორისა და საერთოდ, საზოგადოების საქმიანობის კანონის მოთხოვნების შესაბამისობის განსაზღვრა. სარევიზიო ორგანო არ არის სააქციო საზოგადოების წარმომადგენელი.

სააქციო საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობაზე და მის სტრუქტურულ ელემენტებს შორის სამართლებრივ კავშირებზე ნათელ წარმოდგენას ქმნის აქციონერთა უფლება-მოვალეობების ანალიზი. კანონში „მეწარმეთა შესახებ“ მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ამ მხრივ.

რადგან სააქციო საზოგადოების შექმნის საფუძველია აქციათა გავრცელების შედეგად მიღებული სახსრები, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქციონერთა ვალდებულებათაგან უმთავრესს — გადაიხადონ შესატანი განსაზღვრული აქციის მისაღებად. საერთო წესის მიხედვით შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს. თუ შესატანის შეტანის ვადა პარტნიორმა გადააცილა, მას გააფრთხილებენ დამატებითი ვადის მითითებით — ჩვეულებრივ ეს ერთი თვეა, შემდეგ კი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან.

საერთოდ აქციონერი არ არის ვალდებული გამოაცხადოს თავის მონაწილეობის შესახებ საზოგადოებაში, ან შესატანის ოდენობის (აქციების ღირებულებისა და ოდენობის) შესახებ და ა. შ. ეს კი ანონიმურ ხასიათს აძლევს აქციონერის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში. ამიტომაც, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში სააქციო საზოგადოება ანონიმურ საზოგადოებად იწოდება.

აქციონერის ამ ვალდებულების რეალიზაცია მას ბევრ უფლებას ანიჭებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, დივიდენდის მიღების უფლება. აქციონერის წილი მოგებაში განისაზღვრება აქციის ნომინალური ღირებულების შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შესატანის სიდიდის პროპორციულად. შესატანები, რომლებიც სამეურნეო წლის განმავლობაშია შეტანილი, მონაწილეობს შეტანის დღიდან მოგების სამას სამოცდამეხუთედის პროპორციულად — თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ყოველ აქციონერს უფლება აქვს მოთხოვოს საზოგადოებას წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა ბუბლიკაციის მიღება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, მოითხოვოს ახსნა-განმარტებები საზოგადოების სხვადასხვა ორგანოდან და ა. შ.


აქციონერს უფლება აქვს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. თუ მოთხოვნა წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, მაშინ იგი კრებამდე უნდა შესრულდეს ან განიხილოს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად.

შედარებით გაზრდილი უფლებებით სარგებლობენ საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელი აქციონერები. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედების ან მთლიანად წლიური ბალანსის შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს. თუ ამგვარ მოთხოვნას საერთო კრება არ დააკმაყოფილებს, მაშინ გადაწყვეტილება სპეციალური შემოწმების ჩატარების შესახებ შეიძლება მიიღოს იმ სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც აქვს საზოგადოებას ადგილსამყოფელი. ასევე შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საწესდებო კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელმა აქციონერებმა, მაშინ, როცა რიგგარეშე კრების ჩატარებაზე უარს მიიღებენ დირექტორებისაგან, ე. ი. მოთხოვნიდან 20 დღეში არ მოიწვევენ კრებას.

სააქციო საზოგადოების საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება კრების ან საბჭოს ოქმის შედგენიდან ორი თვის შემდეგ.

აქციონერთა ზემოაღნიშნული უფლებების უმეტესობა საზოგადოების საერთო კრებაზე ხორციელდება. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მფლობელ აქციონერებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, როცა ამისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არსებობს. ლიკვიდაცია მოხდება თუ ამას გადაწყვეტენ ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელები.

აქციონერთა უფლება-მოვალეობებზე განსაზღვრული გავლენა შეიძლება მოახდინოს საზოგადოების რეორგანიზაციის განხორციელებამ, აგრეთვე ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნამ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი შეიძლება იყოს აქციების ღირებულებისა და დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალის დანაწილების საკითხი საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ.



სააქციო საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობის ანალიზისას ძირითადად ფიზიკური და იურიდიული პირები იგულისხმებოდა. ამასთან განსაზღვრული უფლება-მოვალეობები შეიძლება სახელმწიფოსაც გაუჩნდეს. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო შეიძლება გამოვიდეს აქციონერის როლში.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ძირითად ფორმად მიჩნეულია მათი აქციონირება. ასეთ შემთხვევაში ქონების განსაზღვრული ფონდების სახით, სახელმწიფო გვევლინება აქციების პაკეტის ან იმ სააქციო საზოგადოების საწესდებო წილის მფლობელად.

საპრივატიზაციო ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალის შესაბამის აქციათა ერთი ნაწილი, როგორც წესი, შრომით კოლექტივებს გადაეცემათ უფასოდ ან შეღავათებით, მეორე ნაწილი კი სახელმწიფოს განკარგულებაშია, მესამე ნაწილი ვაუჩერების დასაქონლების მიზნით გამოიყენება და დარჩენილი ნაწილი კი შეიძლება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოხვედეს.

აქციათა ასეთ დანაწილებაში მკაცრად დადგენილი წესი არ არსებობს. შეიძლება სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდეს აქციათა საკონტროლო პაკეტი, ე. ი. აქციათა საერთო ოდენობის ნახევარზე მეტი ანდა უფრო ნაკლებიც. სახელმწიფოს კუთვნილი აქციების პაკეტი გადადის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მფლობელობაში, რომელიც მას დელეგირების წესით გადასცემს შესაბამის დარგობრივ უწყებას, უკეთეს შემთხვევაში კი ახლადშექმნილ ჰოლდინგურ ორგანიზაციას. საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა დებულება ჰოლდინგური კომპანიების (ჰოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ. მისი მიხედვით „ჰოლდინგი“ ისეთი სააქციო საზოგადოებაა, რომელიც ფლობს („ჰოლდინგი“ ინგლისურად ფლობას ნიშნავს) სხვა კომპანიებისა და სააქციო საზოგადოებების აქციათა საკონტროლო პაკეტს, რაც ჰოლდინგს აძლევს მათ საქმიანობაზე აქტიური ზემოქმედების საშუალებას. ჰოლდინგი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან კერძო. პირველს აფუძნებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, კერძო ჰოლდინგი კი იქმნება კერძო დამფუძნებლების ინიციატივით. ორივე შემთხვევაში საჭიროა მათი რეგისტრაცია. სახელმწიფო კი აქციონერის როლში ძირითადად გამოდის პირველ შემთხვევაში.




# ქორწინების გარეშე დასაღებულ ბავშვის საპატრულოებში მდგომარეობა

თანამედროვე ეპოქის საოჯახო სამართლის აქტუალურ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. სახელმწიფო მშობლებად აღიარებს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაგანაც ბავშვების წარმოშობა და დასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით ან დადგენილია განსაზღვრული წესით.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების საფუძველია მშობლებისაგან შვილების შთამომავლობით წარმოშობა, რომელიც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (საქ. რესპ. საქორწინო-საოჯახო კოდექსის 49-ე მუხლი). შვილებსა და მშობლებს შორის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დედასა და მამას დაბადების შესახებ ჩანაწერის წიგნში მშობლებად ჩაწერენ ერთ-ერთი მათგანის განცხადებით. მამის მიერ ამ ფაქტის უარყოფას ასეთი ჩანაწერის მიმართ იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია და ხე შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ სასამართლო წესით. რაც შეეხება დაუქორწინებელ მშობელთა შვილის დადგენას, იგი ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით:

შედარებით რთულად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება ბავშვის მამისაგან მისი წარმოშობის დადგენა. თუ ბავშვი დაებადა დედას, რომელიც იმყოფება ქორწინებაში, მაშინ მოქმედებს მამობის პრეზუმფცია პირის მიმართ, რომელთანაც ბავშვის დედა იმყოფება ქორწინებაში. თუ ბავშვის მშობლები არ იმყოფებიან ერთმანეთთან რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ ზემოთხსენებული პრეზუმფციით ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეიძლება. ასეთი ბავშვებისათვის მამობის შესახებ ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული დამატებითი პირობების არსებობისას.

საქ. რესპ. საქორწინო-საოჯ. კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვი, რომელიც დაბადებულია ქორწინების შედეგად, იწერება მამაჩის ორგანოში დედისა და მამის სახელზე ერთ-ერთი მათგანის განცხადებისა და ქორწინების მოწმობის წარდგენის საფუძველზე. ბავშვის დაბადების რეგისტრაცია წარმოებს მამაჩის ორგანოების მიერ ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით ან მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაბადების შესახებ განცხადება კეთდება წერილობით ან ზეპირად, მშობლების (ან ერთ-ერთი მათგანის) მიერ. მათი გარდაცვალების, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით განცხადების გაუკეთებლობის შემთხვევაში, ასეთი განცხადების გაკეთება შეუძლიათ ნათესავებს, მეზობლებს და იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც იმყოფებოდა ბავშვის დედა მშობიარობის პერიოდში. განცხადება ბავშვის დაბადების



შესახებ შეტანილ უნდა იყოს დაბადებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო მკვდარი ბავშვის დაბადების შემთხვევაში კი — არაუგვიანეს სამი დღისა, მისი დაბადების მომენტიდან (საქ. რესპ. საქორწ.-საოჯ. კოდექსის 170-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კეთდება ორი ჩანაწერი: დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ. მშობლებს მიეცემათ მხოლოდ გარდაცვალების შესახებ მოწმობა.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ის შემთხვევა, როდესაც ბავშვი იბადება მამის გარდაცვალების შემდეგ და შეიმუშავა მექანიზმი, რომელიც ასეთ ბავშვებს უნარჩუნებს უფლებას, რათა დაბადების მოწმობაში ის ჩაიწეროს მის მამად; მაგრამ ამისათვის დაცული უნდა იყოს პირობები, რომელიც მითითებულია კანონში, კერძოდ, საქ. რესპ. საქორწ.-საოჯ. კოდექსის 172-ე მუხლში: „თუ ბავშვი იმ პირის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, რომელიც ახალშობილის დედასთან ქორწინებაში იმყოფებოდა, სააქტო ჩანაწერსა და დაბადების მოწმობაში გარდაცვალებული შეიძლება ჩაიწეროს ბავშვის მამად იმ პირობით თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არაუმეტეს ათი თვისა“. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, ბავშვები იბადებიან განქორწინების ან ქორწინების ბათილად აღიარების შემდგომ; ასეთი შემთხვევებისათვის კანონი უშვებს, რომ ბავშვის ჩასახვა მოხდა ქორწინების პერიოდში და ბავშვის მამად უნდა ჩაიწეროს პირი, რომელიც ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის დედასთან, თუ განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არაუმეტეს ათი თვისა (საქ. რესპ. საქორწ.-საოჯ. კოდექსის 173- მუხლი).

1990 წლის 10 ოქტომბერს საქ. რესპ.-ის უზენაესმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება „საქ.-ოს საქორწ.-საოჯ. კოდექსის 52-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“, რომლის საფუძველზეც: „პირს, რომელიც მისი განცხადებით ან ბავშვის დედასთან ერთობლივი განცხადებით ჩაწერილი არის ბავშვის მამად, უფლება არა აქვს სადავოდ გახადოს მამობა, თუ განცხადების შეტანის მომენტში მისთვის ცნობილი იყო, რომ ფაქტობრივად იგი არ არის ამ ბავშვის მამა“. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ამავე მუხლში შეტანილი მეორე ცვლილება, რომელიც შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში ძლიერ აქტუალურ პრობლემას, ხელოვნურ განაყოფიერებას, ეხმიანება და ნაწილობრივ ახდენს მის სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, ნათქვამია, რომ: „ქმარი, რომელიც თანახმაა დონორის მეშვეობით თავისი ცოლის ხელოვნურ განაყოფიერებაზე, იწერება ამ ქალის მიერ დაბადებული ბავშვის მამად და უფლება არა აქვს სადავოდ გახადოს ჩანაწერი (საქ. რესპ. საქორწ.-საოჯ. კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი). უნდა ითქვას, რომ ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული პრობლემები ამ მუხლით არ გადაწყდება, რადგან იგი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი საფუძვლიანად და ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ნიუანსი, რომელიც ამ საკითხს ახლავს თან, გაურკვეველი და ბუნდოვანია. თუმცა, დღეს იურისტები, მედიცინის მუშაკებთან ერთად, ფიქრობენ ამ საკითხებზე და ალბათ, ახლო მომავალში მოხდება მისი თანდათანობით დახვეწა. მამობის შესახებ ჩანაწერი შეიძლება სადაო გახდეს იმ პირის მიერ, ვინც ჩანაწერში მითითებულია ბავშვის მამად, თუმცა იგი უფლებამოსილია სადავოდ გახადოს ბავშვის დედამაც.

მამის ორგანოთა პრაქტიკიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბავშვის დედასა და მშვილებელს შეაქვთ ერთობლივი განცხადება მამობის აღიარების შესახებ. თუ მამის ორგანოსათვის სარწმუნოდ არის ცნობილი, რომ განცხადებელი არ არის ბავშვის მამა, მაშინ მამობის აღიარებაზე მას უარი უნდა




ეთქვას; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უარი არ ართმევს ამ პირს უფლებას მიმართოს სასამართლოს სარჩელით მამობის დადგენის თაობაზე.

გავარკვეით საკითხი, რომელიც წამოიჭრება ქორწინების გარეშე, არასრულწლოვანი პირის მიერ მამობის ნებაყოფლობით აღიარების დროს. ამის თაობაზე იურიდიულ თეორიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არის დავა, თუმცადა პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამის ბევრი განყოფილება არასრულწლოვანი მოქალაქეებისაგან ასეთი სახის განცხადებებს არ ღებულობს. უნდა ითქვას, რომ მათი ასეთი მოქმედება მოკლებული არ არის გარკვეულ საფუძველს. კერძოდ, აქ გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანის ნება ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული და არც ფსიქიკაა სრულყოფილი, რის გამოც იგი იხრება ნაჩქარევი ნაბიჯისაკენ. ქორწინების გარეშე კავშირები ჩვენში მორალურად და ზნეობრივად მიუღებელია, მაგრამ არც აკრძალული არ არის. და თუ ასეთი კავშირები მაინც არსებობს (და არცთუ იშვიათად), რომელსაც შედეგად მოჰყვება ბავშვის დაბადება, ვფიქრობთ, არალოგიკური იქნება ვთქვათ, რომ არასრულწლოვანს შეუძლია იყოს მამა, მაგრამ არ შეუძლია მამობის ნებაყოფლობით აღიარება. მამობის ნებაყოფლობით აღიარება ხომ ისეთი იურიდიული აქტია, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს ქალთან შექმნილი ფაქტობრივი ურთიერთობიდან და ბავშვთან სისხლით ნათესაობიდან. ეს ის ფაქტებია, რომელსაც წარსულში ჰქონდა ადვილი და რომელთა შეცვლა და გამოსწორებაც შეუძლებელია. წარმოიშვა სისხლით ნათესაობა ბავშვსა და მის მშობლებს შორის და მამობის აღიარება „მოწოდებულია“ სწორედ იმისათვის, რომ გაფორმდეს და განმტკიცდეს ეს ურთიერთობანი ერთ-ერთ მათგანთან.

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს ამ საკითხის კიდევ ერთი ნიუანსი — მიეცეს თუ არა უფლება პირს აღიაროს მამობა იმ შემთხვევაში თუ მას სასამართლოს მიერ შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა ნარკოტიკული და სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენების გამო. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ასეთი უფლება არ უნდა მიეცეთ დასახელებული კატეგორიის პირებს. თუმცა, ვ. ა. რიასენცევს და მის თანამოაზრეებს მიაჩნიათ, რომ ასეთი უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია, რადგან პირად არაქონებრივ საოჯახო ურთიერთობის სფეროში ეს უფლება ქმედუნარიანობით შეზღუდული არ არის. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გასაზიარებელია, რადგან ასეთ სიტუაციებში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ რეალური მდგომარეობა პირისა, არამედ მისი ბავშვთან დამოკიდებულების შედეგი. თუ კანონმდებელი ასეთ უფლებას შეუზღუდავს მათ, გამოდის, რომ დაზარალებული რჩება არა მხოლოდ მშობელი, არამედ ბავშვიც. რომელსაც უდაოდ სჭირდება მამის მიერ მისთვის ნებაყოფლობით მინიჭებული მამა-შვილობის სამართლებრივი სტატუსი.

როდესაც საკითხი ეხება მამობის სასამართლო წესით დადგენას, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მამობის ფაქტის დადგენისა და მამობის დადგენის შინაარსი. ისინი ხომ ერთი საკითხის ორი სხვადასხვა მხარეა.

საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის დამტკიცების შესახებ ყოფილი საკავშირო კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის კმაცოფაზეც იმყოფებოდა ბავშვი და რომელიც თავს აღიარებდა აღნიშნული ბავშვის მამად, ამ პირის მიმართ მამობის აღიარების ფაქტი შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით. ამავე კანონის შესაბამისად, არ არის აუცილებელი, რომ კმაცოფაზე ყოფნა იყოს, სრული, ე. ი. ბავშვისათვის სარჩენი საშუალებები იყოს ერთადერთი ან ძირითადი წყარო მისი არსებობისათვის,



იმდენად, რამდენადაც ბავშვის შენახვის ვალდებულება ეკისრება დედასაც, რომელიც თუმცა განსხვავებული აზრი აქვთ კ. ჩერვიაკოვსა და ი.ხლამოვს, რომლებიც ასაბუთებენ რომ მხოლოდ მამის კმაყოფიანე ყოფნა არის საფუძველი მამათ-ცნობის ფაქტის დასადაგენად.

სასამართლოს მიერ მამათცნობის ფაქტის დადგენა ხდება განსაკუთრებუ-ლი წარმოების წესით. ამის თაობაზე, სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა. ხშირად ამ როლში გვევლინებიან ბავ-შვის დედა, მისი მეურვე (მზრუნველი), თვითონ ბავშვი, რომელმაც მიადწია სრულწლოვანების ასაკს და პროკურორი. განცხადება შეიძლება შეიტანონ სხვა დაინტერესებულმა პირებმაც. მამათცნობის ფაქტის დადგენის თაობაზე საქმის აღძვრისას განცხადებაში მითითებული უნდა იყოს თუ რა მიზნით დგინდება ეს ფაქტი (სსკ 150-ე მუხლი). ძირითადად ეს ხდება მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში პენსიის, სამკვიდროს მიღების, ე. ი. ქონებრივი უფლებების გან-ხორციელების მიზნით. ლიტერატურაში მათ კონკრეტულ მიზანსაც უწოდებენ. ამასთანავე, ამ ფაქტის დადგენა შეიძლება ნაკარნახევი იყოს მხოლოდ სურ-ვილით სააქტო წიგნსა და დაბადების მოწმობაში მამის შესახებ ჩანაწერის შე-ტანით. უნდა აღინიშნოს, რომ მამათცნობის ფაქტის დადგენის შინაარსობრივი დატვირთვა ასეთია: თუ ფაქტობრივი მამა ცოცხალი იქნებოდა, ის აუცილებ-ლად გააფორმებდა თავის მამობას ბავშვის დედასთან ერთად ერთობლივი გან-ცხადების შეტანის გზით.

ახლა, რაც შეეხება მამობის დადგენას სასამართლო წესით. საქ. რესპ. სა-ქორწ.საოჯ. კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, მამობის დადგენა იმ ბავშვების მიმართ, რომელთა მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ და არ არსებობს ერთობლივი განცხადება მშობლებისა, მამობა შეიძლება დად-გინდეს სასამართლოს წესით. ეს ნორმა გულისხმობს არა მამათცნობის ფაქ-ტის დადგენას, არამედ თვით მამობის დადგენას. სხვანაირად რომ ვთქვათ; ეს არის სასარჩელო წარმოება აღძრული დადგენილი სარჩელით ან აღიარების სარჩელით და არა განსაკუთრებული წარმოება, სადაც არ არის კამათი უფ-ლებებზე.

მამობის შესახებ სარჩელის წარდგენა ხდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სავარაუდო მამა გვევლინება მოპასუხის როლში, ხოლო მოსარჩელე შეიძლება იყოს როგორც ბავშვის დედა, ისე სხვა დაინტერესებული პირი. რაც შეეხება თვით ბავშვის უფლებას, ის მინიჭებული აქვთ ბავშვებს, რომლებიც დაიბადნენ 1968 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ და მიდწეულნი არიან სრულწლოვანების ასაკს, ე. ი. ასეთი უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 1968 წლის 1 ოქტომბრიდან. მამათცნობის საქმეებზე მოპასუხე შეიძ-ლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც მოსარჩელის განცხადებაში მითითე-ბულია როგორც სავარაუდო მამა ბავშვისა, რომელიც დაბადებულია ქორწინე-ბის გარეშე. თუ სავარაუდო მამა გარდაიცვალა სარჩელის წარდგენის მომენტში ან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, არავის აქვს უფლება იყოს მოპასუხის როლში (არც პაპას, არც ბიძას და სხვ.), ასეთ შემთხვევაში საქ. სამოქ. საპროც. კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, საქმე ექვემდებარება წარმოებით შეწყვე-ტას. იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ვისთვისაც მამობის საკითხი დგინდება სასამართლოში, საქმე განიხილება განსაკუთრებული წარმოების წესით. სავარაუდო მამის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარჩელეს ეძლევა უფლება შეწყვეტილ საქმეზე შეიტანოს განცხადება განსაკუთრებული წესით მამობის დადგენაზე.

მამობის დადგენის დროს სასამართლო მხედველობაში იდებს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც სავსებით ადასტურებენ, რომ მოპასუხე არის ბავშვის

მამა. საქ. რესპუბლიკის საქორწ.-საოჯ. კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, ამ ფაქტის რიცხვს მიეკუთვნება: 1. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე; 2. ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა, ან დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.


აღნიშნული გარემოებების ჩამოთვლა მოწმობს, რომ კანონმდებელი ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის არა ყველა ფაქტს, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის შექმნის მისწრაფებას. ამასთან, მამობის დასადგენად არ არის აუცილებელი აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა. საკმარისია მხოლოდ ერთი ფაქტის დადგენა. სასამართლო დაადგენს მამობას, თუ იგი ფლობს ერთად ცხოვრების მონაცემებს და ბავშვის დაბადებამდე საერთო მეურნეობის წარმოებას. ეს ფაქტები მტკიცდება გარემოებებით, რომელიც დამახასიათებელია ოჯახური ურთიერთობისათვის, კერძოდ, საერთო საცხოვრებელ ფართზე ცხოვრება, ერთობლივი კვება, საერთო ბიუჯეტი, საოჯახო და სხვა საჭირო ნივთების ერთობლივად შექმნა და ა. შ. რამდენადაც კანონი არ თხოულობს, რომ ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება გრძელდებოდეს უშუალოდ ბავშვის დაბადების მომენტამდე, იმდენად მასში (ე. ი. კანონში) არც არის მითითებული ამ ურთიერთობისათვის აუცილებელი ვადა. საკმარისია, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდეს მისი ჩასახვის მომენტისათვის.

მხარეთა ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება შეიძლება დამტკიცდეს როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ისე სხვა მტკიცებულებებით. მოპასუხის მამად აღიარებისათვის მტკიცებულებებს მიეკუთვნება ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომლებიც მოწმობენ, რომ მოპასუხე აღიარებდა ბავშვის მამობას. ასეთი მტკიცებულებების რანგში შეიძლება ფიგურირებდეს ბავშვის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, დაზღვევისა თუ ჩუქების ხელშეკრულება და სხვა. ასეთ მტკიცებულებად არ გამოდგება ბავშვის დედასთან ქორწინების მიზნით მამის ორგანოში განცხადების შეტანა. აღსანიშნავია, რომ ქორწინებაში შესვლა ყოველთვის როდია დაკავშირებული მამათცნობასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა გაითვალისწინა ამ საკითხში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა და მიუთითა, რომ: „თუ მოსარჩელის მიერ მითითებულმა მტკიცებულებებმა ვერ პოვა დადასტურება, სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით გაარკვიოს, ჰქონდა თუ არა ადგილი საქ. რესპ-ის საქორწ.-საოჯ. კოდექსის 51-ე მუხლში ჩამოთვლილ გარემოებებს, ან ერთ-ერთ მათგანს მაინც და მოსარჩელის თანხმობით შეიძლება ეს გარემოება საფუძვლად დაედოს სასამართლოს სარჩელის განხილვას“.

თუ მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესში მტკიცდება სსკ-ის 51-ე მუხლში აღნიშნულ გარემოებათაგან ერთერთი, მაგრამ მოპასუხე არ ცნობს თავს ბავშვის მამად, სასამართლოს აუცილებელ შემთხვევაში, ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხთა ნათელსაყოფად შეუძლია დანიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თუ არცერთი გარემოებათაგანი არ მტკიცდება, სასამართლოს არა აქვს საფუძველი იმისა, რომ დანიშნოს ექსპერტიზა.

მამობის დადგენის საქმეებზე ექსპერტიზას, როგორც მტკიცებულებას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ასეთი კატეგორიის საქმეები თავისი ხასიათით რთულია და სასამართლო სხდომაზე მოითხოვს ღრმა შესწავლასა და ანალიზს. მართალია, ამ საკითხში სასამართლოებმა დააგროვეს გარკვეული გამოცდილება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უსაფუძვლო გადაწყვეტილებანი ასეთი



ექსპერტიზის დასკვნა, როგორც მტკიცებულება არ შეიძლება შეფასდეს საქმეზე კონკრეტული გარემოებებისაგან მოწყვეტით. სასამართლო უფლებამოსილია უარყოფს ექსპერტიზის დასკვნა, თუ ის ეწინააღმდეგება სხვა მტკიცებულებებს. ამასთან, ყოვლად დაუშვებელია მოტივაციის გარეშე ექსპერტიზის დასკვნის უარყოფა. მამობის დადგენის საქმეებზე სასამართლო ნიშნავს სასამართლოსამედიცინო, ბიოლოგიურ, უროლოგიურ, გინეკოლოგიურ და გრაფიკულ ექსპერტიზებს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა მედიცინის განვითარების ბოლო დრომდე არსებული დონის გამო, არ იძლეოდა საშუალებას მოეცა დამაჯერებელი დასკვნა სავარაუდო მამისაგან ბავშვის წარმოშობის შესახებ. სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დროს ყოველთვის მხედველობაში მიიღებოდა ის, რომ ასეთი ექსპერტიზის დასკვნა ეფუძნებოდა მხოლოდ სისხლის ჯგუფობრივ და არა ინდივიდუალურ კუთვნილებას, ე. ი. იგი უფრო მამობის გამორიცხვის და არა მამობის დადგენის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ბიოლოგიის, კერძოდ, გენური ინჟინერიის დიდი პროგრესი, რომელიც რეკომბინანტური დნმ-ით (დნმ— არის დეზოქსირიბონუკლეინის მუჟა, რომელიც ნანახია უჯრედის ბირთვში და მისი შემცველობა ძალზე მუდმივია; ის მონაწილეობს მემკვიდრული ნიშნების გადატანაში, რადგან უზრუნველყოფს ზუსტად ისეთი ცილის სინთეზს, როგორც ახასიათებს დედისეულ უჯრედს) მანიპულირებს, დღის წესრიგში აყენებს მისი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას.

ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა ა. ჯეფრიზის ხელმძღვანელობით, ადამიანის დნმ-ის ერთერთი ფრაქციის, ე. წ. მინი-სატელიტური დნმ-ის გამოკვლევისას აღმოაჩინა, რომ მისი აგებულება სხვადასხვა ადამიანის გენებში განსხვავებულია. მინისატელიტური დნმ-ის ამ თვისებამ ავტორებს საშუალება მისცა, რათა დაემუშაებინათ პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის პრინციპულად ახალი მეთოდი, რომელსაც მეცნიერები ე. წ. გენური დაქტილოსკოპიის მეთოდს უწოდებენ. ამ მეთოდის უბირატესობა ისაა, რომ ბევრ შემთხვევაში ეს მეთოდი წარმოადგენს ანალიზის ერთ-ერთ და უტყუარ საშუალებას<sup>2</sup>, მაგრამ ასეთი კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარებას, როგორც მეცნიერები ამბობენ, ესაჭიროება დიდი დრო, ამასთან, იგი ძვირადღირებული პროცესია. ცხადია, თუნდაც ამ ორი პირობის გამო სასამართლოები მამობის დადგენის საქმეებზე ვერ ისარგებლებენ ასეთი ექსპერტიზებით; ჯერ ერთი, აღნიშნული ვადების გამო, და მეორე — მოსარჩელეთა და მოპასუხეთა დიდ უმრავლესობას არა აქვთ ასეთი ძვირადღირებული პროცესებისათვის ხარჯების ანაზღაურების საშუალება.

და რაც მთავარია, ეს ყველაფერი გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფისათვის და თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი სახის ექსპერტიზები ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის დანერგილი, სასამართლოები კვლავ მიმართავენ დღემდე არსებულ და პრაქტიკაში უკვე აპრობირებულ წესს მამობის დადგენის თაობაზე, კერძოდ, სისხლის ჯგუფობრივი კუთვნილების მეშვეობით მამობის ფაქტის გამორიცხვის გზით.


და ბოლოს, ვის აქვს უფლება მამათცნობის საქმეებზე დანიშნოს ექსპერტიზა? იგი შეიძლება დანიშნოს როგორც მხარეთა, ისე მესამე პირთა და პროკურორის შუამდგომლობით, აგრეთვე თვით სასამართლოს ინიციატივით — საქმის არსებით განხილვამდე, სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

<sup>2</sup> ა. რისკოვი, გენური დაქტილოსკოპია, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1989, № 8.

რაც შეეხება სარჩელზე უარის თქმას და მხარეთა შორის მშვიდობიან  
რიგებს, სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების 24-ე მუხლი ავალდ-  
ბულებს სასამართლოებს, რათა მიიღონ უარი სარჩელზე და დაამტკიცონ მხ-  
რეთა შორის მშვიდობიანი შერიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით არ  
ირღვევა ვინმეს ინტერესები (პირველ რიგში, ბავშვის ინტერესები).

იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე სასამართლო სხდომაზე გამოთქვამ  
თანხმობას მამობის აღიარების თაობაზე შეიტანოს განცხადება მმჩის ორგანო  
ში და გადაიხადოს აღიმენტი, სასამართლოს აქვს უფლება გადადოს საქმის  
განხილვა განსაზღვრული ვადით.

მამობის დადგენის შესახებ ჩანაწერის საფუძველზე გაცემული დაბადების  
მოწმობის წარდგენისას, საქმის წარმოება ექვემდებარება შეწყვეტას სამოქა-  
ლაქო სამართალწარმოების საფუძვლების 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, თუმც  
სასამართლოს უფლება აქვს მოსარჩელის მოთხოვნით გადაწყვიტოს დავა აღი-  
მენტის დაკისრების თაობაზე.



# თანამონაწილეობის სახეობად კლასიფიკაციის ისტორიისათვის

დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო აზრით, ანუ როგორც იტყვიან, რთული თანამონაწილეობა გულისხმობს როლების განაწილებას ცალკეულ მონაწილეთა შორის (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე). თანამონაწილე, იქნება ის ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ დამხმარე, დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თვითონ არ ასრულებს. შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო დანარჩენები მონაწილეობენ ამსრულებლის მოქმედებაში.

მოკლედ გადავხედოთ დასავლეთის ქვეყნების სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობის ისტორიას, სადაც იყო ცდები თანამონაწილეთა ცალკეულ სახეობად კლასიფიკაციისა. შედარების გაკეთებისათვის თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ევროპული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა, თანამონაწილეთა ცალკეულ სახეობად კლასიფიკაციისას მთავარ დამნაშავესთან (ამსრულებელთან) ერთად გამოყოფს წამქეზებელს და დამხმარეს. ჩვენი სისხლის სამართალი კი წამქეზებელსა და დამხმარესთან ერთად მოიხსენიებს ორგანიზატორსაც.

დღეს მოქმედ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ: „დანაშაულის თანამონაწილეობად, ამსრულებელთან ერთად ჩაითვლება ორგანიზატორები, წამქეზებლები და დამხმარენი“. ამ მუხლის თანახმად ორგანიზატორად ჩაითვლება პირი, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას.

ამდენად, საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რა საფუძველზე ხდებოდა თანამონაწილეთა სახეობად გამიჯვნა და რატომ არ იდგა ადრე ორგანიზატორის სხვა თანამონაწილეთაგან ცალკე სახედ გამოყოფის საკითხი.

XVII საუკუნის მეცნიერთა შრომებში მთავარ დამნაშავედ ითვლებოდა ის, ვინც იყო უშუალო მიზეზი დანაშაულისა, ე. ი. ვისი ხელითაც ან მოქმედებითაც იყო ჩადენილი დანაშაული. ეს დაყოფა ობიექტური ხასიათისა იყო და ეფუძნებოდა იმ დროისათვის გაბატონებულ მიზეზობრივი კავშირის თეორიას<sup>1</sup>.

ობიექტური თეორია, რომელიც თანამონაწილეობის დაყოფისათვის იყო გამოყენებული, სუბიექტურ თეორიაზე უფრო ძველი წარმოშობისაა და ძირითადად სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის შემქმნელის ა. ფოიერბახის სახელთან არის დაკავშირებული.

ა. ფოიერბახი, რომელიც სამართლიანად ითვლება თანამონაწილეობის მოძღვრების პირველ სისტემატიზატორად, მთავარ დამნაშავედ თვლის პირს, რომლის ნებასა და მოქმედებაში გამოიხატება საკმარისი (და არა ერთადერთი) მიზეზი, რომელიც იწვევს შედეგის სახით დანაშაულს. ის განასხვავებდა მთავარ დამნაშავეთა სამ კატეგორიას; ფიზიკური დამნაშავე, რომლის მოქმედება უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან, რადგან მან თვითონ ფიზიკურად ჩაიდინა დანაშაული; წამქეზებელი, რომელიც შუალობით

1 Таганцев Н. С., Курс русского уголовного права, ч. общая, 1880, стр. 53.

მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და მთავარი დამხმარე, ესეც შუალობით მიზეზობრივ კავშირში მყოფი დანაშაულთან. ამ უკანასკნელმა წინასწარი განზრახვით მოახდინა დაბრკოლებათა თავიდან აცილება, რომლის გარეშე ან საერთოდ შეუძლებელია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა ანდა შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით<sup>2</sup>.

თანამონაწილეობის ფორმებისეული თეორია, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში ფორმალურ-ობიექტურ თეორიას უწოდებენ, შემდგომში, მიზეზობრივი კავშირის სხვაგვარი გაგების კვალობაზე, დაწუნებული და უარყოფილი იქნა. მაგრამ მან კვლავ პოვა მხარდაჭერა ე. წ. ამსრულებლის რესტრიქციული თეორიის განვითარებისას, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის შემადგენლობასთან. ფორმალურ-ობიექტური თეორია თანამონაწილეთა განმასხვავებელ ნიშანს ეძებს თვით სისხლის სამართლის კანონში. უფრო ზუსტად, კანონის დისპოზიციით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სფეროში. ამ თეორიის წარმომადგენლები არიან ე. ბელინგი, მ. ე. მაიერი, ჰაპელი და მეცგერი.

ე. ბელინგი თანამონაწილეთა გამიჯვნას ახდენს დანაშაულის შემადგენლობის ცნების საფუძველზე. იგი ასხვავებს ვიწრო და ფართო შემადგენლობის ცნებას. ვიწრო შემადგენლობაში შედის მხოლოდ ამსრულებლის მოქმედება. ამსრულებლად ითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ბირთვის ეკუთვნის და ნიშნავს „მკვლელობას“, „გატაცებას“ და ა. შ. ვინც ისეთ შემადგენლობას ასრულებს, რომელიც ცნობილია ვიწრო შემადგენლობის სახელით, ე. ი. შემადგენლობის ბირთვის ეკუთვნის — ამსრულებელია. დამხმარე კი, ასრულებს ვიწრო შემადგენლობის გარეთ არსებულ მოქმედებას. მაგალითად, „მსხვერპლის დაჭერა იმ დროს, როდესაც მკვლელობა ხდება“, „საღარაჯოზე დგომა ქურდობის დროს“, ე. ი. ასრულებს მოსამზადებელ მოქმედებას ან თანამოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს საადრულეობ მოქმედებას<sup>3</sup>.


მეცგერის აზრით, ამსრულებლად ითვლება ის, ვინც თავისი მოქმედებით დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს, ხოლო დამხმარედ — ის, ვინც მხოლოდ ხელს უწყობს ამსრულებელს მთავარი მოქმედების ჩადენაში.

იმისათვის, რომ გავაკეთოთ შედარება ობიექტური თეორიის მიხედვით განხილულ თანამონაწილეთა სახეებისა (ამსრულებელი, დამხმარე, წამქეზებელი) ორგანიზატორთან, მოვიშველიოთ ორგანიზატორის საფუძვლებისეული განმარტება, რომ: „ორგანიზატორად ჩაითვლება პირი, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს იმის ჩადენას“. განმარტებიდან ჩანს, რომ ორგანიზატორის საქმიანობა შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს. ორგანიზატორმა, უწინარესად, შეიძლება შექმნას დანაშაულებრივი ჯგუფი; იგი შეიძლება ხელმძღვანელობდეს უკვე შექმნილ დანაშაულებრივ ჯგუფს; მან შეიძლება მოამზადოს დანაშაული ან ხელმძღვანელობდეს დანაშაულის ჩადენას მისი აღსრულების მომენტში.

ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც წინასწარ მოსამზადებელ სტადიაში, ისე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პროცესში. იგი შეიძლება ასრულებდეს ისეთ მოქმედებასაც, რაც წამქეზებლობისა და დამხმარების სფეროს მიეკუთვნება, და ისეთსაც, რომელიც დანაშაულის ამსრულებლის საქმიანობის სფეროში შედის. მაგრამ მთავარი და ვადამწყვეტი ორგანიზატორისათვის არის ის, რომ იგი დანაშაულის ხელმძღვანელია, ე. ი. აერთიანებს სხვა მონაწილეთა ძალ-ღონეს და წარმართავს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას.

<sup>2</sup> Фейербах А., Уголовное право, С.-Петербург, 1810, стр. 42—48.

<sup>3</sup> Beling Die Lehre vom Vorberechen Tubigen, 1906, s. 397.



ფოთერბახისეული თეორიიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ორგანიზატორის ცნება თავსდება წამქეზებლის ან მთავარი დამხმარის ცნებაში, რადგან წამქეზებლისა და მთავარი მონაწილის მოქმედების დამახასიათებელი ნიშნები შუალობით მიზეზობრივ კავშირში ყოფნა დანაშაულებრივ შედეგთან.

ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით, კი ორგანიზატორი დამხმარის ფიგურას უთანაბრდება. დამხმარის მსგავსად, არც ორგანიზატორი ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნაწილს. იგი ასრულებს ვიწრო შემადგენლობის გარეთ არსებულ მოქმედებას, ხელს უწყობს ამსრულებელს მთავარი მოქმედების ჩადენაში იმით, რომ ადგენს დანაშაულის ჩადენის გეგმას, განუმტკიცებს ამსრულებელს დანაშაულებრივ განზრახვას, გამოდის დანაშაულის ინიციატორის როლში და ა. შ.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ სუბიექტური თეორიები, რომლებიც ვერ ახერხებენ თანამონაწილეობისას ობიექტურ სფეროზე დაყრდნობით კლასიფიკაციას. თანამონაწილეთა სახეების განმასხვავებელ ნიშანს ეძებენ თანამონაწილეთა ფსიქიკურ დამოკიდებულებაში დანაშაულებრივ შედეგთან. სუბიექტური თეორიის შემქმნელი ბური იყო. მისი აზრით, პირობათა თანასწორფასოვნების თეორიის მიხედვით, ყველა პირობა აუცილებელია შედეგისათვის, ე. ი. აქედან გამოდის დასკვნა, როგორც პირობათა თანასწორფასოვნების შესახებ, ისე მათი იურიდიული თანასწორმნიშვნელობის შესახებ, თუ დანაშაულებრივი შედეგის წარმოშობისას პირობათა შორის შეუძლებელია რაიმე ობიექტური განსხვავების გატარება, მაშინ მიზეზობრივ კავშირს არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს თანამონაწილეთა ცალკეული სახეების გამიჯვნისათვის. ამ დებულების მიხედვით, თუ ყველა აუცილებელი პირობა აბსოლუტურად თანასწორფასოვანია, მაშინ ცალკეული სახის თანამონაწილენი არ შეიძლება გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ობიექტური ნიშნის საფუძველზე<sup>4</sup>. სუბიექტური თეორიის მომხრეები განსხვავებას ფსიქოლოგიური ასპექტით ახდენენ. ბურის აზრით, „ამსრულებელია, ის, ვინც მოქმედებს დანაშაულებრივი შედეგის წარმოსაშობად დამოუკიდებელი ნებით; ხოლო დამხმარის საქმიანობა გამოწვეულია ამსრულებლის ნებისადმი დამორჩილებული ნებით“<sup>5</sup>.

სუბიექტური თეორიის მიმდევარი ი. ბაუმანი საკუთარი ინტერესის მაგივრად ხმარობს გამოთქმას „სურდა ქმედობა, როგორც საკუთარი“. მისი აზრით, „ამსრულებელია ის, ვისაც სურს დანაშაული, როგორც საკუთარი, ვისი ნებაც მიმართულია იმაზე, რომ იყოს ქმედობის ავტორი, განსაზღვროს ქმედობის შესრულება და უხელმძღვანელოს მას“<sup>6</sup>.

თუ ფორმალურ-ობიექტური თეორიის განხილვის დროს უფრო რთული იყო ორგანიზატორის ცნების მოთავსება წამქეზებლის და დამხმარის ცნებაში და ეს უფრო მეტ გაუგებრობას იწვევდა, სუბიექტური თეორიის მიხედვით, ორგანიზატორის ცნება სავსებით ჯდება ამსრულებლის (მთავარი დამნაშავის) ცნებაში, რადგან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ორგანიზატორის საქმიანობის დამახასიათებელია დამოუკიდებელი ნება, საკუთარი ინტერესი დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა, დანაშაულის ხელმძღვანელობა, მისი ნება შედეგის დადგომისა, თუნდაც მისი მოქმედება ამოიწურებოდეს მხოლოდ გეგმის შედგენით, მითითებების მიცემით, ამსრულებელში დანაშაულებრივი რწმენის განმტკიცებით და ა. შ.

<sup>4</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, 1965, გვ. 92.

<sup>5</sup> Buri M., Zur Lehre vonder Tei Inahmeam Verbrechen und Begünstigung, 1860, s. 3.

<sup>6</sup> I. Baumann, Strafrecht, Allgemeiner Teil Bielefeld, 1961, s. 429.



ასევე იოლია, ბოლო დროს გავრცელებული მატერიალურ-ობიექტური თეორიის საფუძველზე გაკეთებული გამიჯვნით, ამსრულებლის (მთავარი დამნაშავეს) ცნებაში მოვაქციოთ ორგანიზატორი. მაგრამ ჯერ ძალიან მოკლედ შევხვებით ამ თეორიის საფუძველს — ველცელის მიერ ჩამოყალიბებულ ფინალურ შეხედულებას მოქმედებაზე. მოქმედების ფინალურობა, ე. ი. მიზნობრიობა იმას ემყარება, რომ ადამიანმა თავისი მოქმედების შესაძლებელ შედეგთა კაუზალური ცოდნის საფუძველზე, განსაზღვრული მიცულობით, შეიძლება გაითვალისწინოს თავისი მოქმედების შესაძლებელი შედეგები, დასახოს სხვადასხვა მიზნები და გვემანომიერად წარმართოს თავისი საქმიანობა ამ მიზნების მისაღწევად. თავისი კაუზალური გათვალისწინების საფუძველზე, პიროვნებას შეუძლია ისე წარმართოს თავისი საქმიანობის ცალკეული აქტები, რომ გარეგანი ხდომილება დასახულ მიზანს დაუმორჩილოს. „ფინალური საქმიანობა მიზნისაკენ შეგნებულად წარმართული მოქმედებაა, მაშინ, როდესაც წმინდა კაუზალური ხდომილება არის არა მიზნისაკენ მიმართული, არამედ შემთხვევითი შედეგი რაიმე მიზეზობრივი კომპონენტებისა, ამიტომ ფინალურობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, „თვალზილულია“, ხოლო კაუზალობა — „ბრმაა“<sup>7</sup>.

აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობისას ამსრულებლის ცნება აგებული უნდა იქნეს ფინალური მოქმედების, ე. ი. ადამიანის ნებით წარმართული და განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი, წინასწარ განჭვრეტილი ქმედების საფუძველზე. ამიტომ ამსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობა შეასრულა, არამედ ისიც, ვინც „გარეგნულად მხოლოდ წმინდა ფსიქიკურ აქტს დასჯერდა (შეგულიანება) და ისიც, ვინც გარეგნულად მოსამზადებელი ან დამხმარე აქტი ჩაიდინა.

ველცელის აზრით, „ამსრულებელია მთავარი, გენერალური ბრალეული ქმედობის ბატონ-პატრონი. ის მიზანდასახულად ახორციელებს დანაშაულს საკუთარი ნებელობითი გადაწყვეტილების საფუძველზე“<sup>8</sup>.

მატერიალურ-ობიექტური თეორია, რომელიც ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ცდილობს შეათანხმოს ობიექტური და სუბიექტური თეორიები ერთმანეთთან, ორგანიზატორის ცნებას მოიცავს ამსრულებლის საკმაოდ ფართოდ გაგებულ ცნებაში. რამდენადაც ორგანიზატორის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახის მოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია: დანაშაულის ორგანიზაციის გაკეთება, დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის ხელმძღვანელობა, სხვა თანამონაწილეთა შეგულიანება დანაშაულებრივი საქმიანობისაკენ, დახმარება და ა. შ.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ და შემდგომი პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანამონაწილეთა კლასიფიკაცია ხდებოდა ზემოთ მითითებული თეორიებით. თუმცა ხარისხი თანამონაწილეთა სახეების დიფერენციაციისას ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში სხვადასხვა იყო.


ბავარიის 1813 წლის ძველისდება მთლიანად ფოიერბახის შეხედულებას იზიარებს და მთავარ დამნაშავედ ცნობს მას, ვინც იყო პირდაპირი (უშუალო ან არა უშუალო) მიზეზი დანაშაულისა, ხოლო დამხმარედ — მას, ვინც იყო დანაშაულის დამატებითი მიზეზი<sup>9</sup>.

პრუსიის 1851 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც გერმანიაში

<sup>7</sup> H. Welzel. Das Bild des Strafrechte system. Eine Einführung in die finale Handlungslehre Gottingen, 1957, s. 3.

<sup>8</sup> იხ. ველცელის დასახელებული ნაშრომი. გვ. 25.

<sup>9</sup> Кени К., Основы уголовного права, М., 1949, стр. 123—125.



გადაიტანა ფრანგული სისტემა, არჩევდა დამნაშავეებს და დამხმარეებს და მათ ერთნაირი სასჯელის ზომას უყენებდა<sup>10</sup>.

თანამონაწილეთა შედარებით გამარტივებული სახეები მოცემული იყო გერმანულ ძეგლისდებამი. ის არჩევდა დანაშაულის ჩამდენს, რომელსაც მიეკუთვნება ყველა პირი, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. წამქეზებელს, რომელმაც განზრახ შეაგულიანა სხვა პირი დანაშაულის ჩადენაში. ამასთანავე, დანაშაულის ჩამდენი და წამქეზებელი ისჯება ერთნაირად, დამხმარე კი, რომელიც განზრახ ეხმარება დამნაშავეს დანაშაულებრივ საქმიანობაში, ისჯება უფრო მსუბუქად.

გერმანული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის მეტად ემხრობოდა თანამონაწილეთა გამიჯვნისას სუბიექტურ თეორიას. სუბიექტური თეორიები დღესაც ფართოდაა გავრცელებული გერმანიასა და შვეიცარიაში. მაგალითად, გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (1975 წლის 2 იანვრის რედაქციით და 1986 წლის ცვლილებებით) გამოჰყოფს თანამონაწილეთა შემდეგ სახეებს: ამსრულებელი, წამქეზებელი და დამხმარე. ამსრულებელია პირი, ვინც ჩაიდენს სისხლის სამართლებრივ დასჯად ქმედებას თვითონ ან სხვა პირის მეშვეობით. წამქეზებელია პირი, ვინც განზრახ დაიყოლია, დაითანხმა სხვა განზრახი, სამართალსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად (წამქეზებელი და ამსრულებელი თანაბრად ისჯება).

დამხმარე პირი ისჯება მაშინ, თუ ის განზრახ ეხმარება სხვას, განზრახ სამართალსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში<sup>11</sup>.

ასევე საინტერესოა საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანამონაწილეთა სახეებად გამიჯვნის ისტორია.

საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ყველა დანაშაულში განირჩეოდა თანამონაწილეთა ორი მთავარი ტიპი — დამნაშავენი, რომლებიც ფიზიკურად ასრულებდნენ ქმედობას ანდა პირდაპირ ხელს უწყობდნენ მის შესრულებას და მონაწილენი. ამ კატეგორიაში შედიან ინტელექტუალური მონაწილეება, ე. ი. წამქეზებლები და რჩევა-დარიგების მიმცემნი. ფიზიკური დამხმარენი, ე. ი. ის პირები, რომლებმაც მიაწოდეს ამსრულებელს იარაღი დანაშაულის ჩასადენად ან დაეხმარნენ დანაშაულის ამსრულებელს ისეთი მოქმედებით, რომელიც ამზადებს ან ახორციელებს დანაშაულს.

თანამედროვე საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი (მუხლები 59-ე და მე-60) განიხილავს დანაშაულის ან გადაცდომის დროს, ამსრულებელთან ერთად, თანამონაწილეთა ორ სახეს — წამქეზებელს და დამხმარეს და მათი პასუხისმგებლობის საკითხს ამსრულებლის პასუხისმგებლობის თანაბრად წყვეტს.

ამსრულებლისაგან თანამონაწილეთა გამიჯვნის გასაკეთებლად რ. მერელი და ა. ვიციუ წერენ: „თანამონაწილე — ეს არის პირი, რომელიც პირადად არ ასრულებს არცერთ ელემენტს ამსრულებელზე შერაცხული ქმედებისას, არამედ პროვოცირებას უკეთებს ან უადვილებს ამსრულებელს მოქმედებას ისეთი ქცევით, რომელსაც მატერიალური გაგებით, აქვს მეორეხარისხოვანი, დამატებითი მნიშვნელობა: დახმარება ანდა საშუალებების გამონახვა, წამქეზებლობა და ა. შ.<sup>12</sup>“

იაპონიის 1907 წლის სისხლის სამართლის კოდექსი განასხვავებს თანამონაწილეთა შემდეგ ტიპებს: თანამსრულებლები — ორი ან მეტი პირი, რომლებ-

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> «Уголовное право буржуазных стран», общая часть, М., 1990, стр. 224.

<sup>12</sup> Преступление и наказание в Англии, США, Франции, ФРГ, Японии, общая часть, 1991, стр. 106.

მაც ერთდროულად ჩაიდინეს დანაშაული, წამქეზებელი — ის, ვინც წამქეზების გზით, აღძრავს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად, იგი უთანაბრდება ამსრულებელს. აგრეთვე, ის პირები, ვინც თავად წამქეზებელს აქეზებენ, ე. ი. წამქეზებლის წამქეზებლები და დამხმარე, რომელიც აღმოუჩენს დახმარებას ამსრულებელს. დამხმარის წამქეზებელიც გათანაბრებულია თვით დამხარესთან<sup>13</sup>.

როგორც საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მოკლე დახასიათებიდან ჩანს, არც იგი გამოჰყოფს თანამონაწილეებს შორის ცალკე სახედ ორგანიზატორს, რადგან კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, საზღვარგარეთის ქვეყნებში, ძირითადად ეყრდნობოდა ჩვენ მიერ განხილულ ობიექტურ, სუბიექტურ და შერეულ თეორიებს. იმ ქვეყნებში, სადაც კოდექსები ნიღბულ იქნა XIX საუკუნის დამლევა და XX საუკუნის დამდგეს, განსხვავება თანამონაწილეთა სახეებს შორის კეთდებოდა ძირითადად ობიექტურ ნიშნებზე დაყრდნობით. გერმანული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის მეტად ემხრობოდა თანამონაწილეთა გამიჯვნისას სუბიექტურ თეორიებს. ეს თეორია დღესაც ფართოდაა გავრცელებული გერმანიასა და შვეიცარიაში. თუმცა ისიც საყურადღებოა, რომ დასავლეთ გერმანიაში საკმაოდ პოპულარულია ფინალური მოქმედების თეორია, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეთა შორის განსხვავებისას ავითარებს შერეულ კონცეფციას, მნიშვნელოვანი გადახრით სუბიექტური თეორიის სასარგებლოდ.

საინტერესოა ამ მხრივ ძველი რუსული სისხლის სამართლის თეორია და კანონმდებლობა. რუსულ რევოლუციამდელ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ძირითადად ბატონობდა თანამონაწილეობის ობიექტური თეორია. მრავალ ავტორს თანამონაწილეთა ცალკეული სახის გამიჯვნის საფუძვლად სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის მიმართულების შესაბამისად შემოქმონდა ობიექტური ნიშანი — პირის დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათი, დანაშაულში მისი მონაწილეობის როლი (ნ. ტაგანცევი, ბუდზინსკი), იყვნენ შერეული თეორიის წარმომადგენლები (ჟირიაევი, სპასოვიჩი), მაგრამ ამ თეორიებს ფართო გავრცელება არ ჰქონიათ.

ობიექტური თეორიის მიმდევარი ნ. ტაგანცევი გვაძლევს დასავლეთის ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიაში მოცემულ თანამონაწილეთა ცალკეული სახეების თეორიულ ანალიზს და თანამონაწილეთა სამ სახეს აყალიბებს:

1. ფიზიკური ამსრულებელი, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებს დანაშაულის ჩადენაში; 2. დამხმარე, ე. ი. ვინც სიტყვით ან საქმით ეხმარება ამსრულებელს; 3. წამქეზებელი, რომელიც ითრევს სხვებს დანაშაულებრივ დაჯგუფებაში<sup>14</sup>.

გ. კოლოკოლოვი საერთოდ ვერ ხედავს პრინციპულ საფუძველს დანაშაულში თანამონაწილეთა სახეებად გამიჯვნისათვის და მხოლოდ თანამონაწილეობის მოძღვრების სრულყოფილად შესწავლისათვის ემხრობა მათ გამიჯვნას თითოეულის მოქმედების გარეგნული როლის მიხედვით<sup>15</sup>.


ა. გერცენოზი თანამონაწილეთა სამ სახეს გამოჰყოფდა და წერდა: იმ ქმედობისათვის, რომელიც ჩადენილია ერთობლივად პირთა ჯგუფის მიერ, ისჯებიან როგორც ამსრულებელი, ისე წამქეზებლები და დამხმარეები.

რაც შეეხება ძველ რუსულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, კანონთა წიგნები ეყრდნობოდნენ რომელიმე ზემოთ დასახელებულ თეორიას. მაგალითად, 1842 წლის კანონთა კრებული გამოჰყოფდა თანამონაწილეთა შემდეგ კატე-

<sup>13</sup> იქვე. გვ. 150.

<sup>14</sup> ტაგანცევის დს. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>15</sup> Колоколов Г., О соучастии в преступлении, 1881, стр. 124.



გორიებს: თანამონაწილენი: (თანამზრახველნი), რომლებმაც ერთად მოიყვანეს დანაშაული სისრულეში. მოთავეები, ვინც მოქმედებდა სხვებთან ერთად, მაგრამ მათზე ადრე განიზრახა დანაშაულებრივი ქმედობა და დაითანხმა სხვები ან (წერილობით) პირველმა აჩვენა დანაშაულის ჩადენის მაგალითი. შემდეგ მოდის დამხმარე — ვინც სიტყვით ან წერილობით დაეხმარა, ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას; დამფარავები, ვინც ფარავს დამნაშავეს ან ბრალი მიუძღვის მის გაქცევაში.


ძველ რუსულ კანონმდებლობაში თანამონაწილეთა სახეებად დაყოფა ხდებოდა აგრეთვე თანამონაწილეთა ფორმების განხილვის დროს, წინასწარი შეთანხმების დროს თანამონაწილეობისას არჩევენ: ა) ფიზიკურ მოთავეებს, რომლებიც თავის მოქმედებას ავლენდნენ დანაშაულის ჩადენის დროს, უფრო ზუსტად, მართავენ სხვის მოქმედებას დანაშაულის ჩადენისას; ბ) ინტელექტუალური მოთავეები, რომლებმაც განიზრახეს დანაშაული და ამაზე სხვები დაითანხმეს<sup>16</sup>.

წინასწარი შეთანხმების გარეშე თანამონაწილეობისას არჩევენ მთავარ დამნაშავეებს და მონაწილეებს. მთავარ დამნაშავედ ითვლებოდნენ ისინი: ა) ვინც განაგებდა ან მართავდა სხვის ქმედებას იმის გათვალისწინებით, რომ მათი ხელმძღვანელი როლი გამოიკვეთა თვით დანაშაულებრივი ქმედების დაწყების მომენტში. ასეთი პირები რჩებიან მთავარ დამნაშავეებად, თუნდაც მათ უშუალოდ არ ჩაედინათ დანაშაული, ბ) ვინც შეუდგა მოქმედებას სხვებზე ადრე, ე. ი. დანაშაულის დაწყებამდე. კანონის მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს იმას, განისაზღვრა შემდეგ ამ პირების მოქმედება მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლით, თუ ისინი მონაწილეობდნენ უშუალოდ დანაშაულის ჩადენაში; გ) ყველა პირი, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა, არა მარტო მთავარი აქტით, არამედ ისინიც, ვინც მიიღო მონაწილეობა დანაშაულში.<sup>17</sup>

1985 წლის დებულება სასჯელთა შესახებ გამოჰყოფს თანამონაწილეობის დროს წინასწარი შეთანხმების გარეშე მთავარ დამნაშავეებს და მონაწილეებს, ხოლო წინასწარი შეთანხმების დროს — მოთავეებს, თანამონაწილეებს, შემგუღიანებელს და დამხმარეს.

როგორც ვნახეთ, არც ძველი რუსული სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა იძლევა რაიმე მნიშვნელოვანს ორგანიზატორის, როგორც თანამონაწილეთა შორის ცალკე სახედ გამოყოფასათვის. აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზატორი თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებისა და შემდეგ კანონმდებლობის მიერ დამკვიდრებული სახეა ჩვენს თანამონაწილეობის მოძღვრებაში.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 104-106.  
<sup>17</sup> იქვე, გვ. 106.



ავთანდილ კახნიავილი


## სამართლებრივი პრეჟუფიციები და „უდანაშაულობის პრეჟუფიცი“

დავიცვათ ლოგიკური აზროვნების წესი

სამართლის მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვიდრებულ დებულებებსა და ნორმატიულ აქტებში მოყვანილ ფორმულირებათა სიცხადესა და ლოგიკურობას, რაც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამორიცხავს მათ უზუსტო გაგებასა და შესაბამისად არასწორად გამოყენებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ჟურნალ „სამართლის“ 1993 წლის მე-5-6 ნომერში გამოქვეყნებული ჩვენი სტატია: „პრეჟუფიცი: უდანაშაულობის თუ არაბრალეულობის?“ რომელშიც შევეცადეთ გარკვეული სიცხადე შეგვეტანა „უდანაშაულობის პრეჟუფიციის“ პრინციპის დასახელებისა და არსის დაზუსტებაში.

დასმული საკითხის აქტუალობა დადასტურდა ჩვენს პუბლიკაციაზე გ. ნაჭყებიას გამოხმაურებით: „დავიცვათ იურიდიული აზროვნების წესი“ (ჟურნ. „სამართალი“, 1993, № 12), რომელშიც ავტორი არ ეთანხმება საკითხის ამდაგვარ გადაწყვეტას და მსჯელობას კვლავ ჩვენს მიერ გაკრიტიკებულ თვალსაზრისზე აგებს, კერძოდ, მიაჩნია, რომ უდანაშაულობის პრეჟუფიციის პრინციპი მხოლოდ ბრალეულობის საკითხს განსაზღვრავს და მას „არაბრალეულობის პრეჟუფიციას“ უწოდებს, ამასთან, მიაჩნია ის სამართლის ყველა დარგში (სადაც მტკიცების ტვირთი სამართალდამრღვევს არ ეკისრება) მოქმედ სამართლებრივ პრეჟუფიციად. (გვ. 46).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაშრომში გარკვეულ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული იყო გ. ნაჭყებიასაგან დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია, რომ უდანაშაულობის პრეჟუფიცია არ წარმოადგენს წმინდა სამართლებრივ პრეჟუფიციას, რომ ის მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი პრინციპია და მხოლოდ „არაბრალეულობის“ საკითხს კი არა, არამედ „უდანაშაულობის ჩადენაში არაბრალეულობის“ ანუ „უდანაშაულობის“ საკითხს განსაზღვრავს, ხოლო საერთოდ სამართლის დარგებში გამოიყენება როგორც ბრალეულობის, ასევე არაბრალეულობის სამართლებრივი პრეჟუფიციები, მან თავის გამოხმაურებაში მიუღებლად მიიჩნია რა ჩვენი შეხედულებები მთლიანობაში, შეგნებულად თუ თავისდაუნებურად, გვერდი აუარა ზემოაღნიშნულ (ჩვენი აზრით, საკვანძო) საკითხებზე პოლემიკას, საჭიროდ არ ჩათვალა ჩვენი ძირითადი არგუმენტების უარყოფის დასაბუთება და მსჯელობისას აქცენტები სხვა ისეთ საკითხებზე გადაიტანა, რომლებიც რიგ შემთხვევებში არც საკამათოდ გაგვიჩნდია და არც ჩვენი სტატიიდან უნდა გამომდინარეობდნენ.



სამწუხაროდ; გ. ნაჭყებია ადრეგამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომში მოყვანილი არგუმენტების გაუთვალისწინებლად, თავისებური „იურიდიული აზროვნების წესების“ დაცვით, ჩვენი პოზიციის ამოსავალი დებულებების გაუანალიზებლად მიიჩნევს განსახილველ პრინციპს სამართლებრივ პრეზუმფციად და რომ „საკამოდ ბევრი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ იურიდიულ ლიტერატურაში უნდა დამკვიდრდეს ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, რომელიც იურიდიული აზროვნების წესითაა პირობადებული“ (გვ. 46).

გ. ნაჭყებია არ ეთანხმება ჩვენს დასკვნას, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ფორმულირება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში რუსულის გავლენით იქცა რიგ შემთხვევებში „არაბრალეულობის პრეზუმფციად“. ვფიქრობთ, ჯერ მართო ჩვენი სტატიის 52-53-ე გვერდებზე მოყვანილი მაგალითები იკმარებდა საფუძვლად ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის, მითუმეტეს, რომ თავად გამომხატურების ავტორს შეუძლია მრავლად გაიხსენოს მაგალითები არც თუ შორეული წარსულიდან, როდესაც არა მართო ცალკეული ფორმულირებები, არამედ მთლიანად კოდექსებიც და მეცნიერული თეორიებიც რუსულიდან იქნა გადმოღებული.

არც ენობრივ სპეციფიკაზე გავვიძახვილება ძირითადი აქცენტი, როგორც ამას ავტორი აცხადებს — გამოვიყენეთ მხოლოდ ცნების დასახელებისა და რაც მთავარია, მისი არსის დაზუსტებისათვის. ამასთან, შეძლებისდაგვარად ვაჩვენეთ, რომ არა მხოლოდ გ. ნაჭყებია (ეს არც შეადგენდა ჩვენს მიზანს), არამედ უპირველესად, თვით რიგი რუსულენოვანი ავტორებიც წააწყდნენ წინააღმდეგობებს განსახილველი პრინციპის მხოლოდ „ბრალეულობასთან“ დაკავშირების მიზეზით (სამწუხაროდ, სტატიის ამ ნაწილს გ. ნაჭყებია სრულ იგნორირებას უკეთებს). არც ის ვკითხვამს რომ „ნევიზონი“ ქართულად „უდანაშაულო“ ჟნდა ნიშნავდეს“ (გვ. 42) პირიქით, ჩვენი სტატიის 48-ე გვერდზე ხაზგასმული გვაქვს, რომ „ბრალეულობა — ბრალი“ და „დამნაშავე — დანაშაული“ განსხვავებულა ცნებებია და ყოველი მათგანი რუსულ ენაშიც ცალსახად განსაზღვრული ტერმინების „ვინოვონოსტ-ვინა“-ს და „პრესტუპნიკ-პრესტუპლენიე“-ს შესატყვისად უნდა ვიხმაროთ. გარდა ამისა, სქოლიოშიც გვაქვს მინიშნება ტერმინების ცალსახა შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის თაობაზე.

ავტორი, ჩვენი აზრით, სწორედაც რომ „ზედმეტად მკაცრად და თვითდაჯერებული ტონით“ (რასაც ჩვენ გვსაყვედურობს) აცხადებს, რომ ვინაიდან „ტერმინი „დამნაშავე“ გამოხატავს ფაქტობრივ ვითარებას“, ხოლო „ტერმინი „უდანაშაულო“ მხოლოდ ფაქტის აღმნიშვნელი ტერმინია, ამდენად ტერმინი „დამნაშავე“ (უდანაშაულო) იურიდიული ტერმინი არ არის, პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს. ამის გამო ბუნებრივია ტერმინი „უდანაშაულო“, როგორც არაიურიდიული ტერმინი იურიდიული მნიშვნელობის პრეზუმფციას ვერ დააფუძნებს“ (გვ. 43), „დამნაშავის პიროვნების“ ცნება უკანონოა, არაიურიდიულია“ (გვ. 46). ავტორის ამ კატეგორიულ მტკიცებებში საკამათო ბევრია. ხოლო რაც შეეხება გ. ნაჭყებიას მიერ უარყოფილ ტერმინებს, ჩვენ სრულიად განსხვავებულ პოზიციას ვიცავთ და სავსებით მისაღებად მივიჩნევთ აღნიშნული ტერმინების გამოყენებას მათი უკვე აღიარებული და ფართოდ დამკვიდრებული მნიშვნელობით („დამნაშავე — დანაშაულის ჩამდენი პირი“, „უდანაშაულო—დანაშაულის არ მქონე, ვისაც დანაშაული არ მიუძღვის“)<sup>1</sup> მითუმეტეს, რომ ამის აუცილებლობა შეიძლება დავასაბუთოთ თავად გ. ნაჭყებიას ბოლოდროინდელი ნაშრომების გაცნობითაც, რომლებშიც ცდილობს გვერდი აუაროს (მისთვის მიუღებელ) ტერმინ „დამნაშავეს“ და იძულებული ხდება

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1988.

მის ნაცვლად გამოიყენოს სხვადასხვა, ჩვენი აზრით, ზოგჯერ ხელოვნური ფორმულირებები: „დანაშაულის ჩამდენი პირი“, „დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი“; „დანაშაულის სუბიექტი“, „პირი, რომელმაც დანაშაული ნამდვილად ჩაიდინა“, „პირი, რომლის ბრალეულობა დადგენილია კანონიერი წესით“, „სისხლის სამართალში დანაშაულის შემადგენლობის განმარტოვებული პირი“ და სხვა, რაც თავად იდეის ავტორს უამრავ თავსატეხვარს უჩენს იქ, სადაც პრობლემა უმტკივნეულოდ გადაიჭრებოდა.

ამასთან, თუ გ. ნაჭყებიას „იურიდიული აზროვნების წესს“ ტერმინ „დანაშაულზე“ (შესაბამისად „დანაშაულის შემადგენლობაზე“) გავაერცვლებდით, მისი უარყოფაც მოგვიხდებოდა როგორც ფაქტის აღმნიშვნელი ტერმინისა, რაც ავტორი არ აკეთებს და სწორადაც იტყევა, რადგან მისი ზოგიერთი სტატია სათაურიდანვე „უკანონო, არაიურიდიული“ იქნებოდა.<sup>2</sup>

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსახილველი პრინციპი შეიძლება ნებისმიერი, თუნდაც „არაიურიდიული“ ტერმინითაც აღვენიშნა და დაგვეკვიდრებინა იურიდიულ ტერმინად (ტერმინების შემოღება და დამკვიდრება სწორედ იურისტების საქმეა). მითუმეტეს, ყოველად გაუმართლებლად, აბსურდულადაც კი გვეჩვენება უკვე დამკვიდრებული და აღიარებული ტერმინის უარყოფა და ამით დამატებითი სირთულეების შექმნა სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში.


სხვა საკითხია ცნების არსის დაზუსტება და მისი პრაქტიკაში გამოყენების მექანიზმის დახვეწა. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისა და მისი რეალიზაციისადმი ჩვენი მიდგომის სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თუ სამართლის თეორიაში, სისხლის სამართალში, საერთოდ იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დასაშვებად მივიჩნევთ ზოგად მსჯელობებს, თუნდაც კონკრეტული სახის დანაშაულებზე, დანაშაულთა შემადგენლობებზე, მათ ჩამდენ პირებზე (დამნაშავეებზე) მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებში საქმე კონკრეტულ პირს შეეხება, მხოლოდ სასამართლოს, ისიც კანონით დადგენილი წესით შეუძლია ცნოს იგი დამნაშავედ. ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა თუ განსასჯელის სახით მოცემულ პირს სახელმწიფო (კანონი) უდანაშაულოდ თვლის.

ბუნებრივია, ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომელიც თავის მსჯელობებს საფუძვლად უდებს ჩვენთვის სადაო დებულებებს და გვსაყვედურობს, რომ „საერთოდ არ მიგვიღია მხედველობაში დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარისა და ბრალის მიმართების პრობლემის“ მისჯული ხედვა, „რამაც ლოგიკურად და იურიდიულად მოითხოვა ტერმინი „არაბრალეულობის პრეზუმფცია“ (გვ. 43).

ჩვენი მიზანი არ იყო გ. ნაჭყებიას თეორიული ნაღვანის განხილვა, ვერც სტატიაში გამოყენებული ცნებებისა და ფორმულირებების თაობაზე სამეცნიერო წრეებში არსებულ ყველა მოსაზრებას გავითვალისწინებდით. ძირითადად, ვსარგებლობდით თეორიაში დამკვიდრებული დებულებებით, რომლებიც კერძოდ ბრალთან დაკავშირებით იმ სახით გამოვიყენეთ როგორადაც პირადად გ. ნაჭყებიამ უნივერსიტეტში შეგვასწავლა (თუმცა მისგანვე ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება გვისაყვედურა).

აღნიშნულ თემაზე პოლემიკის გამართვას არც ამჯერად ვაპირებთ, ყურადღებას მხოლოდ ავტორის მსჯელობების თავისებურებებსა და იმ არგუმენტებზე

<sup>2</sup> გ. ნაჭყებია, დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის სფუქველი, ჟურნ. „სამართალი“, 1992, № 8—9.



გავამახვილებთ, რომლებსაც იგი ჩვენი შეხედულებების მცდარობის დასამტკიცებლად იყენებს.

გაუგებარია, რის საფუძველზე აცხადებს გ. ნაჭყებია თითქოს ჩვენ ვასკენით, რომ „პირის ბრალეულობას ადგენს წინასწარი გამოძიება. წინასწარი გამოძიება პირს თვლის ბრალეულად, მაგრამ ვალდებულია ჩათვალოს იგი უდანაშაულოდ“ (გვ. 43). მაშინ, როდესაც ავტორის მიერ ჩვენს სტატიასში მინიშნულ გვერდზე სრულიად სხვა რამ წერია, კერძოდ, ნათქვამია რომ: „სახელმწიფოს მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები (იყენებენ რა წმინდა სამართლებრივ ბრალეულობის პრეზუმფციას) ვარაუდობენ პირს ბრალეულად, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფციის თანახმად ვალდებულნი არიან ჩათვალონ იგი უდანაშაულოდ“. მოყვანილი მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს ტერმინებს „ვარაუდს“ (პრეზუმფციას) და „თვლის“ (კანონი „თვლის“ და არა „ვარაუდობს“), რასაც ჩვენ მეტად პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ხოლო გ. ნაჭყებია იმდენად არ აქცევს ყურადღებას რომ ალბათ, მისდაუნებურად, ჩვენი ნაშრომიდან ციტირებულ ფრაგმენტში თავისი შეხედულებისამებრ უნაცვლებს ადგილებს.

სავარაუდოა, რომ სწორედ ზემოაღნიშნულ მიზეზითვე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნაშრომში ცალსახად და თანაც არაერთგზის აღნიშნული გვაქვს რომ „არც ერთ სხვა ორგანოს, სასამართლოს გარდა, არა აქვს უფლება დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი“ (გვ. 49), „დანაშაულში, რომლის არსებობა მხოლოდ სასამართლომ შეიძლება დაადგინოს (გვ. 50), „დანაშაულიც და ბრალეულობაც მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს“ (გვ. 55); გ. ნაჭყებია მაინც გეგასყვედურობს, რომ „ავტორს მხედველობიდან რჩება სასამართლო შეფასების მთელი თავისებურება, მართლმსაჯულების ფუნქციონალური დანიშნულება. რეტროსპექტიული (ნეგატიური) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნებრივად მოითხოვს ბრალეულობის დადგენას, რაც მხოლოდ სასამართლოს ფუნქციაა“ (გვ. 44), რითაც მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ სადაოდ ვაგვეზადოს აღიარებული ჭეშმარიტება (ჩვენს გამონათქვამებს, გ. ნაჭყებიასაგან განსხვავებით, იურიდიულ-ფილოსოფიური წანამძღვრები რომ აკლდა, ეს ფაქტია).

ჩვენთვის გაუგებარი „იურიდიული აზროვნების წესია“ გამოყენებული გ. ნაჭყებიას მიერ, როდესაც მას, ფაქტობრივად შეცდომაში შეჭყავს მკითხველი (სამწუხაროდ არა მხოლოდ ამ შემთხვევაში), როდესაც ჩვენი თვალსაზრისიდან სრულიად განსხვავებულ შეხედულებას რატომღაც ჩვენ მოგვაწერს და აცხადებს თითქოს „ავტორი ტერმინ „არაბრალეულობას“ საერთოდ უარყოფს. იგი ასკვნის, რომ როგორც სისხლის სამართლის პროცესში, ისე სამოქალაქო სამართლის პროცესში „არაბრალეულობის პრეზუმფცია“ არ მოქმედებს“ (გვ. 44). და თავისი გამოხმაურების მე-3-4-5 პუნქტებს უთმობს მაგალითებს სამართლის სხვადასხვა დარგებიდან, სადაც მოქმედებენ ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის სამართლებრივი პრეზუმფციები, მოჰყავს ამასთან დაკავშირებით ფაქტები, რისი საჭიროებაც არანაირად არ უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი სტატიიდან, რამეთუ მასში გ. ნაჭყებიას მიერ მინიშნებულ გვერდზე, საიდანაც თითქოსდა მოხდა ციტირება, სავსებით სხვა პოზიციაა დაფიქსირებული: „პრეზუმფციის (ვარაუდი) ხმარება მისი სამართლებრივი მნიშვნელობით თანაბარი უფლებით შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგებში როგორც ბრალეულობის, ასევე არაბრალეულობის პრეზუმფციის (ვარაუდის) სახით“, ხოლო უფრო ადრე დაასკვნით, რომ არაბრალეულობის პრეზუმფცია „არ შეიძლება იყოს არც სისხლის სამართლის პროცესში და არც სამოქალაქო სამართლის პროცესში მოქმედი ზოგადი პრინციპი“.



ამდენად, ჩვენ არც არაბრალეულობის სამართლებრივი პრეზუმფციის არსებობას ვუარყოფთ, ოღონდ გ. ნაჭყებიასაგან განსხვავებით, არ ვაგვიკვირებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან, ვერ მივიჩნევთ სამართლის ყველა დარგში მოქმედ ზოგად პრინციპად და ადრე მოყვანილი არგუმენტაციის საფუძველზე ვერც კონსტიტუციურ პრინციპად ვაღიარებთ.

უკომენტაროდ ვერც მის მომდევნო განცხადებას დავტოვებთ, თითქოს „საბჭოურ სისხლის სამართალში შექმნილი წინააღმდეგობა ა. კახნიაშვილს ჩვენი საკუთარ წინააღმდეგობად მოსჩვენებია, მაშინ როდესაც საჭირო იყო კამათის არსში უფრო დაკვირვებული წვდომა“ (გვ. 46).

გ. ნაჭყებიას მიერ დანახული ე. წ. „წინააღმდეგობანი“ მის მსჯელობებში ამოსავალ წერტილებად ზემოთ მოყვანილი, ჩვენი აზრით, სადაო დებულებების გამოყენების ლოგიკური შედეგია და ბუნებრივია მათ ავტორის „საკუთარ წინააღმდეგობებად“ მივიჩნევთ.

ოპონენტი ნურც დამცველად მიგვიჩნევს „საბჭოური სამართლისა“, რომელსაც წინააღმდეგობები და სადაო ფორმულირებები საკმაოდ მოეძევება, მაგრამ, ვფიქრობთ, არას გვარგებს დამატებითი პრობლემების შექმნა, შემდეგ კი შეცხადება: „რამდენი დავა და აურზაური ამტყდარა სისხლის სამართლებრივი ურთიერთობების გარშემო! რამდენი დავა ამ საკითხზე დღესაც!“<sup>3</sup>


ვფიქრობთ, ადგილი გვაქვს სწორედ იმ შემთხვევასთან, რომელზედაც თავად გ. ნაჭყებია ბრძანებდა, რომ „საბჭოური იურიდიული ლიტერატურა ცუდ სამსახურს გვიწევს ხოლმე“ (გვ. 46). ჩვენი ვარაუდით, განსახილველი პრინციპის რუსულს გავლენით მხოლოდ „ბრალეულობასთან“ დაკავშირებულმა სადავო დებულებებმა ავტორი რიგ წინააღმდეგობებამდე მიიყვანა, მაშინ როდესაც ჩვენი თვალსაზრისით, ეს ე. წ. „წინააღმდეგობანი“ ყოველგვარი „აურზაურისა და დავის“ გარეშე იხსნება. ამასთან უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენს ნაშრომში შეძლებისდაგვარად ნაჩვენებია იყო, რომ წინააღმდეგობებს განსახილველი პრინციპის რუსულენოვანი ცნობილი მკვლევარებიც წააწყდნენ (ჯ. მაჟინიანი, ჩ. კასუმოვი), მაგრამ თუ სხვადასხვა მიზეზის გამო მათზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, გ. ნაჭყებიამ მათგან განსხვავებით განსახილველ პრინციპს თავისებური იურიდიულ-ფილოსოფიური დასაბუთება მოუძებნა „არაბრალეულობის პრეზუმფციის“ კონცეფციის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეუსაბამობანი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს გარკვეულ გაუგებრობას ან რომ გ. ნაჭყებიას ცამოხმარება ნაჩქარევად, ზედმეტი ემოციურობით; ნაწყენი კაცის პოზიციებიდან არის დაწერილი, რისი საბაბიც არ მიგვიცია.

დაინტერესებულმა მკითხველმა სტატიების გაცნობის საფუძველზე თავად განსაჯოს პოლემიკაში მონაწილეებიდან თუ ვის „ჩვენი ძირითადი არგუმენტები საერთოდ არ განუხილავს“ და გამოიტანოს დასკვნები „ზედმეტად მკაცრ და თვითდაჯერებულ ტონზეც“ (გვ. 46). ჩვენი ვარაუდით კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანობაში გ. ნაჭყებიას გამოხმარებაზე, კატეგორიულობითა და სიმკაცრით ჯერ მარტო მისი სათაურიც გამოირჩევა.

ირწმუნოს ოპონენტმა რომ განსახილველი თემატიკის შერჩევა და გამოქვეყნებული სტატიის პოლემიკური ხასიათი სწორედ პრობლემურ საკითხზე „კამათის არსში უფრო დაკვირვებული წვდომის“ წადილმა განაპირობა და მუშაობის პროცესში ჭეშმარიტებას საერთოდაც რომ ვერ მივახლოებოდით, ვფიქრობთ, მეცნიერებაში აღიარებული ავტორიტეტებისაგან განსხვავებული მო-

<sup>3</sup> გ. ნაჭყებია, გაგების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ყურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1989, №10, გვ. 74.



საზრებაც, გამოთქმაც არ უნდა ყოფილიყო დასაძრახი, ხოლო გ. ნაჭყებიამ კვლავაც რომ არ იწყინოს, წინასწარ ბოდიშს მოუხდით, თუ მისი სტატიის დასათაურების მართებულობაშიც დავეჭვდით, გარკვეული კორექტირება გავუკეთეთ და წარმოდგენილი ნაშრომის ქვესათაურად გამოვიყენეთ. უნდა ვაღიაროთ, რომ გ. ნაჭყებიას ვერც სამართლის ცოდნით გავუტოლდებით და ვერც მის მსჯელობებში მეცნიერების სხვა დარგებიდან (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია) გამოყენებული ცნებებისა და მეთოდების განსწავლულობით დავიკვივებით, მაგრამ გვინდა ვაცნობოთ, რომ იურიდიულ ფაკულტეტამდე მიღებული გვაქვს გარკვეული მათემატიკური განათლება, ამდენად, ჩვენს ნაშრომს ლოგიკური აზროვნების ელემენტები მცირედით მაინც უნდა ემჩნეოდეს. როგორც ჩვენ გვესმის, მეცნიერების ყოველ დარგში კონკრეტული მკვლევარის ინტელექტუალური შესაძლებლობების ფარგლებში მხოლოდ ლოგიკური აზროვნების ელემენტების გამოყენებაა შესაძლებელი, ხოლო მკვლევართა ნააზრების შეფასება — შედარება, გამოყენებული ლოგიკური მსჯელობების მეტ-ნაკლებობით (მიღებული დაყოფაც ე. წ. მათემატიკურ (ტექნიკურ) და ფილოსოფიურ აზროვნების ტიპებად მეტად პირობითი ხასიათისად გვეჩვენება, და ნაკლებად შეეხება თავად აზროვნების წესს, რამეთუ უფრო გამოყენების სფეროებს გულისხმობს). რაც შეეხება „იურიდიული აზროვნების წესს“, მითუმეტეს გ. ნაჭყებიასეული სპეციფიკური გაგებით, ის ჩვენთვის საერთოდ მიუღებელია, რამეთუ დასაშვებად მიიჩნევს, მაგალითად, სამედიცინო, ბოტანიკური, სტომატოლოგიური, სან-ჰიგიენური და სხვა აზროვნების წესების არსებობას.

დასასრულს, მიუხედავად იმისა, რომ მეტად სადავოდ გვესახება გ. ნაჭყებიას სტატიის ბოლოს მოყვანილი დებულებაც, თითქოს „კამათში გამარჯვებული ის კი არ არის, ვინც იძულებული გახდა დაეცვა თავისი თვალსაზრისი, არამედ ის, ვისაც თავისი თვალსაზრისის გადასინჯვა მოუწევს“<sup>4</sup>. ვარწმუნებთ, ყოველთვის მზად ვართ გადავსინჯოთ თვალსაზრისი, თუკი ოპონენტის არგუმენტები ლოგიკური აზროვნების წესებზე იქნება დაფუძნებული; ხოლო ამჯერად, შევძელით თუ არა საკუთარი თვალსაზრისის დაცვა, თავად მკითხველმა განსჯოს.

<sup>4</sup> გ. ნაჭყებიას ეს შეგონება კატეგორიულად გამოიტყვევს კამათში საკუთარი თვალსაზრისის დამცველი მხარის გამარჯვების შესაძლებლობას, რაც არალოგიკურად მიგვაჩნია.



ავთანდილ თაყაია

## ექსპერტიზა და ექსპერტი


ჩვენი ქვეყნის დღევანდელ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და კრიმინოლოგიურ სიტუაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესში ექსპერტიზის ინსტიტუტს. იგი მიმართულია იმ ამოცანათა წარმატებით გადასაწყვეტად, რომლებიც თავს იჩენენ საგამომიებო-სასამართლო პრაქტიკაში, სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმეებში ჭეშმარიტების დადგენასა და მამტიცებელი ინფორმაციის მოცულობის ზრდაში.

ექსპერტიზა დიდ როლს თამაშობს დამნაშავე პირის გამოკვლევაში (დაზარალებულის, მოწმის), დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარეების განსაზღვრაში. ექსპერტიზის ჩატარება შესაძლებელს ხდის დამტკიცდეს ფაქტების კომპლექსი, რომლებიც შედიან დანაშაულის ობიექტურ მხარეში, დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, იარაღი და მეთოდი დამნაშავეს (დაზარალებულის, მოწმის) მოქმედებაში, ხოლო სასამართლო ფსიქიატრიული და სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის სწორ ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრაში;

საგამომიებო პრაქტიკაში ძირითადად გვხვდება შემდეგი სახის ექსპერტიზა: 1) ავტოტექნიკური ექსპერტიზა (რომლის გამოკვლევას ექვემდებარება ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის, სიჩქარის, შემთხვევის თავიდან აცილების შესაძლებლობის დადგენა და სხვ.); 2. კრიმინალისტური (გრაფიკული ტრასოლოგიური, ბალისტიკური დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევა, ასევე პიროვნების დადგენა მისი გარეგნულ ნიშნების მიხედვით და სხვ.); 3. სასამართლო-სამედიცინო (ცოცხალი პირები, გვამები, ბიოლოგიური ზასიათის ნივთიერი მტკიცებები, სისხლის-სამართლის საქმის მასალები და სხვ.); 4. სასამართლო-ფსიქიატრიული (გამოსაკვლევ პირთა ფსიქიკური სრულფასოვნების დასადგენად); 5. სასამართლო-საბუღალტრო (ორგანიზაცია-დაწესებულებაში აღრიცხვა-ანგარიშსწორების, სამეურნეო-ფინანსური საკითხები და სხვ.).

საქართველოს რესპ. სსსკ 71-ე მუხლში ჩამოთვლილია შემთხვევები, რომლის დროსაც აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარება. ესენია, დანაშაულები, რომლებიც მიეკუთვნება მძიმე სახის კატეგორიებს.

ექსპერტიზის დანიშვნა ერთ-ერთი საგამომიებო მოქმედებაა. რამდენადაც მას გამომძიებელი სწრაფად და სწორად შეასრულებს, იმდენად მიზნობრივ იქნება მისი ჩატარება. ექსპერტიზის დანიშვნის ტაქტიკა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმ ამოცანების განსაზღვრას (საკითხის კონკრეტულად ჩამოყალიბებას); რომელთა გადაწყვეტისთვისაც საჭიროა ექსპერტიზა. საამისო საფუძველს კი საგამომიებო საქმის გულმოდგინედ შესწავლა იძლევა. დროულად უნდა დადგინდეს აგრეთვე, თუ სად ჩატარდეს ექსპერტიზა (საექსპერტო დაწესებულებაში, თუ მის გარეთ), ვინ იქნება ექსპერტი, ვისი მონაწილეობით ჩატარდება ექსპერტიზა (ბრალდებული და სხვ.).



ექსპერტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოცდილს. ექსპერტად შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს წამოჭრილ სპეციალურ საკითხებში (72-ე მუხლი). „ექსპერტის პროცესუალური მდგომარეობა მომუშავე სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში და მის გარეთ ერთნაირია“<sup>1</sup>. ექსპერტს უფლება აქვს (73-ე მუხლი) გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს, აღძრას შუამდგომლობა მისთვის დამატებითი მასალების გადაცემის შესახებ, დაესწროს დაკითხვას და სხვა საგამოძიებო მოქმედებას. აგრეთვე უარი განაცხადოს დასკვნის მიცემაზე, თუ მას არ გააჩნია ამისათვის საკმარისი ცოდნა და ა. შ.

თავისი გამოკვლევის შემდეგ, ექსპერტი ადგენს დასკვნას, რომელშიც მოტივირებულია პასუხები დასმულ კითხვებზე (წარმოდგენილი მასალების ობიექტურად, ყოველმხრივ და მთლიანი შესწავლის შედეგად). „თუ გამოკვლევის დროს დამტკიცდა სიტუაცია, რის შესახებაც არ იყო დასმული კითხვა გამოძიებლის დადგენილებაში, მაგრამ ექსპერტის აზრით მას აქვს მნიშვნელობა საქმეში, ამ საკითხსაც რთავს დასკვნაში“<sup>2</sup>. ექსპერტი დასკვნაზე იძლევა თავისი სახელით და პირადად პასუხისმგებელია მის მიერ მიცემული დასკვნისა.

მომკვლევ პირს, გამოძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს ევალებაო ექსპერტიზის დასკვნის შეფასება-შესწავლა, იმის გამორკვევა, თუ რამდენად ნათელი, სრული და დასაბუთებულია იგი, შეესატყვისება თუ არა გამოკვლევის პროცესი ობიექტურ შესაძლებლობებს, გამოყენებულია თუ არა უდაოდ დადგენილი მონაცემები, ფლობს თუ არა ექსპერტი მონაცემების გარდა სხვა შესაძლებლობებს, ხომ არ სცილდება დასკვნა მის სპეციალურ ცოდნას, ტექნიკურად რამდენად დამაჯერებლად არის ნაჩვენები საიდენტიფიკაციო ნიშნები, ხომ არ არის შინაგანი წინააღმდეგობა კვლევის პროცესში, რამდენად შეესაბამება დასკვნა კვლევის პროცესს, რა დამოკიდებულებაშია საექსპერტო დასკვნა საქმის სხვა გარემოებასთან და სხვ. ზოგჯერ გამოძიებელს (სასამართლოს) უხდება დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა (როცა ექსპერტიზის დასკვნა არ არის სრული და ნათელი), აგრეთვე ადგილი აქვს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას, თუ გამოძიებელი (სასამართლო) ეჭვს შეიტანს ან დაუსაბუთებლად მიიჩნევს ექსპერტიზის დასკვნას. ამ შემთხვევაში საჭიროა დაკითხოს ექსპერტი, შეიკრიბოს დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები (თუ ამის შესაძლებლობა იქნება) და დამატებითი ნიმუშები. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილია ექსპერტიზის ჩატარება მიენდოს სხვა ექსპერტს.

ზოგჯერ მიმართავენ კომპლექსურ ექსპერტიზასაც (როდესაც საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვა დარგის ცოდნის გამოყენებას მოითხოვს). კომპლექსური ხასიათის ექსპერტიზის ჩატარების დროს ხშირად გამოყოფენ ექსპერტ-ხელმძღვანელს, რომელსაც ექსპერტიზის ჩატარებისას სხვა ექსპერტებთან შედარებით, ევალება საორგანიზაციო საკითხები, მაგრამ დასკვნის ფორმულირებაში პრივილეგია არ გააჩნია. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს ბრალდებულს უფლება აქვს (187-ე მუხლი):

1. მისცეს აცილება ექსპერტს;
2. ითხოვოს ექსპერტის დანიშვნა მის მიერ დასახელებულ პირთაგან;

1 «Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РСФСР», А. М. Рекунова и А. К. Орлова, М., 1985.

2 «Компетенция эксперта в уголовном процессе». 1986. Б. Алимджанов, В. Вальдман.

3. იშუამდგომლოს ექსპერტისათვის დამატებითი შეკითხვების მიცემის შესახებ;

4. წარადგინოს დოკუმენტები და მისცეს განმარტებანი ექსპერტს;

5. გამოძიებლის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზის ჩატარებას;

6. გაეცნოს ექსპერტიზის მასალებს და ექსპერტის დასკვნას.

გამომძიებელი მოვალეა გააცნოს ბრალდებულს ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ დადგენილება.

ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში, სამწუხაროდ ექსპერტიზის შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში დაშვებულია საშტატო ერთეული — სასამართლო ექსპერტისა და ექსპერტ-კრიმინალისტის თანამდებობა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, სპეციალისტების უკმარისობისა და უსახსრობის გამო ერთ ექსპერტ-კრიმინალისტს ან სასამართლო ექსპერტს უხდება რამდენიმე რაიონის პოლიციის მომსახურება. მაგალითად სამტრედიის რაიონის სასამართლო ექსპერტი გიორგი გრიგოლია ზემდგომი ორგანოების დავალება-თხოვნით ემსახურება აბაშის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ხონისა და ვანის რაიონებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აღნიშნულ რაიონებში ერთდამავე დროს მოხდა მძიმე დანაშაული, ფიზიკურად შეუძლებელია ექსპერტის შემთხვევის ადგილზე გასვლა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი შრომის ანაზღაურება ოდნავ აღემატება მინიმუმს.

სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ რაიონებში სასამართლო ექსპერტს საშტატო განაკვეთით ჰყავდა ექთან-სანიტარი, ემსახურებოდა ავტომობილი, რაიონულ საავადმყოფოში ჰქონდათ ოთახები, სადაც ხდებოდა ცოცხალ პირთა შემოწმება, ხოლო გვამის საექსპერტო გამოკვლევისათვის არსებობდა სათანადოდ მოწყობილი მორგი. დღესდღეობით ეს პირობები მთლიანად მოშლილია.

რაიონებში ძირითადად მორგის შენობა დანგრეულია, ან არის ავარიულ მდგომარეობაში, არ არსებობს ელემენტარული ჰიგიენური პირობები, არ არის წყალი, სპეციალური ინვენტარი, არ არის გვამის შესანახი მაცივარი. უკვე რამდენჯერ ადგილი ჰქონდა გვამის მღრღნელებისაგან დასახიჩრებას. ამ უკიდურესად ურთულესი პირობების გამო საექსპერტო ორგანიზაციებიდან დაიწყო კადრების დენადობა, ხოლო ახალი კადრები ჯერჯერობით არ ჩანს.

განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულობებზე, ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა დროს, გვამის და შემთხვევის ადგილის დასათვალისწინებლად სამედიცინო ექსპერტისა და კრიმინალისტის გასვლა ფრიად აუცილებელია, რადგან პოლიციის რაიონულ განყოფილებებში მომუშავე გამომძიებლების უმეტეს ნაწილმა ელემენტარულად არ იციან კვლის აღება და დაფიქსირება, ხელის თითების ანაბეჭდის აღება და სხვა საექსპერტო მოქმედებების ჩატარება.

ზშირია შემთხვევა, როცა ჭირისუფალი უარს ამბობს გვამის გაკვეთაზე, რაც, ცხადია, ართულებს ჭეშმარიტების დადგენას და მხოლოდ გამოძიების ან სასამართლო განხილვის პროცესში ხდება აუცილებელი გვამის გაკვეთა. ამან გამოიწვია ექსპერტიზის ხშირი შემთხვევები, როცა, ცხადია, გაძნელებულია საექსპერტო გამოკვლევები, ამიტომაცაა საჭირო გვამის ოპერატიული გაკვეთა-გამოკვლევა და ამის სათანადო პირობები. ასეთი სავალალო მდგომარეობა არა მარტო რაიონებში, არამედ მსხვილ ქალაქებშიც იმის გამო, რომ არ გააჩნიათ შესაბამისი პროფილისა და დანიშნულების ტექნიკური საშუალება, კერძოდ: ტყვიადამჭერები, (ქ. თბილისსა და ქუთაისში) და სპეციალური პროფილის მიკროსკოპები (ქ. ქუთაისში), მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ჩაატარონ ბალისტიკური ექსპერტიზები მთელი მოცულობით, დაადგინონ მომხდარია თუ არა გასროლები ერთი და იგივე ცეცხლსასროლი იარაღიდან. რეაქტივების უქონ-



ლობის გამო ძალზე გართულებულია ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერტიზების ჩატარება, თვით საექსპერტო კრიმინალისტურ სამმართველოშიც, რომ არაფერი უთქვამთ შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო ორგანოების დანაყოფებზე, ხშირად არ გააჩნიათ ელემენტარული ლაბორატორია და ფოტოაპარატიც კი. გამწვანებულია იარაღებისა და მასრების შედარება-იდენტიფიკაცია. ეს კი, ჩვენი აზრით, ყოვლად დაუშვებელია. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტური საექსპერტო სამმართველოს უფროსმა ბატონმა გ. შალამბერიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ უკიდურესად დაბალია სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იგი არ არის უზრუნველყოფილი მინიმალური მატერიალურ-ფინანსური მომსახურებით. სამმართველოს არ გააჩნია ტექნიკურ-კრიმინალისტური მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები. მოსაგვარებელია მათი სათანადო წესით აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით, დანადგარებით, მოწყობილობებით, ნედლეულითა და მასალებით, რის გარეშეც შეუძლებელი ხდება ექსპერტიზის ჩატარება.

შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროა როგორც მიწიერში, საექსპერტო კრიმინალისტური დანაყოფების შექმნა კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, სამეგრელოსა და სვანეთის, აგრეთვე გურიის ზონაში, მაგრამ მათი განხორციელება ვერ ხერხდება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე, სახსრების უქონლობის გამო. არა და, დასახელებულ რეგიონებში, როგორც წესი, აუცილებელია ისეთი სახის ექსპერტიზების ჩატარება, როგორცაა ბალისტიკური, ქიმიური, ტრასოლოგიური და სხვა. რამდენჯერ უნდა გაიმეორენ იურისტებმა ცნობილი ჭეშმარიტება — იაფი მართლმსაჯულება მეტად ძვირად უჯდება ჩვენს ქვეყანას.

რამდენიმე სიტყვა დაქტილოსკოპიაზე, მის უაღრესად დიდ როლზე დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეს მხილებისათვის, პიროვნების იდენტიფიკაციისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეგისტრაციისათვის. ყველა გამომძიებელმა და ოპერატიულმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ: 1. ხელის თითების ღვრილოვანი ქარგები უცვლელია ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. 2. ქარგებს შორის არსებობს ისეთი სხვაობა, რომ მის საფუძველზე შეიძლება ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ყველა პიროვნება; 3. თითის ქარგების მკვეთრი განსხვავება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია. ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა ექცევა განვითარებულ ქვეყნებში დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. მაგალითად, გერმანიის პოლიციის კრიმინალისტურ ცენტრში კომპიუტერის მახსოვრობაში ინახება 3 მილიონზე მეტი თითების ანაბეჭდი და ნებისმიერ დროს, უმოკლეს ვადაში, ხდება მათი გამოყენება საიდენტიფიკაციოდ. სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. ჯერ ერთი, არ ხდება დაქტილოსკოპიის ბარათების ცენტრალიზებული შეგროვება საინფორმაციო ფონდში. გამწვანებულია დაქტილოსკოპიის შესაძლებლობის გამოყენება კომპიუტერული სისტემის არ არსებობის გამო. იშვიათია მისი შესაძლებლობის გამოყენება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმისათვის, რომ ეფექტიანი გახდეს საექსპერტო დაწესებულებათა და ექსპერტიზის როლი მართლმსაჯულების განმტკიცებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა: — გამოინახოს სახსრები, რათა საექსპერტო დაწესებულებები აღიჭურვოს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მოდიფიკაციის დანადგარებით, კომპიუტერული სისტემებით, ლაბორატორიული ხელსაწყოებით.

— გაფართოვდეს კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რათა ჩვენში დაენერგოთ ტექნიკისა და მეთოდების, აგრეთვე სამეცნიერო აღმოჩენების დღევანდელი მიღწევები. დაისვას საკითხი ჩვენი რესპუბლიკისათვის კადრების მომზადებისა და სტაჟირების შესახებ, რადგან გამოძიების სფეროში უკვე გამოჩნდა საექსპერტო კვლევისათვის უცხო მარკის ავტომატქანები, უცხო ენაზე შესრულებული ხელნაწერები და ა. შ.

— ბოლო 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში არ მომზადებულა სხვადასხვა პროფილის ექსპერტთა კადრები, ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა ექსპერტთა კადრების მომზადების მოქნილ სისტემის დაუყოვნებლივი შემუშავება, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის ბაზაზე. ასევე აუცილებელია ბოლო 4-5 წლის მანძილზე ექსპერტად დანიშნულ პირთა ატესტაცია, რათა ამ სისტემაში არ მუშაობდეს არაკომპეტენტური პირი;

— კომპეტენტურ ექსპერტთა კომისიის მიერ რესპუბლიკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გადამოწმდნენ ის პირები რომლებსაც ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული, რათა არ მოხდეს პასუხისმგებლობაზე უკანონო თავის არიდება ფალსიფიცირებული სამედიცინო საბუთებით;

მეტი — მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა საექსპერტო სისტემებს შორის, რათა ხდებოდეს ამ დარგში მეცნიერული ნაშრომებისა და ახალი აღმოჩენების, აგრეთვე საინფორმაციო ფონდის საჭიროების შემთხვევაში გაზიარება, რათა ერთობლივი ძალით მოხდეს დანაშაულობასთან ბრძოლა.

# განქორწინება

— მხეცი... მხეცი... ბატონო რაჟდენ! მიშველეთ, მიშველეთ რამე! გამაქორწინეთ, გამაშორეთ ამ მხეცს. ამას ვის გადავეყარე, ვის შევეჩხე, ღმერთო ჩემო! სიცოცხლე გამიმწარა, ჩაკლა ჩემი ახალგაზრდობა, დააჭკნო. განა ასეთი ვიყავი, ბუნებასაც რა ვუთხრა, როგორ შემცვალა, როგორ გამახმო...

— რა გვარია თქვენი მეუღლე? — იკითხა რაჟდენმა.

— ამოვარდა მისი გვარი და ჯილაგი, ჭირმა დარიოს ხელი, მათი სინსილა გაუყდეს, არსად იხსენიებოდეს ქვეყნად. გულმა თავიდანვე მიგრძნო თუ რა ოხერთანაც მქონდა საქმე. ღვთის მადლით, ჩემი ქალიშვილობის გვარი დავიტოვე. მამაუცხოვრდა, მის ოხერ გვარზე დავეწერებოდი.. საწყალი დედაჩემი, აკი მეუბნებოდა, დაფიქრდი შვილო, ვის მიყვები, ეს რა დარდუბალა ვინმე ნახეთ. არადა, ბატონო რაჟდენ, ვისროლე ქვა და... საბრალო დედაჩემი, არ დავუგერე მშობელს.. ალბათ ერთნახევარჯერ გადაბრუნდებოდა საფლავში.

— ეს წახევარი რაღაა? — იკითხა რაჟდენმა.

— გვერდზე უყვარდა, ბატონო, წოლა... ხშირად კი მაფრთხილებდა, სულწაშემენდილი მამაშენიო, სანამ მითხოვდა, თაფლი ეცხო პირზე, მორჩილი, დამთმობი და ლმობიერი იყო. ქორწილის შემდეგ კი გაიშალა, გაგულისდა, ყვავივით დამჩნაოდა თავზეო... ჩემი უბედურება კი იმით დაიწყო, ბატონო რაჟდენ, რომ როცა ძლიერ მეჩქარებოდა, შემთხვევით მღულარე წყალი გადავასხი ხელზე მეუღლეს, ატეხა ყვირილი, აი ესო, აი ისაო. ისე ყვიროდა, თითქოს სხვას არავის გადასხმია ცხელი წყალი... იქამდე მივიდა, რომ არაფრის მაქნისი ხარო, მითხრა. რას ვაბატიებდი, ხებრე ხარ, ხომ დაინახე მღულარე წყალი მომქონდა, ვერ გაიწიე იკით-მეთქი. გავნერვიულდი, ავიშალე მთლად, არ ვიცოდი რა მექნა. მამაშენი ტაფა გამივარდა ხელიდან და ახლა ფეხზე ქონი არ გადავასხი... იყვირა, მაგრამ რა იყვირა, ჭკუაზე არა ხარო... ჰმ, ამას მე მეუბნებოდა, ორი უმადლესი მაქვს დამთავრებული, ასპირანტურაში კი ვეღარ მოვასწარი შესვლა, ოჯახმა დამხია უკან... აფსუს, ხოშკაკალანთ ქალო, რას ვიბედავენ! რა გამაჩერებდა, ვინ მოითმენდა ამდენ ლანძღვას, შეურაცხყოფას, დამცირებას, ღირსების შელახვას. ჭკუა გაქვს შესამოწმებელი, მიბრძანდი ფსიქიატრთან და გაე-სინჯე-მეთქი, თან გავამხნევე, ნუ გეშინია, იქაც არიან შენისთავები, ათას სისულელეს აქვეყნებენ და არაფერი გაეგებათ-მეთქი. ცხადია, ის აღარ მითქვამს, ბერსონალურად რომელ ექიმთან მისულიყო. რა ვიცი, ყველაფერია მოსალოდნელი: შეთქმულება, ღალატი, თანამზრახველთა ჯგუფის შექმნა და ვინ იცის კიდევ რამდენი რამე... მეზობლებსაც მეტი რა უნდათ, ოღონდ სეირს უყურონ. იცოცხი, რომ მოვიქნე, ერთმა სწორედ მაშინ გამოყო თავი კუთხიდან, შემთხვევით მოხვდა სახეში. ისიც კარგი არამზადაა. ცოლიც იქვე ჰყოლია ჩასაფრებუ-ლი, ამხელა ქალი რამ გაგაგიჟაო. ვიუი შენა ხარ და შენი ქმარშვილი-მეთქი,



დილიდან საღამომდე ვიტარას რომ აულარუნებენ... ამ დროს მეორე მეზობელიც გამობრძანდა, რა ამბავიაო, იკითხა... თითქოს არ იცის, ამ უსაქმურმა რა ამბავიც იყო. აქაო და მომღერალი ვარო, ყოველდღე ღრიალებს, ხან მეფისტოფელი ვარო, ხანაც კიდევ რაღაც ოხრობა... ცოლი კი არასოდეს არ ჰყოლია, ხალხს ატყუებს. სად იყო და სად, კიდევ ერთი დაემატა, ცაში თვალები რომ გაურბის – საკაცობრიო პრობლემებს ვიკვლევო და ვამუშავებო. ნეტა რა ჯანდაბას იკვლევს, როცა ხან წინდები და ხანაც შარვალი უკუღმა აცვია... კაცო შედით სახლში, თქვენს თავს მიხედეთ-მეთქი, ჯერ წყნარად ვუთხარი. ამ დროს მატრონამაც გამოიხედა, ახლა იმასაც მოუნდა გართობა, ღმერთო გვიშველეთ, შორიდან ყვირის, ახლო მოსვლას კი ვერ ბედავს. ახსოვს ჩემგან კარგები. ავენთე, მაგრამ რა ავენთე. შე სამქმარგამოცვლილო კახპავ, აქეთ გამო-მეთქი, ცოცხი შეემართე, მაგრამ არ გამიშვეს ოხრებმა, აქეთ-იქიდან მექაჩებოდნენ. ოჰ... მამაჩემო სახლი რომ არ გაგეყიდა და არ გადაყლოდი ჰმას, ახლა ხომ მშვიდად ვიქნებოდი ჩემს კარმიდამოში და ვერავენ ჩაერეოდა ჩემი ოჯახის საქმეში, ჩემსა და ჩემ მეუღლეს შორის. მიშველეთ, ბატონო რაჟდენ, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, გადამარჩინეთ ამ ტანჯვა-წამებს!


რაჟდენმა წყნარად წარმოთქვა. – განქორწინების საბაბი ნამდვილად არის, აუცილებლად გაგაქორწინებთ!

– არა! არა! არ გამაქორწინოთ, დამელუპება მეუღლე, მეზობლები დამიჩაგრავენ, ვერ დავტოვებ ბედის ამარად. უჩემოდ ძალიან გაუჭირდება...

## ბასწორება

ჟურნალ „სამართლის“ 1995 წლის № 1–2-ში მე-80 გვერდზე ლექსში „მე გავეურებდი“ ტექნიკური მიზეზების გამო გამოტოვებულია მეოთხე სტრიქონი: „გზას აყრუებდნენ აურზაურით“.

რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ალბერტ აბესაძეს და ჩვენი ჟურნალის მკითხველს ამ დასანანი შეცდომისათვის.



ԿՐ 103/1

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ